

ადრეული ინკლუზიური განათლება

სახელმძღვანელო
პრაქტიკოსებისათვის

ნანილი პირველი

რას უნდა ვითვალისწინებდეთ ხარისხიანი
ინკლუზიური ადრეული განათლების
შესაქმნელად

სარჩევი

წიგნში, აღწერილი ინკლუზიური განათლება, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებსა და ავტორების ცოდნასა და გამოცდილებას დაყრდნობით, აღწერილია ხარისხიანი აღწერილი განათლების მრავალი ასპექტი. ავტორების ღრმა რწმენით, ხარისხიანი აღწერილი განათლება, თავისი არსით, ინკლუზიურია. ასე რომ, სახელმძღვანელოში, რომელიც 3 ნაწილისგან შედგება, მიმოხუთია ისეთი საკითხები, როგორცაა: აღწერილი განვითარებისა და განათლების მნიშვნელობა, ხარისხიანი აღწერილი ინკლუზიური განათლების ორგანიზაციული პრაქტიკა, პასუხისმგებლობები და როლები აღწერულ განათლებაში, მშობლისა და ოჯახის ფაქტორი, რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნება ბაღში, ხარისხიანი პრაქტიკის შეფასება და მონიტორინგი (ვირვალ ნაწილი).

სახელმძღვანელო მკორე ნაწილში საუბარია იმაზე, თუ როგორ შეიძლება შექმნა სოციალური, ემოციური, შემეცნებითი, კომუნიკაციური, ფიზიკური და სენსორული თვალსაზრისით მხარდაჭერი გარემო ყველასთვის.

წიგნის მესამე ნაწილში განხილულია სხვადასხვაგვარი საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების ჩართვის წარმატებულ მაგალითები, რომლებიც საქართველოს ბაბა-ბაღების რეალური ცხოვრებიდანაა აღებული. უცხოურიდან თარგმნილია მხოლოდ ორი შემთხვევა – „ბოდიში“ და „სარა“, რადგან ისინი ბავშვზე ზრუნვისა და მშობლებთან ურთიერთობის განსაკუთრებულ ნიმუშებს იძლევა.

ვიმედოვნებთ, რომ წიგნის მესამე ნაწილში აღწერილი ყველა შემთხვევა ბაბა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგებს და სხვა პროფესიონალებს (მეთოდისტებს, სპეციალური განათლების მასწავლებლებს, ფსიქოლოგებს, მეტყველების თერაპევტებს) დაეხმარება პრაქტიკის უკეთ დაგეგმვასა და განხორციელებაში.

ამ მაგალითების აღწერისას განუული დახმარებისათვის განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით თბილისის მე-100 საბარო ბაბა-ბაღის თანამშრომლებს, შაკა ფალავანდიშვილს და მანანა ხუციშვილს, ასევე მაკლედინს ასოციაციას და ამ ასოციაციის ოკუპაციურ თერაპევტს, ნინო ჩუბინიძეს.

სახელმძღვანელო განკუთვნილია ყველასთვის, ვისაც რაიმე პირდაპირი ან ირიბი შეხება აქვს აღწერულ განათლებასთან, იქნება ეს გადაწყვეტილებების მიღები პირი, აღწერილი დაწესებულებების ორგანიზებასა და მართვაზე პასუხისმგებელი პირი, ხარისხის მაკონტროლებელი, უშუალოდ ბავშვებთან მომუშავე ადამიანი, თუ მშობელი.

წიგნი სასარგებლო რესურსია აღწერილი განვითარებისა და განათლების მიმართულების აკადემიურ პროგრამებში ჩართული მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის.

სახელმძღვანელო მოგზადდა, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან თანამშრომლობით, როგორც სამინისტროს ერთ-ერთი რესურსი აღწერილი განათლების სფეროში.

სახელმძღვანელო შეიქმნა საქართველოს პორტიზის ასოციაციისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროექტის „ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა საქართველოს ბაბა-ბაღებში“ ფარგლებში, ღია საზოგადოების ინსტიტუტის მხარდაჭერით.

ავტორები წიგნის შექმნის პროცესში მიღებული რჩევებისა და მოსაზრებებისათვის მადლობას უხდით აღწერილი განათლების სფეროს ექსპერტებს: სიმუს ჰეგარტისა და დრაგანა სრებენოვს.

რატომ არის აღწერილი განვითარება და განათლება მნიშვნელოვანი და რატომ არის ხარისხიანი განათლება ინკლუზიური? 5

როგორ იქმნება ინკლუზიური განათლება? 11

მშობლების როლი და ჩართულობა 26

რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნება აღწერილი განათლების დაწესებულებებში 35

ინკლუზიური განათლების შეფასება და მონიტორინგი 40

დანართები:

სპეციალური განათლების პედაგოგის როლი საბავშვო ბაღში 44

ფსიქოლოგის როლი საბავშვო ბაღში 45

კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპევტის (ლოგოპედის) როლი საბავშვო ბაღში 47

სამსახურეობრივი ინსტრუქციები, ქვევისა და ეთიკის ნორმები 48

ტრანზიციის გეგმა 54

გამიტანით 55

გაატანით მასწავლებელი ბავშვს 58

გაატანით ბავშვი სკოლას 59

მშობლის კითხვარი 61

სკოლაგდელი საგანმანათლებლო დაწესებულების გარემოს შეფასების შკალა 62

ინკლუზიური გარემო – ათი შეკითხვა მშობლებისა და პრაქტიკოსებისათვის 64

რატომ არის ადრეული განვითარება და განათლება მნიშვნელოვანი და რატომ არის ხარისხიანი განათლება ინკლუზიური?

ადრეული განვითარების მნიშვნელობა

ადამიანის თავის ტვინი პირველ წლებში საოცარი სისწრაფით ვითარდება. დაბადებისას ჩვილის ტვინი მოზრდილი ადამიანის ტვინის 25%-ის მოცულობისაა, თუმცა სამი წლის ასაკისათვის ბავშვის ტვინი მოზრდილი ადამიანის ტვინის 90%-ის მოცულობას აღწევს¹. ჩვილობისა და ადრეული ბავშვობის ასაკში ბავშვის თავის ტვინის განვითარებაზე უზარმაზარ გავლენას ახდენს გარემოსამყაროდან მიღებული გამოცდილებები. ბავშვის ცხოვრების პირველი წლები იძლევა ყველაზე ნაყოფიერ შესაძლებლობებს ჯანმრთელი, ჯანსაღი და ჰარმონიული განვითარებისათვის.

ბავშვის განვითარებას თავისი ასაკობრივი მახასიათებლები აქვს და ბავშვები ერთდროულად შემდეგი ხუთი სფეროს მიმართულებით ვითარდებიან: სოციალურ-ემოციური, კოგნიტური (შემეცნებითი), ფიზიკური (ზრდა, მსხვილი და ნატიფი მოტორიკა), კომუნიკაციური (კომუნიკაცია, ენა, მეტყველება) და ადაპტური უნარები (თვით-მოვლა).

ჩვილობისა და შემდეგ ადრეული ბავშვობის ასაკში, ბავშვის კოგნიტურ-კომუნიკაციური, სოციალურ-ემოციური და მოტორული უნარები გასაოცარი სისწრაფითა და ერთმანეთზე დამოკიდებულებით ვითარდება. ეს არის პერიოდი, როდესაც საფუძველი ეყრება აზროვნებისა და მეტყველების უნარებს, ბავშვი ეტაპობრივად სწავლობს დამოუკიდებლობას, ვითარდება წარმოსახვისა და შემოქმედების უნარები, ბავშვი ნელ-ნელა იწყებს იმის გაგებას, თუ, რას შეიძლება ფიქრობდეს ან გრძნობდეს სხვა - 1997 წელს ჩატარებული გოპნიკისა და რეპაჩოლის კვლევა (1) ადასტურებს, რომ ბავშვებს უკვე 18 თვის ასაკიდან შეუძლიათ იმის გარჩევა, თუ რას ანიჭებენ უპირატესობას სხვები. ეტაპობრივად საფუძველი ეყრება სხვებთან ეფექტური ურთიერთობების და საკუთარი თავის განსჯის უნარს, ასევე ემოციურ ინტელექტს - ადამიანის უნარს გაიგოს და გაიაზროს ემოცია, ესმოდეს სხვების გრძნობები და შეძლოს საკუთარი ემოციების რეგულირება სხვებთან მიმართებაში. ემოციური კომპეტენცია მიემართება ისეთ ცნებებს როგორცაა თვით-შემეცნება, ემპათია, იმპულსების კონტროლი, სხვისი მოსმენა, გადაწყვეტილების მიღება და ბრაზის მართვა (2-3).

რაც უფრო მაღალია ზემოთ ჩამოთვლილი კომპეტენციები ადამიანებში, მით უფრო მაღალგანვითარებული და კეთილდღეობაზე ორიენტირებულია საზოგადოება. თავისთავად ცხადია, რომ ის ასაკი, როდესაც ამდენ მნიშვნელოვან უნარს ეყრება საფუძველი, პრინციპული მნიშვნელობის მქონე და ადამიანის მომავალი ცხოვრების განმსაზღვრელია.

¹ როგორ უწყობს ხელს ადრეული ინტერაქცია თავის ტვინის ნეირონების განვითარებას ჩვილებსა და ბავშვებში, იხ: <https://www.zerotothree.org/>; რა სჭირდებათ ბავშვებს ჩვილობისა და ადრეულ ბავშვობაში ჯანსაღი განვითარებისათვის, იხ: http://www2.first5kids.org/parenting/tips_10

გენეტიკურ განმაპირობებლებთან ერთად, სწორედ ამ ასაკში ჩადებულ საფუძვლებზეა დამოკიდებული, როგორი თვითრწმენა და თვითშეფასება ექნება ბავშვს. შესაბამისად, როგორ შეძლებს სოციალურ გარემოში ორიენტაციას, რა დამოკიდებულება და ღირებულებები ჩამოუყალიბდება მის გარშემო მყოფი ადამიანებისა და მოვლენების მიმართ, რამდენად შეძლებს იყოს თვითრეალიზებული და ბედნიერი.

შესაბამისად, უაღრესად მნიშვნელოვანია, რაც შეიძლება ადრეული ასაკიდან შევუქმნათ ბავშვებს მასტიმულირებელი და მხარდამჭერი გარემო - ადრეული ინტერაქცია გადამწყვეტ გავლენას ახდენს თავის ტვინის ნეირონების განვითარებასა და ჯანსაღ ზრდაზე. მნიშვნელოვანია, რომ ყველა ბავშვს ეძლეოდეს გარესამყაროსთან მდიდარი და უსაფრთხო ურთიერთობის საშუალება; შესაძლებლობა, იზრდებოდეს სიყვარულით აღსავსე, უსაფრთხო და სტაბილურ გარემოში, სადაც მისი პიროვნული ღირსებისა და თვითრწმენის განვითარებას პატივისცემით ეპყრობიან, სადაც მის გვერდით არიან ადამიანები, ვისაც ბავშვი ენდობა და ვინც ბავშვის საჭიროებებსა და ემოციებს ადეკვატურად პასუხობს. (4)

ადრეულ ასაკში ბავშვს უნდა მიეცეს მოძრაობისა და ფიზიკური განვითარების შესაძლებლობა. მიეცეს შესაძლებლობა, სამყარო თამაშისა და „კვლევის“ გზით შეიმეცნოს. მას უნდა ეძლეოდეს საკუთარი ემოციებისა და აზრების გაცემისა და სხვისი ემოციებისა და აზრების მიღების შესაძლებლობა; შესაძლებლობა, ეზიაროს მუსიკასა და ხელოვნებას.

ადრეული განათლების როლი ბავშვის განვითარებაში

ბავშვებს განვითარების ერთმანეთისგან განსხვავებული ტემპი აქვთ, მაგრამ ყველა მათგანს ჭირდება მრავალფეროვანი და მხარდამჭერი გარემო, რათა ბავშვებმა განივითარონ არსებული უნარები და დაეუფლონ ახლებს. კვლევები აჩვენებს, რომ ის ბავშვები, რომლებიც ხარისხიან სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში დადიოდნენ, სკოლაში უკეთეს შედეგებს ავლენენ სწავლასა და განვითარებაში, იმ ბავშვებთან შედარებით, რომლებიც დაბალი ხარისხის საგანმანათლებლო დაწესებულებებში დადიოდნენ.² ხარისხიანი ადრეული განათლება ბავშვებს აძლევს შესაძლებლობას, უკეთ მოემზადონ სკოლისათვის და იმის მეტ წინაპირობას იძლევა, რომ ბავშვების სასკოლო გამოცდილება წარმატებული იყოს. სწორედ ამიტომ, ადრეული განვითარებისა და განათლების დარგის სპეციალისტები მშობლებს ურჩევენ ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულების შერჩევას, გაითვალისწინონ:

- არის თუ არა ბაღში, ბავშვის ჰოლისტური³ განვითარების თვალსაზრისით, უსაფრთხო და მხარდამჭერი გარემო?
- ღებულობენ თუ არა აღმზრდელები ბავშვებთან ურთიერთობისას სიამოვნებას?
- რა თანაფარდობაა აღმზრდელებსა და ბავშვებს შორის?
- ესაუბრებიან თუ არა აღმზრდელები ბავშვებს პატივისცემით და ახალისებენ თუ არა ბავშვებს გამოთქვან თავიანთი გრძნობები და აზრები?

2 მეტი ამ საკითხზე იხ: <http://www.oecd.org/education/school/Early-Learning-Matters-Project-Brochure.pdf>

3 ჰოლისტური მიდგომა ბავშვის განვითარებაში ნიშნავს, რომ გააზრებული გაქვს განვითარების ყველა სფეროს - შემეცნებითი, სოციალურ-ემოციური, კომუნიკაციური-ენობრივი, მოტორული და თვითმოვლის - ურთიერთკავშირი და ერთიანობა.

- სხდებიან თუ არა დროდადრო უფროსები ბავშვებთან სათამაშოდ იატაკზე?
- ხელს უწყობს თუ არა ბავშვი მშობლების ჩართულობას?
- გამოიყურებიან თუ არა ბავშვები ბედნიერად?

ბავშვის განვითარების ბევრი სხვადასხვა თეორია არსებობს. თუმცა, ყველა თეორიის მიხედვით, ბავშვი სხვებთან ურთიერთობისას, სხვებთან ინტერაქციისას ვითარდება და მის განვითარებაზე უდიდეს მნიშვნელობას ახდენს ის გარემო, რომელშიც მას უნევს არსებობა. თანამედროვე განათლება სწორედ ბავშვზე გარემოს ზეგავლენის მნიშვნელობის გააზრების კონტექსტში ჩამოყალიბდა (5).

რატომაა ინკლუზიური განათლება მნიშვნელოვანი ყველა ბავშვისთვის?

განათლება ინკლუზიურია, როდესაც ყველა ბავშვი, მიუხედავად მისი ფიზიკური, მენტალური თუ სოციალური შესაძლებლობებისა, მისი სახლის მახლობლად არსებულ ბაღსა თუ სკოლაში დადის და მის ასაკობრივ ჯგუფსა თუ კლასშია ჩართული; განათლება ინკლუზიურია, როდესაც ბავშვს მიენოდება შესაბამისი, მასზე მორგებული მხარდამჭერა, რათა წარმატებას მიაღწიოს საბაზისო პროგრამის დაძლევაში (6-10).

ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს შექმნა⁴, პირველ რიგში, ამ პროცესში ჩართული ადამიანების ღირებულებებიდან და იმის გააზრებიდან იწყება, რომ ყველა ბავშვს განვითარების ინდივიდუალური ტემპი, ასევე ინდივიდუალურად გამოხატული ძლიერი მხარეები და საჭიროებები აქვს; რომ ინდივიდუალური მიდგომა და ინდივიდუალიზაცია⁵ მნიშვნელოვანია ყველა ბავშვისათვის; რომ სოციალურ-ემოციური კომპეტენციის სწავლება და ემპათია ღირებულია ყველა ბავშვისათვის; რომ ბავშვების ჯგუფი ირეკლავს და ასახავს იმ გარემოსა და კულტურას, რომელშიც ყველა ბავშვი იზრდება და ცხოვრობს.

ადრეული წლები მნიშვნელოვანია ბავშვის დამოუკიდებლობის და ქცევების ჩამოყალიბებაში, ასევე სხვების მიმართ ემპათიის, მრავალფეროვნების დაფასების უნარის საფუძვლების ჩამოყალიბებაში. ამ დამოკიდებულებების განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს მშობლებისა და მასწავლებლების ქცევა. ჩვენ ყველას გვინდა, რომ ჩვენი შვილები მზრუნველები იყვნენ და სხვისი გათვალისწინება შეეძლოთ. იმ გამოცდილების ბავშვობიდან შეთვისება, რომ მრავალფეროვნება და განსაკუთრებული საჭიროებები ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, ადამიანებს უფრო ემპათიურს, გამოცდილს და ძლიერს ხდის.

4 1989 წლის 20 ნოემბერს მიღებული ბავშვის უფლებათა კონვენცია, რომელსაც საქართველო 1994 წელს შეუერთდა, მისი არსიდან გამომდინარე მსოფლიოს ყველაზე მეტ ქვეყანაშია რატიფიცირებული. ამით ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ ყველა ბავშვი დაცული უნდა იყოს ძალადობისა და გარიყვისაგან. 1995 წელს მიღებული სალამანკას დეკლარაცია ქვეყნებს მოუწოდებს, რომ შეიმუშაონ პროცედურები საგანმანათლებლო პროცესში ყველა ბავშვის ჩასართავად. ამ დეკლარაციის 53-3 პუნქტი ამბობს, რომ: “წარმატებული ინკლუზიური განათლების საფუძველი, სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვების ადრეული იდენტიფიცირება, ადრეული შეფასება და ადრეული სტიმულირებაა. ადრეული საგანმანათლებლო დაწესებულებები, ისინი, სადაც ბავშვები 6 წლამდე ხვდებიან, უნდა რეფორმირდნენ საიმისოდ, რომ ხელი შეუწყონ ყველა ბავშვის ფიზიკურ, ინტელექტუალურ, სოციალურ განვითარებას და სკოლისათვის მზაობას“. 2006 წლის 13 დეკემბერს გაერომ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია“ მიიღო. ამ კონვენციის 24-ე მუხლის თანახმად, მხარეებმა უნდა უზრუნველყონ ინკლუზიური სწავლება საგანმანათლებლო სისტემების ყველა დონეზე. საქართველო ამ კონვენციას 2014 წლის აპრილში შეუერთდა.

5 ინდივიდუალიზაციის შესახებ ვრცლად იხ.: მე-3 თავში, ინდივიდუალიზაციის ნიმუშები იხ.: დანართი 9.

ინკლუზიური განათლება ცვლის დამოკიდებულებებს განსხვავებულობის მიმართ და საფუძველს უყრის სამართლიანი, არადისკრიმინაციული საზოგადოებების შენებას (10).

გარდა ამისა, ხარისხიან ინკლუზიურ საგანმანათლებლო სივრცეში, სწავლის სხვადასხვაგვარი ტემპის გათვალისწინებით, მუდმივად გამოიყენება სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები, რასაც სარგებელი მოაქვს ყველა ბავშვისათვის. ინკლუზიური განათლება სარგებლის მომტანია არა მხოლოდ განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისათვის, არამედ ყველა ბავშვისათვის და ამ სისტემაში ჩართული ყველა ადამიანისათვის, რადგან ამგვარი სისტემის აწყობისას, რეალურ ცხოვრებაში ვატარებთ კაცობრიობის მიერ შემუშავებულ ოქროს წესს, რომელიც საერთოა ყველა დიდი რელიგიისათვის და საფუძვლად უდევს თანემედროვე ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ ყველა კანონსა თუ კონვენციას - **მოქეცი სხვას ისე, როგორც შენ გინდა, რომ გექცეოდნენ.**

მაღალი ხარისხის ადრეულ ინკლუზიურ განათლებაში ყურადღებას აქცევენ, რომ აღმზრდელ-პედაგოგებსა და აღმზრდელებს აქვთ მიღებული განათლება, რომლის თანახმადაც, იციან, როგორ სწავლობენ და ვითარდებიან ბავშვები. მასწავლებლებს ესმით, რომ განვითარების ყველა სფერო თანაბრად მნიშვნელოვანია და რომ ბავშვები ვითარდებიან თანმიმდევრულად, განვითარების თავიანთი ინდივიდუალური ტემპის შესაბამისად. მასწავლებლებს ესმით ურთიერთობის გადამწყვეტი მნიშვნელობა და ესმით, რომ ადრეულ გამოცდილებას ძალიან ხანგრძლივი ეფექტი აქვს. ამგვარ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბავშვის მიერ ინიცირებული და უფროსის მიერ ინიცირებული აქტივობები კარგადაა დაბალანსებული. ამგვარ სასწავლო დაწესებულებებში აქვთ მასალათა მრავალფეროვნება, რომლითაც ბავშვი შეიძლება დაინტერესდეს. მაგალითად, ერთ დღეს ისინი დასათვლელად ქვებს იყენებენ, მეორე დღეს კი ფოთლებს. ეს ეხმარება ბავშვებს დასწავლილის გენერალიზებაში და ნასწავლის ყოველდღიურ ცხოვრებაში უკეთ გამოყენების საშუალებას აძლევს. მათ მიერ დაგეგმილ აქტივობებში ჩანს, რომ ისინი ითვალისწინებენ განვითარების სხვადასხვა სფეროებში - შემეცნება, სოციალურ-ემოციური, ენა (გაგება და გამოხატვა) და ფიზიკური განვითარება (უხეში და ნატიფი მოტორიკა) უნარების ინტეგრირებულად განვითარების მნიშვნელობას (11).

ამგვარ დაწესებულებებში სწავლების სტილი აქტიური და თამაშზე დაფუძნებულია, რადგან იქ მომუშავე ადამიანებმა იციან, რომ ამ ასაკში თამაში სწავლისა და შემეცნების თავდაპირველი გზაა. ისინი არ ითხოვენ გაუაზრებელ დაზეპირებას და ფაქტების დამახსოვრებას, არამედ ეხმარებიან ბავშვებს, შეითვისონ სწავლის ახალი სტრატეგიები, გადაჭრან პრობლემები და მიიღონ ახალი ინფორმაცია. ასეთ ბაგა-ბალებში ყავთ მასწავლებლები, რომლებიც ხელს უწყობენ ბავშვების ფიქრსა და აზროვნებას იმით, რომ უსვამენ შეკითხვებს და უსმენენ აქტიურად⁶. მათ ყავთ მასწავლებლები, რომლებიც ბავშვებს უქმნიან გარემოს, სადაც მათ დაფიქრებით უნდა მიაღწიონ შედეგს, ხელს უწყობენ ბავშვებს გამოიყენონ თავიანთი უნარები სხვადასხვაგვარ ვითარებაში და აღიარებენ ბავშვების ინდივიდუალური ინტერესების, ძლიერი მხარეების და მოტივების მნიშვნელობას (11).

6 აქტიური მოსმენა ნიშნავს როცა მთელი შენი სხეულის ენით აჩვენებ ბავშვს, რომ უსმენ, ხარ მისკენ გადახრილი, შეძლებისდაგვარად იმყოფები მის სიმაღლეზე, უყურებ ყურადღებით და ინტერესით ელოდები მისი ნათქვამს.

განათლების ხარისხიან ადრეულ ინკლუზიურ დაწესებულებებში პროგრამა, სწავლების სტილი და პრაქტიკა ასაკობრივი განვითარების შესაბამისი უნდა იყოს და, ძირითადად, **თამაშს** ეფუძნებოდეს, რადგან, საბოლოოდ, მხოლოდ ამგვარად აწყობილი პროგრამა ავითარებს სკოლის მზაობისათვის ისეთ მნიშვნელოვან უნარებს, როგორცაა:

- ყურადღების მობილიზება და თვითრეგულირება;
- გარშემო არსებული გამღიზიანებლების მიუხედავად, საკუთარი ემოციებისა და ქცევის კონტროლი;
- იმედგაცრუებასთან გამკლავება;
- სწავლის მოტივაცია და ჯგუფში მუშაობის უნარები.

ინკლუზიური განათლება ბევრად უფრო ფართო მნიშვნელობის მომცველი ცნებაა, ვიდრე მხოლოდ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის/მოსწავლის ბაგა-ბაღის ჯგუფში ან კლასში ყოფნა, ან თუნდაც, წარმატებული ჩართვა.

ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემო გულისხმობს, რომ ამ გარემოს თითოეული წევრი მიღებული და დაფასებულია ისეთი, როგორც არის. დღეს ინკლუზიური გარემოს შეფასებისას კითხვებს სვამენ არა მხოლოდ იმის შესახებ, თუ რამდენი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვია ჯგუფში ან კლასში, ან რამდენს აქვს განვითარების ინდივიდუალური გეგმა, არამედ იმის შესახებ, თუ რამდენად ხვდებიან და იღებენ საგანმანათლებლო გარემოში ყველას კეთილგანწყობილად; ეხმარებიან თუ არა ბავშვები ერთმანეთს; ეპყრობიან თუ არა პედაგოგები და ბავშვები ერთმანეთს პატივისცემით; ამყარებენ თუ არა აღმზრდელები კავშირს ბავშვის ბაღის ცხოვრებასა და ბავშვის ოჯახში ყოველდღიურ ცხოვრებას შორის; რამდენად იზიარებს ბაღში დასაქმებული ყველა ადამიანი ინკლუზიურ ღირებულებებს; არის თუ არა ყველა ბავშვის მიმართ მაღალი მოლოდინი; არის თუ არა ყველა ბავშვი ერთნაირად მნიშვნელოვანი; რამდენად ეხმარება ბაღი ბავშვებს, იგრძნონ თავი თავდაჯერებულად და რამდენად უწყობს ხელს ბაღი ბავშვებს თვითრწმენის ამაღლებაში; ეძლევათ თუ არა აღმზრდელებსა და აღმზრდელ-პედაგოგებს განვითარებისა და წინსვლის საშუალება; ეხმარებიან თუ არა ყველა ახალმოსულს - ბავშვსა თუ უფროსს, მოსწავლესა თუ მასწავლებელს გარემოსთან შეგუებაში; რამდენად გამოიყენება ბავშვებს შორის არსებული განსხვავებები რესურსად თამაშის, სწავლების და ჩართულობისთვის; რამდენად ქმნიან უფროსები ბაღში მშვიდ ატმოსფეროს, რომელიც ერთმანეთის პატივისცემას ეფუძნება; არის თუ არა აქტივობების დაგეგმვისას ყველა ბავშვი გათვალისწინებული (12).

ინკლუზიური განათლების თანამედროვე გაგება (12) გულისხმობს საგანმანათლებლო სივრცეში შემავალი ყველა ადამიანის - ბავშვების, მათი აღმზრდელებისა და პედაგოგების, მათი მშობლების, დაწესებულების ადმინისტრაციის და ტექნიკური პერსონალის საერთო ძალისხმევას იმისათვის, რომ ამ სივრცეში ჩართულად, დაფასებულად და ღირსეულად გრძნობდეს თავს ყველა ის, ვინც უფრო მოძრავი და აქტიურია და ის, ვინც სიმშვიდესა და ნაკლებ მოძრაობას ირჩევს; ის, ვინც ძლიერ განათებას ირჩევს და ის, ვისაც კაშკაშა სინათლე თვალს ჭრის; ის, ვინც ძალიან სწრაფად სწავლობს და ის, ვისაც ახალი ინფორმაციის ასათვისებლად მეტი დრო სჭირდება; ის, ვინც უკეთ მოსმენით იგებს და ის, ვისაც თვალთ დანახულის აღქმა ურჩევნია; ის, ვინც საკუთარ თავს შესტებითა და მიმიკით უკეთ გამოხატავს და ისიც, ვინც საკუთარ თავს ნახატებით ან იმიტაციური მოძრაობებით გამოხატავს; ის, ვისაც ყურადღების ცენტრში ყოფნა უყვარს და ისიც, ვისაც დროდადრო განმარტოება ურჩევნია; ის, ვისი მშობლიური ენა და კულტურული ტრადიციები განსხვავებულია და ის, ვინც უმრავლესობის ენასა და კულტურას იზიარებს. განათლება ინკლუზიურია,

ანუ უნივერსალურია⁷, როდესაც მასში ჩართულ ყველა ადამიანს აქვს განცდა, რომ მისი და მისი ემოციების ესმით, მის თავისებურებებს ითვალისწინებენ, აზრს ეკითხებიან და ამ აზრის გამოსახატად მრავალფეროვან საშუალებებს სთავაზობენ.

გამოყენებული რესურსები:

1. Repacholi, B. M., & Gopnik, A. (1997). Early reasoning about desires: Evidence from 14- and 18-month-olds. *Developmental Psychology*, 33(1), 12-21.
2. Howard Gardner, Emotional Intelligence, (Bloomsbury 1996).
3. Daniel Goleman, Working with emotional intelligence (Bloomsbury 1998).
4. Ainsworth&Bowlby, an Ethological Approach to Personality Development American Psychologist. Vol. 46 (4) April 1991, pp. 333-341.
5. The science of early childhood development – National Scientific Council on the Developing Child, Harvard University, January 2007.
6. Bui, Quirk, Almazan, & Valenti, (2010). Inclusion and Special Education.
7. Alquraini & Gut, (2012). Critical Components of Successful Inclusion of Students with Severe Disabilities: Literature Review. *International Journal of Special Education*, 27, 42-59.
8. Deborah A. Ziegler, editor, (2010). Inclusion for All.
9. Maya Sabatello, Marianne Schulze, (2013). Human Rights and Disability Advocacy.
10. UNESCO, (2009). Policy Guidelines on Inclusion.
11. Mary Moran, (2014). Inclusive Preschool Programmes, UNICEF webinar N 9.
12. Tony Booth, (2002). Index of Inclusion.

7 იხ: ამ წიგნის მეორე ნაწილი: უნივერსალური დიზაინი და თამაშის მნიშვნელობა

როგორ უნდა ხდებოდეს ხარისხიანი ინკლუზიური განათლების ორგანიზება

როგორ შევქმნათ ინკლუზიური განათლების სტრატეგიის დოკუმენტი

2016 წლის ზაფხულში საქართველოს პარლამენტმა მიიღო **კანონი სკოლამდელი განათლების შესახებ**⁸. კანონის მე-8 მუხლი ამბობს, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო „ინკლუზიური განათლების პრინციპების გათვალისწინებით, ამზადებს საგანმანათლებლო რესურსების სიასა და მეთოდოლოგიურ რესურსებს, უზრუნველყოფს ამ რესურსების მუნიციპალიტეტებისათვის ხელმისაწვდომობას (დ პუნქტი) და ხელს უწყობს ინკლუზიური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ საზოგადოების ინფორმირებას (ზ პუნქტი)“. ხოლო კანონის მე-10 მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტები უზრუნველყოფენ „თანაბრად ხელმისაწვდომი და ინკლუზიური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიწოდებას“. ამავე კანონის მე-17 მუხლის შესაბამისად, ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულებები (ბაგა-ბალები) შეიმუშავენ და განახორციელებენ დაწესებულების სტრატეგიას „ინკლუზიურ განათლებასთან, ძალადობისგან ბავშვის დაცვასთან, უსაფრთხოებასთან, სანიტარიასა და ჰიგიენასთან დაკავშირებული სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად“. სკოლამდელი განათლების კანონის 23-ე მუხლის თანახმად, „დაწესებულება უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების მიწოდებას ბავშვებისთვის, მიუხედავად მათი ფიზიკური, შემეცნებითი, სენსორული, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური, გენდერული თუ სხვა მახასიათებლებისა“⁹. შესაბამისად, დღეს უკვე საქართველოში არსებულ ადრეული განათლების დაწესებულებებს არა მხოლოდ საერთაშორისო კონვენციები და დეკლარაციები ავალდებულებს, შექმნას ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემო, არამედ ამას ადგილობრივი კანონმდებლობაც მკაფიოდ მოითხოვს.

როგორც აღინიშნა, კანონის მე-17 მუხლი საგანმანათლებლო დაწესებულებებს ინკლუზიური განათლების სტრატეგიების შეიმუშავებასა და განხორციელებას ავალდებულებს.

იმისათვის, რომ ბაგა-ბაღმა შეძლოს ბავშვებისათვის მაღალხარისხიანი ინკლუზიური ადრეული განათლების მიწოდება, დაწესებულებაში უნდა არსებობდეს ინკლუზიური განათლების გაზიარებული ხედვა და სტრატეგია. გაზიარებული ხედვისა და სტრატეგიის შეიმუშავება კი მხოლოდ ყველა თანამშრომლის ჩართულობითა და აქტიური მონაწილეობითაა შესაძლებელი. ინკლუზიური განათლების ხედვისა და სტრატეგიის დოკუმენტი, რომელიც სხვა ორგანიზაციის ან მხოლოდ ბაგა-ბაღის ადმინისტრაციის მიერაა შეიმუშავებული და შემდეგ დარიგებული თანამშრომლებისათვის, ვერ იქნება ცოცხალი დოკუმენტი, ვერ შეასრულებს თავის ფუნქციას და განწირული იქნება თაროზე შემოდებისათვის.

8 http://ssa.gov.ge/files/01_GEO/KANONMDEBLOBA/Sakanonmdeblo/42.pdf

9 კანონი ასევე ამბობს, რომ დაწესებულება ვალდებულია გააგრძელოს ინკლუზიური განათლების პროგრამაში ჩართული ბავშვებისთვის განათლების მიწოდება 7 წლამდე, თუ, ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, ჯერ კიდევ არ არის მიზანშეწონილი მისი სკოლაში შესვლა, მიუხედავად შესაბამისი ასაკისა. ამ შემთხვევაში, გადაწყვეტილებას იღებს ბავშვის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი, მის აღზრდელ-პედაგოგებთან და შესაბამის სპეციალისტებთან კონსულტაციის საფუძველზე.

ხედვისა და სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავებაში არსებითი არა მხოლოდ საბოლოო პროდუქტია არამედ, ამ დოკუმენტის შემუშავების პროცესი. დოკუმენტის შემუშავების პროცესში ლიდერისა და ინიციატორის როლი დაწესებულების ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს. ამისათვის იგი, პირველ რიგში, კარგად უნდა იცნობდეს ადრეული განათლების თანამედროვე პრინციპებსა და მეთოდებს, კარგად უნდა ჰქონდეს გააზრებული განვითარების შესაბამისი პრაქტიკის როლი ბავშვის განვითარებაში, ინკლუზიური საზოგადოების შენების მნიშვნელობა და ადრეული განათლების ღირებულება ამგვარი საზოგადოების შენების პროცესში. შესაბამისად, სანამ დაწესებულების ხელმძღვანელი ინკლუზიური განათლების ხედვისა და პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად თანამშრომელთა შეხვედრების ორგანიზებას დაიწყებს, მან უნდა უზრუნველყოს, რომ ეს ცოდნა და ღირებულებები მის თოთოეულ თანამშრომელს გაუზიაროს სხვადასხვა მასალების წაკითხვის, შესაბამის სემინარებსა და ტრენინგებში მონაწილეობის გზით.

მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულების ბიუჯეტი და ორგანიზაციული პოლიტიკა ყოველწლიურად ითვალისწინებდეს ფინანსებს მასწავლებელთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, ასევე დროს, რაც ბაღში დასაქმებულ ადამიანებს პროფესიული განვითარებისთვის სჭირდებათ, იქნება ეს შეხვედრები (მშობლებთან, სხვა სპეციალისტებთან, საერთო სემინარები), თუ დრო, მასალების კითხვისა და მომზადებისთვის, დაგეგმვისთვის და ა.შ.

ინკლუზიური განათლების შესახებ ცნობიერების ამაღლება შემდეგი გზითაც შეიძლება: არსებობს საკმაოდ ბევრი თანამედროვე მხატვრული ფილმი, რომელიც ინკლუზიური განათლების, უმცირესობებისა და უმრავლესობის ურთიერთობების, ტოლერანტობისა და დისკრიმინაციის საკითხებს საინტერესოდ ეხება. შესაძლებელია, ორგანიზაციის ხელმძღვანელმა შეარჩიოს ამგვარი ფილმი, თანამშრომლებთან ერთად დათქვას დღე და არაფორმალურ გარემოში მოაწყოს ფილმის ყურება და განხილვა. შესაძლებელია, განხილვაზე მოიწვიოს ამ თემებზე მომუშავე ადამიანი, რომელსაც თქვენს თემში იცნობენ და პატივს სცემენ.

ამ საკითხებზე თანამშრომელთა მგრძობელობის გაზრდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მშობელთა ორგანიზაციების დახმარებითაც შეგიძლიათ. არაფორმალურ გარემოში, სოციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების მშობლებთან შეხვედრა, მათი გამოცდილებების, ემოციების, დამოკიდებულებების მოსმენა და გაზიარება ინკლუზიური განათლების მიმართ ცნობიერების ამაღლების კარგი გზაა.

შეგიძლიათ თანამშრომლებს სთხოვოთ, წაიკითხონ ამ გზამკვლევის შესაბამისი თავები (ან ამ თემაზე ქართულ ენაზე შექმნილი სხვა სახის მასალები)¹⁰ და შემდეგ მოაწყონ შეხვედრები წაკითხულის შესახებ სამსჯელოდ. ამგვარი პრაქტიკის შემოღება აუმჯობესებს თანამშრომელთა კვალიფიკაციას არა მხოლოდ ინკლუზიური განათლების, არამედ ზოგადად ადრეული ხარისხიანი განათლების მიმართულებით. გარდა ამისა, ეს ხელს უწყობს თანამშრომელთა დაახლოებას და დაწესებულებაში პროფესიული ზრდისა და ეთიკის დაცვის მაღალი სტანდარტების დანერგვას.

ცხადია, ყველაფერ ამასთან ერთად, თანამშრომლები კარგად უნდა იცნობდნენ და პრაქტიკაში იყენებდნენ საქართველოს მთავრობის მიერ 2017 წლის ოქტომბერში დამტკიცებულ „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების

10 მაგალითად „10 განსაკუთრებული ვაკეითილი“. შესაძლებელია, გადმოწეროთ ამ ვერსიიდან: <http://elibrary.emis.ge/ge/books/details/128>

სტანდარტს“¹¹, რომელიც თავისი არსით ინკლუზიური სულისკვეთების მატარებელი დოკუმენტია და ასევე მთავრობის დადგენილებით დამტკიცებულ „აღზრდელ-პედაგოგის პროფესიულ სტანდარტსაც“¹², რომელიც აღზრდელ-პედაგოგისგან მოითხოვს, პასუხობდეს თანამედროვე ადრეული განათლების პრინციპების ყველა მოთხოვნას.

ბაგა-ბაღში დასაქმებული ადამიანების პროფესიული ზრდისა და ეთიკური სტანდარტების დასამკვიდრებლად სასარგებლო იქნება, მოაწყონ შეხვედრები, სადაც თანამშრომლებს მაგალითისათვის გააცნობთ თბილისის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ დოკუმენტს „პერსონალისთვის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების შესახებ“, (დანართი 4) რომელიც UNICEF-ის დახმარებით მომზადდა და დაუსვამთ შეკითხვებს, მათი აზრით, რა სახის პროფესიული ზრდა სჭირდებათ საიმისოდ, რომ ამ დოკუმენტში ასახულ მოთხოვნებს აკმაყოფილებდნენ, როგორ უყურებენ ისინი თავიანთ პრაქტიკას, როგორი უნდათ, რომ ის გახდეს და ა.შ. შექმენით ბაგა-ბაღში გარემო, სადაც აღზრდელ-პედაგოგები და აღზრდელები იგრძნობენ, რომ მათი ლტოლვა პროფესიული ზრდისადმი დაფასებული და გაზიარებულია.

ინკლუზიური განათლების ხედვისა და პოლიტიკის შექმნა სწორედ ამ საერთო პროფესიული ზრდის სულისკვეთების საყოველთაო და გაშინაგნებული ნაწილი უნდა იყოს. ის უნდა აღიქმებოდეს თანამშრომელთა გუნდის მიერ საერთო ძალისხმევითა და პასუხისმგებლობით მიღებულ სამოქმედო პრინციპად და არა გარედან თავს მოხვეულ ინსტრუქციად, რომელიც მხოლოდ იმიტომ შეიქმნა, რომ ამას მონიტორი ან კანონი ითხოვს.

რა შეკითხვებს უნდა პასუხობდეს სტრატეგიის დოკუმენტი?

სანამ ინკლუზიური განათლების ხედვასა და პროცედურებზე დაიწყებთ საერთო მსჯელობას, წარმოიდგინეთ, რომ ხართ მშობელი, რომელმაც თავისი შვილი, რომელსაც განვითარების გარკვეული სირთულეები აქვს, პირველად უნდა მიიყვანოს საბავშვო-ბაღში. შეეცადეთ, წარმოიდგინოთ მისი განცდები, შიშები და ემოციები. ამის შემდეგ, ერთად დაფიქრდით, რისი გაკეთება შეგიძლიათ იმისათვის, რომ მშობელსა და ბავშვს ახალ გარემოსთან შეგუების ეს რთული ეტაპი გაუადვილოთ.

დაიწყეთ სულ პირველი ნაბიჯით და დაფიქრდით იმაზე, რას „ეუბნება“ თქვენი ბავშვის გარემო (შემოსასვლელისა და ეზოს ჩათვლით) გარედან შემოსულ ადამიანს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნებები (პლაკატები, სიმბოლოები, ფოტოები და ა.შ.) იმის თაობაზე, რომ აქ ყველას გულლიად ხვდებიან?

დაფიქრდით, ხომ არ ხვდებით მშობლებს ზედმეტად ფორმალურად და ხომ არ უქმნით მათ ზედმეტ ბარიერებს ურთიერთობისას? მაგალითად, მძიმე ავეჯის მიღმა მჯდომი დირექტორი, რომელიც პირველად მოსულ მშობელს თავისი „თანამდებობრივი სიმალლიდან“ ესაუბრება. ხომ არ იქნებოდა უმჯობესი, მშობლებთან საუბრისას, სკამები ისე დაგვედგა, რომ ჩვენს შორის ავეჯისა და „სტატუსობრივი“ ბარიერები არ აღმართულიყო?

ყველანი ერთად დაფიქრდით, რამდენად აძლევთ ბავშვსა და მშობელს საშუალებას, ბავშვის გარემო, ოთახები, დღის განრიგი, ბაღში დამკვიდრებული

11 ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სტანდარტი <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3310237?publication=5>

12 აღზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3837404?publication=0>

წესები წინასწარ შეისწავლოს? იგეგმება თუ არა გააზრებულად ბავშვის ბალთან შეგუების პირველი სამი კვირა? ვინ არის/არიან ამ დაგეგმვასა და მის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები?

ერთად გაიაზრეთ, რამდენადაა ყველა თანამშრომლისთვის - აღმზრდელ-პედაგოგებისათვის, აღმზრდელებისათვის, ბაღში დასაქმებული სხვა პირებისათვის (ფსიქოლოგი, სპეც, პედაგოგი და ა.შ.) გასაგები, რა შემთხვევაში დგება ინდივიდუალური გეგმა, რა შემთხვევაში ვიფარგლებით ინდივიდუალიზაციის ჩანაწერებით კვირის ან დღის საერთო გეგმებში? (იხ.: თავი 3.) ვინ არის ინდივიდუალურ გეგმასა და მის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი? რამდენად უზრუნველყოფილია მშობლის აქტიური მონაწილეობა ინდივიდუალური გეგმის შედგენისა და განხორციელების პროცესში?

ინკლუზიური განათლების ხედვისა და პოლიტიკის დოკუმენტი ასევე უნდა პასუხობდეს კითხვაზე, ვინ და რა გზით ეხმარება ბავშვებსა და მათ ოჯახებს, სახლიდან ბაღში და ბაღიდან სკოლაში ტრანზიციის¹³ პროცესში? რა ინფორმაცია და დოკუმენტები მიყვება ბავშვს სკოლაში? ამ კითხვაზე საპასუხოდ, ცხადია, ბაგა-ბაღის თანამშრომლებს კარგად უნდა ჰქონდეთ გააზრებული, რას ნიშნავს ტრანზიცია თავისი არსით და რამდენად მნიშვნელოვანია ბავშვებისა და ოჯახების მხარდაჭერა ასეთ დროს.

ინკლუზიის დოკუმენტზე, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ინკლუზიური განათლების პროცედურებზე ფიქრისას, პასუხი უნდა გავცეთ ისეთ კითხვასაც, თუ როგორ ვიქცევით, როდესაც ბავშვის ქცევასთან ან განვითარებასთან დაკავშირებით, წუხილები ბაღის გარემოში ჩნდება და ჯერ არ ვიცით, რა საპასუხო რეაქციები შეიძლება ჰქონდეს მშობელს. თუმცა, საამისოდ ბაღის დირექტორი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მისი ყველა თანამშრომელი კარგად იცნობს ბავშვზე დაკვირვებისა და ბავშვის შეფასების მეთოდოლოგიას (იხ.: თავი 3.), რომელიც ასე საბაზისოა ბავშვთან უშუალოდ მომუშავე ყველა ადამიანისათვის, ის რაც ზოგადად ყველა ბავშვის მიმართ ხარისხიანი განათლების დაგეგმვისა და განხორციელების საფუძველს წარმოადგენს.

ბაგა-ბაღს, რომელსაც ამბიცია აქვს, დაამკვიდროს მაღალი ხარისხის ადრეული ინკლუზიური და სკოლამდელი განათლება, თავისთავად ცხადია, ესმის გარე რესურსებთან თანამშრომლობის მნიშვნელობა. ბაგა-ბაღის ინკლუზიური განათლების პროცედურების დოკუმენტი უნდა პასუხობდეს იმ შეკითხვასაც, არსებობს თუ არა ბაღში ამგვარი რესურსების საკონტაქტო სია, და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რამდენად ეფექტურად იყენებს ბაღი ამ რესურსებს?¹⁴

ინკლუზიური განათლების ორგანიზაციული პოლიტიკის გზამკვლევადა ბაგა-ბაღებმა კითხვარში „ინკლუზიური გარემო - ათი შეკითხვა მშობლებისა და პრაქტიკოსებისათვის“-ში ჩამოყალიბებული 10 შეკითხვა და მისი შესაბამისი დებულებებიც შეიძლება გამოიყენონ (იხ. დანართი 14). თუ ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემა (შიდა მონიტორინგი) და გაუმჯობესების გზების ერთობლივი დასახვა ბაგა-ბაღის ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდება, ეს ბაღის გარემოსა და ბაღში განათლების ხარისხს თვალსაჩინოდ აამაღლებს. სტრატეგიის დოკუმენტზე მუშაობისას შემდეგ ქვეთავში განხილული საკითხებიც გამოგადგებათ.

13 იხ.: თავი 2, ქვეთავი: ტრანზიცია

14 იხ.: ამავე თავის ქვეთავი თემში არსებული რესურსების გამოყენება

გუნდური მიდგომა და ხშირად დასმული შეკითხვები

ინკლუზიური განათლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი გუნდური მუშაობაა. გუნდური მუშაობა ბაღის თანამშრომლებისგან გარკვეულ მზაობას მოითხოვს. პირველ რიგში, უნდა გესმოდეს და გჯეროდეს ამგვარი მუშაობის მნიშვნელობა და მეორე მხრივ, ბაგა-ბაღის ადმინისტრაცია უნდა უზრუნველყოფდეს შესაძლებლობას, რომ თანამშრომელმა რთული შემთხვევების საერთო კრებაზე გამოტანა და განხილვა შეძლოს. ასევე იმის შესაძლებლობას, რომ საჭიროების შემთხვევაში, ბავშვის გარშემო არსებულმა გუნდმა გარკვეული პერიოდულობით მშვიდ გარემოში შეხვედრა და ინდივიდუალურ გეგმაზე საუბარი შეძლოს.

განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის გარშემო შექმნილი გუნდის წევრები, როგორც წესი, არიან: აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი, მშობელი, ბაღში ან ბაღების გაერთიანებაში მომუშავე სპეციალური განათლების პედაგოგი, ფსიქოლოგი, ლოგოპედი, ბავშვთან ბაღის გარეთ მომუშავე სპეციალისტი (არსებობის შემთხვევაში, მაგალითად, ადრეული ჩარევის სპეციალისტი ანდა ოკუპაციური ან ფიზიკური თერაპევტი). გუნდი სასწავლო წლის მანძილზე სამჯერ მაინც უნდა იკრიბებოდეს.

ამგვარ შეხვედრებზე, კონფიდენციალობის¹⁵ წესების დაცვით, მსჯელობა, აღმზრდელ-პედაგოგს საშუალებას აძლევს, გაიზიაროს სხვების გამოცდილება. ხანდახან ბაღში მომუშავე ადამიანები არ ითხოვენ დახმარებას, რადგან მათ ეშინიათ, რომ არაკომპეტენტურად ჩათვლიან, ან მიაჩნიათ, რომ პრობლემის მოგვარებას თავად შეძლებენ. ეს შეცდომაა. ზოგიერთი ბავშვის აღზრდა-განათლება უფრო რთულია, ყველას სჭირდება გრძნობების გამოვლენა, კოლეგების დახმარება და დროდადრო რჩევების მიცემა. როცა საქმე გაქვთ პრობლემურ ქცევასთან, გუნდურად მუშაობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ადამიანებს, რომლებსაც განსხვავებული ხედვები და უნარ-ჩვევები აქვთ, შეუძლიათ ერთმანეთს დაეხმარონ კრეატიული და ეფექტური გადაწყვეტილების მისაღებად.

ზოგადად, ადრეული და სკოლამდელი განათლების სისტემაში გაცნობიერებული უნდა იყოს, რომ ერთი მხრივ, ბავშვის ბაგა-ბაღის ჯგუფის ცხოვრებაში ჩართულობაში მთავარი როლი აღმზრდელ-პედაგოგს აკისრია, მაგრამ მეორე მხრივ, აღმზრდელ-პედაგოგს აუცილებლად სჭირდება მხარდაჭერა და დახმარება, იქნებინ ეს ბაღში თუ ბაღს გარეთ მომუშავე ადამიანები¹⁶.

გუნდური მუშაობის პროცესის წარმოსადგენად, შევეცდებით პასუხი გავცეთ კითხვებს, რომელიც ყველაზე ხშირად ისმის ადრეული განათლების სისტემაში ჩართული ადამიანებისგან:

15 როცა კოლეგასთან საუბრობთ, დაიცავით ბავშვისა და ოჯახის შესახებ კონფიდენციალობა. თქვენი ეთიკური ვალია, თავდაჭერილი იყოთ პროფესიულ და პირად ცხოვრებაში. ბავშვზე და მის ოჯახზე საუბარი კოლეგებთან ყოველთვის უნდა ხდებოდეს, პერსონალური ინფორმაციის ბავშვისა და ოჯახის პერსონალური ინფორმაციის დაცვით და მხოლოდ და მხოლოდ, კოლეგებისგან პროფესიული რჩევების მიღების მიზნით. გახსოვდეთ, არ ისაუბროთ საზოგადოებრივ ადგილებში ბავშვებისა და მათი მშობლების შესახებ: არავინ იცის, ვინ ზის თქვენ უკან ხალხმრავალ კაფეში, ტრანსპორტში ან კინოთეატრში.

16 იხ.: ამავე თავის ქვეთავი: მხარდაჭერი სისტემები.

► ვინ არის პასუხისმგებელი ბავშვების ჯგუფში ჩართულობაზე?

ამ კითხვაზე ზოგადი პასუხი ასეთია: ბავშვის ჩართულობასა და კეთილდღეობაზე პასუხისმგებელია ბაღში მომუშავე ყველა ადამიანი. ბაღის დირექტორი უნდა უზრუნველყოფდეს, რომ ბაგა-ბაღის ინკლუზიური ხედვა და სტრატეგია მთელმა გუნდმა ერთად შეიმუშაოს და ამ დოკუმენტში მითითებულ წესებს ყველა ერთნაირად იცავდეს. ამ დოკუმენტის შემუშავების ტექნიკური მხარდაჭერა - შეხვედრების ორგანიზება, ჩანაწერების, თანამშრომელთა ხედვისა და მოსაზრებების შეკრება, ამ ხედვისა და მოსაზრებების საფუძველზე ინკლუზიის პოლიტიკის სამუშაო ვერსიის შექმნა, დირექტორის გადაწყვეტილებით, შესაძლოა სპეციალური განათლების პედაგოგს ან ფსიქოლოგს ან ბაღის მეთოდისტს დაევალოს. დოკუმენტის საბოლოო ვერსიას ბაგა-ბაღის დირექტორი ამტკიცებს და როგორც ზემოთ აღინიშნა, იგი ადევნებს თვალყურს, რომ სტრატეგიაში მითითებული წესები შესრულდეს.

როგორც ამის შესახებ ზემოთაც აღინიშნა, როდესაც ინკლუზიური განათლების სტრატეგია, ხედვა და პროცედურები თანამშრომლების აქტიური ჩართულობითა და შეთანხმებითაა შემუშავებული, როდესაც თანამშრომელთა როლები¹⁷ ამ მიმართულებით ნათელია, ურთიერთთანამშრომლობა და მშობლის ჩართულობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების დასაცავად მუშაობს.

თუ ინკლუზიური განათლების ხედვა გაზიარებული და შეთანხმებული არ არის, ხდება ისეც, რომ ბაღში მომუშავე ადამიანები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის ჯგუფის რუტინასა და აქტივობებში ჩართვაზე პასუხისმგებლობას ბაღში მომუშავე სპეციალური განათლების პედაგოგს და/ან ფსიქოლოგს აკისრებენ. ცხადია, ამ ორ პოზიციაზე მომუშავე ადამიანის როლი დიდია იმაში, რომ ბავშვის ჯგუფში ჩართვა წარმატებით მოხდეს, თუმცა ამ პროცესის მთავარი წარმმართველი და მთავარი პასუხისმგებელი პირი მაინც აღმზრდელ-პედაგოგია, ანუ ის უფროსი, ვინც ბავშვებთან ყველაზე მეტ დროს ატარებს, ვინც გეგმავს და უძღვებს ყოველდღიურ აქტივობებსა და რუტინას. მნიშვნელოვანია, ამ პროცესში არც აღმზრდელის როლი დაგვავიწყდეს, რადგან მასაც მნიშვნელოვანი ფუნქციების შესრულება შეუძლია ბავშვის ცხოვრებაში.

აღმზრდელ-პედაგოგის დაკვირვებისა და შეფასებების გარეშე, მისი მოსაზრებების გარეშე იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება ბავშვი აქტივობებში ჩავრთოთ, და რაც მთავარია, მისი ძალისხმევის გარეშე, ბავშვის ჯგუფის ცხოვრებაში ჩართვა, მხოლოდ სპეციალური განათლების პედაგოგის, ფსიქოლოგის ან ლოგოპედის ამარა, ვერ მოხერხდება.

სპეციალური განათლების პედაგოგის, ფსიქოლოგის და ლოგოპედის როლი მნიშვნელოვანია იმაში, რომ აღმზრდელ-პედაგოგს დაეხმარონ ბავშვზე დაკვირვებისა და მისი შეფასების პროცესში (და არა აღმზრდელ-პედაგოგის ნაცვლად განახორციელონ ეს საქმე), მათი როლი მნიშვნელოვანია, აღმზრდელს დაეხმარონ და კონსულტირება გაუწიონ მშობლებთან ურთიერთობის პროცესში. მათი როლი ასევე მნიშვნელოვანია იმაში, რომ აღმზრდელისა და მშობლის ჩართულობით განისაზღვროს ბავშვის ჩართულობის ხელშემწყობი კონკრეტული მიზნების და მიზნების მიღწევის სტრატეგიები. მიზნების მიღწევაში ლიდერობა აღმზრდელ-პედაგოგსა და აღმზრდელს აკისრია, თუმცა, ბაღში მომუშავე სპეციალური განათლების პედაგოგი, ფსიქოლოგი და ლოგოპედი, გეგმის მიხედვით შემუშავებული გრაფიკის შესაბამისად, აღმზრდელ-პედაგოგებსა და აღმზრდელებს ამ სტრატეგიების განხორციელებაში ეხმარებიან.

17 იხ.: ამავე თავის ქვეთავი: ვის რა როლი აქვს ინკლუზიურ განათლებაში

დღეს საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში აღმზრდელის (როგორც ადრე უწოდებდნენ, აღმზრდელის თანაშემწის ან ძიძის) როლი სხვადასხვაგვარადაა აღქმული. ზოგიერთი ქალაქისა და სოფლის ბაგა-ბაღებში ისინი აქტიურად არიან ჩართულები სააღმზრდელ-საგანმანათლებლო პროცესში და აღმზრდელ პედაგოგებს მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელებისას. ზოგიერთ ბაგა-ბაღში კი მათი როლი, ძირითადად ჭურჭლის რეცხვითა და დალაგებით შემოიფარგლება.

მნიშვნელოვანია, სკოლამდელი განათლების დაწესებულებების ორგანიზებისას და ბიუჯეტირებისას, მუნიციპალიტეტებმა გაითვალისწინონ ბავშვის აღზრდისა და განათლების თანამედროვე სტანდარტები, რაც იმას ნიშნავს, რომ აღმზრდელ-პედაგოგი დანახული უნდა იყოს, როგორც საგანმანათლებლო პროცესის აქტიური წევრი და განმხორციელებელი, ხოლო იმგვარი საქმიანობისთვის, როგორცაა ჭურჭლის რეცხვა და დალაგება, დამატებითი კადრები უნდა იქნას მოძიებული.

► ვინ უნდა იყოს ბავშვის ინდივიდუალური გეგმის შექმნისა და მისი განხორციელების კოორდინატორი?

ხშირ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს განსაკუთრებული საჭიროებების იმგვარ შემთხვევასთან, როგორცაა განვითარების დარღვევა ან შეფერხება, რაიმე სახის დიაგნოზი - დაუნის სინდრომი, ცერებრული დამბლა, აუტიზმი ან სხვა, ინდივიდუალური გეგმის შექმნის კოორდინატორის (და არა მისი ძირითადი განხორციელების) ფუნქცია, უმჯობესია, სპეციალური განათლების პედაგოგმა იკისროს. ცხადია, არ არის აუცილებელი ბავშვს რაიმე სახის დადასტურებული (ოფიციალური) დიაგნოზი ჰქონდეს იმისათვის, რომ მუშაობაში სპეც. პედაგოგი ჩაერთოს. მნიშვნელოვანია იმის გააზრებაც, რომ კოორდინატორობა ყველა ფუნქციის საკუთარ თავზე აღებას არ ნიშნავს. გეგმაში მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული, ვის რა მოვალეობები აკისრია. პირველ რიგში, აღმზრდელ-პედაგოგის როლი. შემდეგ, თავად სპეციალური პედაგოგის როლი. კონკრეტული ბავშვის საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლოა, განისაზღვროს ფსიქოლოგისა და ლოგოპედის როლებიც.

როდესაც საქმე გვაქვს სოციალურ-ემოციურ სირთულეებთან, აქ პროცესების კოორდინატორობის ფუნქცია, უმჯობესია, ფსიქოლოგმა¹⁸ შეასრულოს. ცხადია, ამ შემთხვევაშიც ბავშვთან მუშაობის პროცესში და/ან მისთვის ინდივიდუალური გეგმის შექმნის პროცესში (თუ ამ გეგმის შექმნის საჭიროება არსებობს¹⁹) განსაზღვრული უნდა იყოს აღმზრდელ-პედაგოგისა და აღმზრდელის მნიშვნელოვანი როლიც.

თუ სახეზეა მხოლოდ სპეციფიკური ენობრივი დარღვევა და/ან არტიკულაციის პრობლემები, ამ შემთხვევაში, კოორდინატორის ფუნქცია შესაძლოა, ბაღში მომუშავე ლოგოპედმა იკისროს ყველა სხვა ჩართულ მხარესთან - აღმზრდელ-პედაგოგი, სპეციალური განათლების პედაგოგი, ფსიქოლოგი, მშობელი - აქტიური თანამშრომლობით²⁰.

18 თუ ადრეული განათლების სისტემაში კვალიფიციური ფსიქოლოგი არ ჰყავთ, მნიშვნელოვანია, ბაღმა გარე რესურსების მოძიებაზე იფიქროს. იხ. ქვეთავის მხარდაჭერი სისტემები

19 ინდივიდუალური გეგმის ფორმალურად შექმნის საჭიროება ყველა ბავშვის შემთხვევაში არ დგას. ფსიქოლოგის კონსულტაციები, მშობელთან გასაუბრება, აღმზრდელ-პედაგოგისა და აღმზრდელის მიერ ფსიქოლოგთან და მშობელთან შეთანხმებული სტრატეგიებისა და ტექნიკების გამოყენება, შესაძლოა, სრულიად საკმარისი იყოს ბავშვის ჩართულობის და მისი ემოციური ხასიათის სირთულეების გასაუმჯობესებლად.

20 იხ. კომუნიკაციის მხარდაჭერი გარემო, ნაწილი 2 -დან და ასევე: ანანო, დაჩი, სანდრო, ლიზი და მარი მე-3 ნაწილი 3-დან.

მუნიციპალიტეტებმა, რომლებსაც ჯერ არ აქვთ არანაირი მხარდამჭერი სისტემა ბაგა-ბალებში ინკლუზიური განათლების ხელშესაწყობად, არც ბაგა-ბალებში და არც გაერთიანებებში არ ჰყავთ დაქირავებული ინკლუზიური განათლების კოორდინატორი, დროა, ამ ნაბიჯების გადადგმაზე იზრუნონ²¹.

► *უნდა გაყავდეთ თუ არა ბაღში მომუშავე სპეციალისტებს ბავშვი რესურს ოთახში²² ინდივიდუალური აქტივობების ჩასატარებლად?*

ყველა მიზანი და ყველა აქტივობა, რომელიც ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებითაა დაგეგმილი, გულისხმობს ბავშვის **აქტიურ, ფუნქციურ ჩართულობას** თანატოლებთან ერთად. შესაბამისად, მსჯელობა იმის შესახებ, უნდა გავიყვანოთ თუ არა ბავშვი ჯგუფიდან, უნდა პასუხობდეს შეკითხვას, შეუწყობს თუ არა ეს ხელს მისი კომუნიკაციური და სოციალური უნარების განვითარებას, იმაზე უკეთ, ვიდრე ეს ჯგუფში მოხერხდებოდა.

არსებობს მრავალი წარმატებული შემთხვევა, როდესაც ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგი, ბაღში მომუშავე სხვა სპეციალისტების დახმარებით, ბავშვის აქტივობებში ჩართვასა და მის ინდივიდუალურ მიზნებზე მუშაობას ბავშვის ჯგუფიდან გაყვანის გარეშე ახერხებს.

მეორე მხრივ, ზოგიერთი სპეციალური განათლების პედაგოგი, ფსიქოლოგი ან ლოგოპედი მიმართავს შემდეგი ტიპის პრაქტიკას: ისინი რესურს ოთახში, ეზოში ან რაიმე სხვა სივრცეში გადიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთან და კიდევ რამდენიმე მის თანატოლ ჯგუფელთან ერთად და გარკვეულ აქტივობებს მცირე ჯგუფებში გეგმავენ. თუ ეს აქტივობები სახალისოა, მიზნად ისახავს ბავშვებს შორის კომუნიკაციის ხელშეწყობას და სსსმ ბავშვის სხვადასხვა ფუნქციური უნარების განვითარებას, მაშინ ეს აქტივობებიც ისეთივე სასარგებლო შეიძლება იყოს, როგორც ჯგუფის შიგნით კარგად დაგეგმილი და კარგად შესრულებული აქტივობა. ცხადია, ამ მცირე ჯგუფური აქტივობების საბოლოო მიზანიც ბავშვების მთლიანი ჯგუფის ცხოვრებაში ჩართულობა უნდა იყოს.

არის შემთხვევები, როდესაც სპეციალისტისათვის მნიშვნელოვანია ბავშვთან გაზიარებული ყურადღების ჩამოყალიბების უნარებზე იმუშაოს. ასეთ დროს, შესაძლოა, ინდივიდუალურ აქტივობებსაც თავისი უპირატესობა ჰქონდეს. მთავარია, რომ ამგვარი აქტივობების საბოლოო მიზანი ბავშვის ჩართულობა და ინტეგრაციის ხელშეწყობა იყოს.

დროდადრო, ზოგიერთი ბავშვისათვის, განსაკუთრებით აუტიზმის, ქცევითი პრობლემების, თავის ტვინის ტრავმის და სხვა სახის სირთულეების მქონე

21 თუ ბაგა-ბაღში ან ბაგა-ბაღების გაერთიანებაში სპეციალური განათლების პედაგოგი არ არის, მაშინ ამ კოორდინატორის ფუნქციის შესრულება შესაძლებელია მეთოდისტმა იკისროს, ვიდრე მუნიციპალიტეტი ინკლუზიური განათლების კოორდინატორის პოზიციას არ დაუშვებს.

22 რესურს ოთახი, არის ზოგიერთ საბავშვო ბაღსა თუ სკოლაში ინკლუზიური განათლების სხვადასხვაგვარი საჭიროებებისათვის გამოყოფილი სივრცე. ზოგან ამ ოთახებს ფსიქოლოგის, სპეციალური განათლების პედაგოგის და/ან მეტყველების თერაპევტის კაბინეტებად იყენებენ. ზოგან ამ ოთახებში სათამაშოების, წიგნებისა და სხვადასხვა მასალების ბიბლიოთეკაა მოწყობილი - ეს მასალები ჯგუფებში, საჭიროებების მიხედვით, გადის და უკან ბრუნდება. ხშირად ამ ოთახს გუნდის შეხვედრებისათვის იყენებენ, სადაც ბავშვის ინდივიდუალურ გეგმაზე შეთანხმება ხდება, მშობლის ჩართულობით; ზოგიერთ ბაღში ამ ოთახში ასევე ინდივიდუალური ან მცირე ჯგუფური აქტივობები ტარდება ხოლმე; ზოგიერთ შემთხვევაში ეს ოთახი შეიძლება ისე იყოს მოწყობილი, რომ ბავშვს განტვირთვის, დამშვიდებისა და ძალების აღდგენის საშუალება მისცეს.

ბავშვებისათვის, გარემოდან მომავალი სტიმულების - ხმაური, ბევრი ბავშვი და უფროსი, მრავალი ნივთი, სხვადასხვაგვარი სუნები - აღქმა და გადამუშავება ძალიან დამლელი შეიძლება იყოს და დროდადრო მათ მყუდრო ოთახში/კუთხეში დასვენება, ძალების მოკრება და/ან ერთ უფროსთან ან ბავშვთან მშვიდად თამაში ერჩიოთ.

ყველა ბავშვი განსხვავებულია და ჩვენ მათ საჭიროებებს განსხვავებულად უნდა ვუპასუხოთ. მთავარია, გვახსოვდეს, რა არის ამ კონკრეტული ბავშვის საუკეთესო ინტერესი.

მშობლებს უნდა ავუხსნათ, რომ ბავშვის ნებისმიერი უნარის განვითარება - იქნება ეს ერთ აქტივობაზე კონცენტრირების უნარი, ლექსიკის გამრავალფეროვნება, კომუნიკაციის დამყარება თუ სხვა, პირველ რიგში, მისი სოციალიზაციისა და ინტეგრაციის ფუნქციის გაუმჯობესებას, ანუ ბუნებრივ გარემოში თანატოლებთან ურთიერთობის დამყარების, თამაშისა და ამგვარად სამყაროს შემეცნების მიზანს უნდა ემსახურებოდეს. მშობლებს უნდა ავუხსნათ ისიც, რომ ბავშვები სხვადასხვა უნარებს უფროსის მიერ გაშუალებული იმგვარი აქტივობების მეშვეობით უკეთ იძენენ, რომელშიც სხვა ბავშვებიც არიან ჩართულები. მაგალითისათვის, ავილოთ რამდენიმე ფუნქციური მიზანი²³: 1) ლუკა, ორ-სამ თანატოლთან ერთად, მშვიდად და ჯერის დაცვით, თამაშობს კუბურებით დღეში 2-ჯერ, 5-7 წუთის განმავლობაში. მიზანი მიიღწევა 2 თვეში. 2) ლუკა, კვირაში სამჯერ, 2 მორიგე თანატოლთან ერთად, აღმზრდელს ეხმარება სადილისათვის სუფრის მომზადებაში: აწყობს თევზებსა და ჭიქებს. მიზანი მიიღწევა 1 თვეში 3) ლუკა, აღმზრდელს მიანიშნებს ტუალეტის საჭიროების შესახებ, დღეში ერთხელ მაინც, მიზანი მიიღწევა 3 თვეში. ყველა ამ მიზნის მიღწევაში ბავშვის სხვადასხვა უნარების განვითარების ხელშეწყობა თავისთავადაა ნაგულისხმები. ამ ტიპის აქტივობების განსახორციელებლად, ლუკას სჭირდება ჯერის დაცვის, გაზიარების, კომუნიკაციის, ნატიფი და მსხვილი მოტორული უნარების გაუმჯობესება ან დაუფლება. ყველა ეს უნარი კი უკეთ ბუნებრივ და მხარდაჭერით აღსავსე გარემოში მიიღწევა. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, ამ და სხვა მიზნებზე მუშაობა ხანდახან მცირე ჯგუფებში, უფრო მყუდრო გარემოში, ანდა ინდივიდუალურად იყოს შესაძლებელი. მთავარია, ყველას ახსოვდეს: მხოლოდ, ის კი არ არის მნიშვნელოვანი, თუ რამდენი სესია ჩაუტარდა ბავშვს, არამედ ის, თუ რამდენად მიაღწია მან დასახულ მიზანს.

► *რა დრო უნდა გაატაროს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვმა ბაღში?*

ამ შეკითხვებზე პასუხებიც ისეთივე ინდივიდუალურია, როგორც ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებები.

შეკითხვის პირველ ნაწილზე პასუხის გაცემისას, უნდა ამოვიდეთ დებულებიდან, რომ ზოგადად, ყველა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვს თუ შშმ ბავშვს აქვს ზუსტად იგივე უფლებები, რაც ყველა დანარჩენ ბავშვს. შესაბამისად, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ბავშვი შეზღუდული შესაძლებლობებისაა, ბაღში გასატარებელ დროს ვერ შევუზღუდავთ. თუმცა, მეორე მხრივ, არსებობენ ბავშვები, რომელთათვისაც მათი ფიზიკური და პერცეპტული მდგომარეობიდან გამომდინარე, ბაგა-ბაღში 9 საათიდან 6 საათამდე ყოფნას ეტაპობრივი შეჩვევა სჭირდება. ზოგიერთი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვისათვის კი შესაძლოა, ბაღში მთელი დღის გატარება თავიდანვე არავითარ სირთულესთან არ იყოს დაკავშირებული.

23 *იხ.: თავი 3.*

როდესაც ბალი და მშობელი ბავშვის ბაღში ყოფნის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით იღებს გადაწყვეტილებას, შეთანხმების ამოსავალი ბავშვის საუკეთესო ინტერესი უნდა იყოს. ამ საკითხზე მშობელთან შეთანხმებას ბევრად უფრო ადვილად მიაღწევთ, თუ ის დარწმუნებული იქნება, რომ თქვენი მამოძრავებელი ინტერესი ბავშვის ინტერესებს ემთხვევა.

ზოგიერთ ბავშვს, რომელიც ადრეული ჩარევის ან სხვადასხვა სარეაბილიტაციო პროგრამებშია ჩართული, კვირის მანძილზე ამ სესიებზე სიარულიც უწევს. ბალი მზად უნდა იყოს ეს ვითარება გაითვალისწინოს და ბაღში სიარულის ინდივიდუალური გრაფიკი შეურჩიოს. თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ საუკეთესოა ვითარება, როდესაც ბავშვი ყველა სერვისს ბაღში იღებს. როდესაც ბალის გუნდი და, საჭიროების შემთხვევაში, გარედან მოსული სპეციალისტი ბავშვის ჩართულობაზე, მშობელთან შეთანხმებით, ერთად მუშაობენ.

▶ **ესაჭიროება თუ არა მას პერსონალური ასისტენტი?**

კომპეტენტური აღმზრდელ-პედაგოგისა და ბაღში მომუშავე სხვა პროფესიონალების პირობებში, შესაბამისად დაგეგმილ გარემოში, განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების დიდ უმრავლესობას ინდივიდუალური ასისტენტი არ ესაჭიროება. გამონაკლის შემთხვევაში, ინდივიდუალური ასისტენტის თაობაზე მსჯელობაში ჩართული უნდა იყოს მშობელი, ბალის მთელი გუნდი (დირექტორი, აღმზრდელ-პედაგოგი, აღმზრდელი, ფსიქოლოგი, სპეც.პედაგოგი, ლოგოპედი), ბავშვთან მომუშავე გარე სპეციალისტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს წარმომადგენელი. ამ შემთხვევაშიც, საბოლოო გადაწყვეტილება, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, შემთხვევის შესწავლის დასაბუთებულ, წერილობით მოსაზრებას უნდა ემყარებოდეს, უმჯობესია, ამ დასაბუთების შედგენაში კომპეტენტური სპეციალისტი მონაწილეობდეს. თუ ბავშვისათვის პერსონალური ასისტენტის უზრუნველყოფის გადამწყვეტილება იქნება მიღებული, მნიშვნელოვანია, ამ ვალდებულების შესრულება თავად მშობელს არ დავაკისროთ და თემში არსებული სხვა რესურსების მოძიებაზე ვიზრუნოთ - ადმინისტრაციის მიერ დაქირავებული პირი, სტუდენტები, რომელთათვისაც ეს შესაძლოა, მათი პრაქტიკის ნაწილი გახდეს, მოხალისეები და სხვა. მონდომების შემთხვევაში, გამოსავალი ყოველთვის მოინახება. აქვე მნიშვნელოვანია გვესმოდეს განსხვავება, პერსონალურ ასისტენტსა და სპეციალური განათლების პედაგოგს შორის. სპეციალური განათლების პედაგოგია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანი, რომელიც ბაგა-ბაღის ყველა ჯგუფთან მუშაობს, რათა საჭიროების შემთხვევაში, ყველა აღმზრდელ-პედაგოგს დაეხმაროს ბავშვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების იდენტიფიცირებასა და შესაბამისი სტრატეგიების დაგეგმვაში, ხოლო პერსონალური ასისტენტი შეიძლება იყოს ბალის მიერ კონკრეტული ბავშვისათვის, „დროებითი ხელშეკრულების“ ფარგლებში, დაქირავებული პირი.

ვის რა როლი აქვს ინკლუზიურ განათლებაში

ხარისხიანი ინკლუზიური განათლების დანერგვის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა, სისტემაში დასაქმებულ ყველა ადამიანს კარგად ესმოდეს თავისი ფუნქცია და როლი ადრეულ და სკოლამდელ განათლებასთან მიმართებაში.

ბაგა-ბაღის მართვის სისტემაში დასაქმებული ადამიანები კარგად უნდა აცნობიერებდნენ მათ პასუხისმგებლობას მუნიციპალიტეტში ხარისხიანი ადრეული განათლების განვითარების საქმეში. ცდილობდნენ, მათ სისტემაში მაღალკვალიფიციური კადრი იყოს დასაქმებული, რომელსაც ხელენიფება ბაგა-ბაღების ორგანიზაციული განვითარებისა და თანამშრომელთა პროფესიული ზრდის ამაღლებაზე კვალიფიციური ზრუნვა. მათ შორის, ბაგა-ბაღების ინკლუზიური განათლების მიმართულებით პროფესიული კადრებით უზრუნველყოფა. გაერთიანებებმა, მათ მუნიციპალიტეტში შემავალი ბაღების რაოდენობის მიხედვით, შესაძლოა, იყოლიონ მულტიდისციპლინური ჯგუფები - განვითარების ფსიქოლოგის, სპეციალური განათლების პედაგოგის, ლოგოპედის, ოკუპაციური და/ან ფიზიკური თერაპევტის შემადგენლობით, რომლებიც შეძლებენ, ბაღებს, საჭიროების მიხედვით, მოემსახურონ.

ბაგა-ბაღის ხელმძღვანელი **დირექტორის, თუ მენეჯერის** როლი- ბაგა-ბაღში ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს შექმნის საქმეში ძალიან დიდია. იმის გარდა, რომ მისი მოვალეობაა, უზრუნველყოს ბაგა-ბაღის ინკლუზიური განათლების სტრატეგიის²⁴ შემუშავება, დანესებულების ხელმძღვანელის ვალდებულებაა, ყველაფერი გააკეთოს, რომ ამ სტრატეგიამ იმუშაოს. მათ შორის, განიოს ინკლუზიური განათლების ადვოკატირება. დანესებულების ხელმძღვანელი ასევე უნდა უზრუნველყოფდეს იმასაც, რომ მის სისტემაში მომუშავე ადამიანებს ჰქონდეთ გამოცდილების მიღების საშუალებები, სხვადასხვა ბაღებში სტუმრობისა და იქაური გამოცდილების გაზიარების გზით.

მაღალხარისხიანი ინკლუზიური განათლების ერთ-ერთი თვალსაჩინო მაჩვენებელი ისაა, რომ ბაგა-ბაღებში ბავშვზე ცენტრირებული, განვითარების შესაბამისი პრაქტიკაა დანერგილი, სადაც კარგადაა დაცული ბალანსი ბავშვისა და უფროსის მიერ ინიცირებულ აქტივობებს შორის, სადაც კარგადაა დაბალანსებული დიდი და მცირე ჯგუფური აქტივობები, სადაც სწავლისა და სწავლების მრავალფეროვან და ბავშვის საჭიროებებზე მორგებულ პროგრამებსა და აქტივობებს გამოიყენებენ, სადაც აღმზრდელ-პედაგოგები თავიანთ პრაქტიკას გააზრებულად და არგუმენტირებულად გეგმავენ. ყოველივე ამის მხარდასაჭერად, უმნიშვნელოვანესია **მეთოდისტის** კვალიფიკაცია და როლი. მისი უმთავრესი ფუნქციაა, აღმზრდელ-პედაგოგებს ზედამხედველობას უწევდეს და ეხმარებოდეს განვითარების შესაბამისი პრაქტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში, ასევე უზრუნველყოფდეს იმასაც, რომ საუკეთესო პრაქტიკის განმარტებული პედაგოგების გამოცდილება დანარჩენებმაც გაიზიარონ. მეთოდისტი უნდა ზრუნავდეს, რომ მისი თანამშრომლები ყოველთვის იყვნენ მომარაგებულნი როგორც მეთოდური, ასევე პრაქტიკაში გამოსაყენებელი მასალებით.

როგორც აღინიშნა, 2017 წლის ოქტომბერში, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სტანდარტებთან ერთად, საქართველოს მთავრობამ **აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტიც** დაამტკიცა.²⁵ აღმზრდელ-პედაგოგის კომპეტენციებსა და როლზე ამდოკუმენტში დანვრილებითაა საუბარი. ცხადია, მნიშვნელოვანია, რომ ამ დოკუმენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა ყველა საგანმანათლებლო დანესებულების მიზანს წარმოადგენდეს.

24 იხ. კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ. მე-17 მუხლი
25 (<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3837404?publication=0>)

განათლების ხარისხის მართვის ეროვნული სააგენტო ამჟამად **აღმზრდელის** პროფესიული სტანდარტის შემუშავებაზე მუშაობს. რადგან კანონი „ძიძას“ მისი ძველი როლით აღარ ცნობს, მნიშვნელოვანია, რომ საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელებმა გააცნობიერონ აღმზრდელის როლი საგანმანათლებლო პროცესის მართვაში და აღმზრდელის სამუშაო აღწერილობა ამ როლს შეუსაბამონ. თბილისსა და სხვა ქალაქებში უკვე იწერება პრაქტიკა, რომ ჭურჭლის მრეცხავებად და დამლაგებლებად სხვას ქირაობენ, ხოლო აღმზრდელის მოვალეობად, აღმზრდელ-პედაგოგთან ერთად, სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესში აქტიურ ჩართულობას მიიჩნევენ.

ბოლო წლებში, სულ უფრო მეტი და მეტი სპეციალური განათლების პედაგოგი, ფსიქოლოგი თუ ლოგოპედი იწყებს ბაღში მუშაობას. ამ სპეციალობის ადამიანების ბაგა-ბაღების სისტემაში დანიშვნა მისასაღმებელია, ოღონდ ამასთან მიმართებაში ორი ფაქტორია გასათვალისწინებელი: ერთი, რომ ყველა ეს სპეციალობა საფუძვლიან სპეციფიკურ განათლებას მოითხოვს და ამ თანამდებობებზე შემთხვევითი ადამიანების დანიშვნა დაუშვებელია და მეორე, თუ მუნიციპალიტეტებმა მნიშვნელოვნად ცნეს ლოგოპედების, ფსიქოლოგებისა და სპეციალური განათლების პედაგოგების როლი, საჭიროებიდან გამომდინარე, ასეთივე როლი აკისრიათ ისეთი პროფესიის წარმომადგენლებსაც, როგორებიც არიან ოკუპაციური და ფიზიკური თერაპევტები. სასურველია, მუნიციპალიტეტებმა მეტი იმსჯელონ და სხვადასხვა პროფესიონალთა აზრი გაითვალისწინონ, როდესაც საქმე ბაღში ინკლუზიასთან დაკავშირებული სპეციალისტების დასაქმებას ეხება.

დანართში იხილეთ ადრეული განათლების სისტემაში დასაქმებული სპეციალური განათლების პედაგოგის (დანართი 1), ფსიქოლოგის (დანართი 2) და კომუნიკაციის, ენის და მეტყველების თერაპევტის (ლოგოპედის) (დანართი 3) როლები ბაგა-ბაღში.

თემატიკური არსებული რესურსები, რეფერალი და მხარდაჭერი სისტემები

ხარისხიანი სკოლამდელი ინკლუზიური განათლების კიდევ ერთი გამორჩეული მახასიათებელი თემში არსებული რესურსების მაქსიმალური გამოყენებაა.

თემში არსებული რესურსების გამოყენებაა, როდესაც, მაგალითად, „პროფესიების შესწავლისას“ უბანში არსებულ პოლიციას ან სახანძრო სამსახურს, დიდ სუპერმარკეტს ან სკოლას შეუთანხმდები და ბავშვებს წაიყვან ექსკურსიაზე, რათა „მასპინძლები“ ბავშვებს საკუთარ პროფესიაზე ესაუბრონ და „შიდა სამზარეულო“ დაათვალიერებინონ.

თემში არსებული რესურსების გამოყენებაა, როდესაც რაიმე საკითხის გადასაწყვეტად ან კონსულტაციისთვის სხვადასხვა სახის სპეციალისტებს მიმართავ. შესაძლებელია, ეს იყოს ოჯახის ექიმი, სტომატოლოგი. შესაძლებელია, მათ რჩევისათვის მივმართოთ ან ვთხოვოთ, რომ ერთ დღეს სკოლაში მოვიდნენ და ბავშვებს სახალისო აქტივობა მოუწყონ ჰიგიენისა და ჯანმრთელობის მნიშვნელობაზე.

თემში არსებული რესურსების და რეფერალის (გადამისამართების) გამოყენებაა, თუ მაგალითად, რომელიმე ბავშვის მშობელს ვურჩევთ, ბავშვი სადიაგნოსტიკო შეფასებაზე წაიყვანოს და შესაბამისი ორგანიზაციების ჩამონათვალსა და საკონტაქტო ინფორმაციებს ვაძლევთ.

თუ მაგალითად, ბაღის დახმარებით ბავშვი ადრეული ჩარევის პროგრამაში ჩაერთვება და ბაღი ამ პროგრამასთან თანამშრომლობს, ეს გადამისამართების

(რეფერალის) და ასევე თემში არსებული რესურსების წარმატებული გამოყენებაა. საქართველოს ზოგიერთ რეგიონში (თბილისის, გორის, თელავის, ლაგოდეხის, ახალციხის, ბათუმის, ბორჯომის, ქუთაისის და სხვა მუნიციპალიტეტები) არსებობს ჯანდაცვის სამინისტროს „ადრეული ჩარევის ქვეპროგრამა“, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს სკოლამდელი ინკლუზიური განათლების განვითარებაშიც. ადრეული ჩარევის პროგრამის ფარგლებში, ადრეული ჩარევის სპეციალისტები დაბადებიდან 7 წლამდე სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებთან და მათ ოჯახებთან მუშაობენ. პროგრამის მიზანია, დაეხმაროს ოჯახებს, შექმნან გარემო, სადაც ბავშვი სრულად შეძლებს განვითაროს პოტენციალი და დაიკმაყოფილებს განათლების უფლებას. შესაბამისად, როდესაც პროგრამაში ჩართული ბავშვი ბაღის ასაკს აღწევს, მისი ადრეული ჩარევის სპეციალისტი, ოჯახთან შეთანხმებით, იწყებს ოჯახის დახმარებას შესაფერისი ბაღის მოძიებაში და ბავშვის ბაღში უმტკივნეულოდ ჩართვაში. შემდეგ კი ადრეული ჩარევის სპეციალისტი კვირაში ერთხელ, თვეში ერთხელ ან რაიმე სხვა პერიოდულობით დადის ბაღში, რათა, ბაღის თანამშრომლებთან ერთად იმუშაოს ბავშვის ჩართულობის გაუმჯობესებაზე. ბაღმა უნდა იცოდეს, რომ ადრეული ჩარევის სპეციალისტმა შეიძლება მოითხოვოს ბავშვის შეფასების შედეგებისა და რეკომენდაციების გაზიარება წერილობითად. ადრეული ჩარევის პროგრამებისა და ბაღების თანამშრომლობის ხარისხი და ინტენსიურობა ბაგა-ბაღების პროაქტიურობასა და მონდომებაზეცაა დამოკიდებული. ამგვარი თანამშრომლობა თემში არსებული მხარდაჭერი რესურსების ეფექტიანად გამოყენების მაგალითია.

დამატებითი საჭიროების მქონე ბავშვებისათვის თემში არსებული რესურსების გამოყენება აუცილებლად ფსიქოლოგთან ან რაიმე სარეაბილიტაციო ცენტრში გაგზავნას არ უნდა გულისხმობდეს. შეიძლება, ოჯახს უბანში არსებულ სპორტულ ცენტრში ჩართვა ურჩიოთ და ჩართვაში დაეხმაროთ, რადგან ფიქრობდეთ, რომ ბავშვის მოტორული, ანდა სოციალურ-ემოციური განვითარებისთვის ეს მნიშვნელოვანია.

დღეს უკვე არსებობს ბაგა-ბაღები, სადაც აქტიურად იყენებენ უნივერსიტეტების რესურსს ტრენინგებისა და პროფესიული კონსულტაციებისთვის, ასევე მოხალისე სტუდენტთა მოზიდვისთვისაც. განათლებისა და ფსიქოლოგიის მიმართულების სტუდენტებისათვის ეს პრაქტიკის მიღების კარგი შესაძლებლობაა, ხოლო ბაღებისათვის, თუ ისინი ამ თანამშრომლობას აზრიანად დაგეგმვენ, შესაძლოა გახდეს ეფექტური დამხმარე რესურსი აღმზრდელებისა და აღმზრდელ-პედაგოგებისათვის მხარდაჭერის სისტემის შესაქმნელად.

ტრანზიციცია

სახელმძღვანელოს ეს ქვეთავი არის ერთგვარი მონვევა გაეცნოთ ახლადშექმნილ სახელმძღვანელოს, „ადრეული ბავშვობა და ტრანზიციცია სკოლაში“ (1), რომელიც შეიმუშავა არასამთავრობო ორგანიზაციამ „ინოვაციები ინკლუზიური საზოგადოებისათვის“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან კოორდინირებით და ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მხარდაჭერით. ამომწურავ ინფორმაციას ტრანზიციციის შესახებ სწორედ ამ სახელმძღვანელოში იპოვით.

შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის ცხოვრება ტრანზიციციის პროცესებისგან შედგება. მრავალფეროვან ცვლილებებსა და ტრანზიციციებს შორის ერთ-ერთი საკვანძო ასპექტი სწორედ არაფორმალური გარემოდან (ბაღი, დღის ცენტრი, ადრეული განვითარების მომსახურება, ოჯახი და სხვა) სკოლის (ფორმალურ)

სისტემაში გადასვლაა. ბავშვისა და ოჯახისათვის ასევე უმნიშვნელოვანესია სახლიდან ბაღში პირველად წასვლისა და ჩართვის პროცესი. ეს ყველაფერი კი ორმაგი შფოთვისა და ლელვის მიზეზი შეიძლება გახდეს, როდესაც ბავშვი სპეციალური საჭიროებების მქონეა. ტრანზიციის პროცესის შესამსუბუქებლად მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რას შეიძლება გძრნობდეს და განიცდიდეს ბავშვი და რას შეიძლება გძრნობდეს და განიცდიდეს ოჯახი ასეთ დროს (2). ცხადია, ბავშვებს ეს შეკითხვები ისე ფორმულირებული ვერ ექნებათ, როგორც ამას ქვემოთ იხილავთ, თუმცა, ესაა ის თემები, რაც ბავშვებს გაუცნობიერებლად აწუხებთ, როდესაც მათ ახალ გარემოსთან შეგუება უწევთ. ამ გარემოდან მიღებული დადებითი და უარყოფითი იმპულსები კი მათ სოციალურ და შემეცნებით განვითარებაზე ძლიერად აისახება.

ბავშვის პერსპექტივა:

- ვიქნები ამ გარემოში უსაფრთხოდ და დაცული?
- მეყოლება მეგობრები და ქომაგები?
- გაითვალისწინებენ ჩემს ძლიერ მხარეებს, ინტერესებსა და შესაძლებლობებს?
- ვინ ვიქნები მე ამ ახალ ადგილას? ყველაზე პატარა, ყველაზე დიდი, მომაქცევენ საერთოდ ყურადღებას?
- რა როლი მომენიჭება?
- რას ელიან ჩემგან? შევძლებ ამ მოლოდინების გამართლებას?
- როგორია აქაური წესები? როგორ უნდა მოვიქცე ამ გარემოში?

ოჯახის პერსპექტივა:

- იქნება ჩვენი შვილი მიღებული და დაფასებული?
- რა ინფორმაცია უნდა გავუზიარო ბაღს/სკოლას იმისათვის, რომ ჩემი შვილის ახალ გარემოსთან შეგუებას შევუწყო ხელი?
- იქნება კი ეს ის ადგილი, სადაც ჩემი შვილი სწავლასა და განვითარებას შესძლებს?
- როგორ გადაიტანს ჩემი შვილი ჩემთან განშორებას?
- როგორ შეეგუება უცხო ადამიანებსა და გარემოს?
- გაიჩენს მეგობრებს?
- იქნება იქ ბედნიერი?
- რა მოლოდინები ექნებათ ჩემგან, როგორც მშობლისგან? შევძლებ ვუპასუხო ამ მოლოდინებს?
- როგორ გაიგებენ მასწავლებლები, რა მოსწონს და რა არ მოსწონს ჩემს შვილს?

ამ მღელვარებითა და ემოციებით აღსავსე პროცესის შემამსუბუქებელ წინაპირობად, წინასწარი გაცნობა და ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა მიიჩნევა (3). კარგი დასაწყისი, კარგი გაგრძელების იმედს იძლევა. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, ადრეული განათლების დაწესებულებებმა დანერგონ კულტურა, რომლის ფარგლებშიც ბავშვების ბაღში უმტკივნეულო მიღებაზე იმუშავებენ: გაეცნობიან მშობელსა და ბავშვებს სასწავლო წლის დაწყებამდე

(განსაკუთრებით, იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებს ეხება), გააცნობენ მათ ბაღის გარემოს, მიიღებენ ყველანაირ ინფორმაციას ბავშვისა და ოჯახის შესახებ და მიაწვდიან ყველა შესაბამის ინფორმაციას მშობელს.

თუ ბავშვი ადრეული ჩარევის პროგრამის მომხმარებელია, მაშინ ტრანზიციის პროცესში უსათუოდ უნდა იყოს ჩართული ადრეული ჩარევის სპეციალისტიც (იხ. ქვეთავი 6.1). ადრეული ჩარევის სპეციალისტის მოვალეობაა დაეხმაროს ოჯახს ტრანზიციის პროცესში. ამისათვის ის ოჯახთან ერთად იმუშავებს ტრანზიციის გეგმას და უზრუნველყოფს, რომ ეს გეგმა გაზიარებული იყოს ბაღის თანამშრომლების მიერ. თავის მხრივ, ბაღის წარმომადგენლები ხელს უწყობენ ამგვარი კავშირების ჩამოყალიბებას და მაქსიმალურად თანამშრომლობენ მშობლებთან და ადრეული ჩარევის სპეციალისტებთან შეგუების პროცესის უმტკივნეულოდ წარმართვისათვის, ასევე ბავშვის შეფასებისა და საგანმანათლებლო მიზნების ჩამოყალიბებისათვის.

მნიშვნელოვანია, ბაღი ხელს უწყობდეს ბავშვის ბაღიდან სკოლაში უმტკივნეული გადასვლის პროცესსაც - ამისათვის, ბაღი ამზადებს ყველანაირ ინფორმაციას, რაც სკოლის მასწავლებელს შეიძლება დასჭირდეს ბავშვის ბაღში ყოფნისა და მის მიერ განვლილი პროგრამის შესახებ.

დანართებში (დანართები 6-8) მოცემული ფორმები, რომელიც ფლორიდის ტრანზიციის პროექტის²⁶ ფარგლებშია შექმნილი, დაგეხმარებათ, შეიმუშაოთ იდეები, თქვენს დაწესებულებებში ტრანზიციის პოლიტიკის დასაგეგმად.

გამოყენებული რესურსები:

1. საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ. 08.06. 2016.
2. ათი განსაკუთრებული გაკვეთილი. თბილისი 2010.
3. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სტანდარტი. საქართველოს მთავრობის დადგენილება. 27.10.2017.
4. აღზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი. საქართველოს მთავრობის დადგენილება. 27.10.2017.
5. “ადრეული ბავშვობა და ტრანზიციისა“ (2018). ინოვაციები ინკლუზიური საზოგადოებისათვის (სამუშაო დოკუმენტი).
6. Belonging, Being and Becoming. (2009). The Early Years Learning Framework for Australia.
7. Transition Matters (2009). Kids Matters. https://www.kidsmatter.edu.au/sites/default/files/public/KMP20130228_TransitionMatters_0.pdf

26 <https://floridatransitionproject.ucf.edu/>

მშობლის როლი და ჩართულობა

მშობელი და ბავშვ-ბავშვის გარემო

ინკლუზიური საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხი იმითაც იზომება, თუ რამდენად აფასებენ და აღიარებენ ბავშვ-ბავშვი მომუშავე ადამიანები კავშირს ბავშვსა და ოჯახს შორის და რამდენად ესმით, აღიარებენ და აფასებენ განსხვავებულობას ბავშვებსა და ოჯახებს შორის, რამდენად იაზრებენ, რომ ბავშვებიც და უფროსებიც სრულ პოტენციალს ნდობას და პატივისცემას დაფუძნებულ გარემოში აღწევენ (1).

ბავშვი მომუშავე ადამიანებს უნდა ესმოდეთ, რომ მშობლებთან პოზიტიური თანამშრომლობის გარეშე, ბავშვ-ბავშვის გარემოში ბავშვის სრული პოტენციალის განვითარება შესაძლებელი ვერ იქნება. როდესაც მშობლებთან ურთიერთობასა და მათ ჩართულობაზე ვსაუბრობთ, ცხადია, ეს ყველა მშობელს ეხება და ისევე, როგორც ყველა ბავშვთან მიმართებაში, მშობლებთან მიმართებაშიც უნდა გვახსოვდეს, რომ ხარისხიანი ჩართულობის მნიშვნელოვანი საწინდარი გარემოა. პირველ რიგში, ბავშვი არსებული სოციალური გარემო, ანუ ბავშვ-ბავშვის თანამშრომელთა ღირებულებები, დამოკიდებულებები და ქცევა ადამიანების მიმართ.

მშობლები სხვადასხვანაირები არიან. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან ხასიათით, სოციალური მდგომარეობით, განათლებით, გამოცდილებით და ა.შ. ზოგიერთი მათგანი ზემოზრუნველია. ზოგიერთი, შესაძლოა ბევრი სხვა ვალდებულების გამო, ბავშვისათვის ისე ვერც იცლიდეს, როგორც თქვენ ისურვებდით. ზოგიერთი თავიდანვე კეთილად განეწყობა თქვენ მიმართ, ზოგიერთის ნდობის მოსაპოვებლად, შესაძლოა, დრო დაგჭირდეთ. მშობელთან ურთიერთობის ჩამოყალიბებისას, ცხადია, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ემოციები, თუმცა ერთი რამ ყველა მშობელს საერთო აქვს - მათ უყვართ თავიანთი შვილები და მათ შესახებ ბევრი საინტერესო და მნიშვნელოვანი ინფორმაციის მონოდება შეუძლიათ.

მეორე მხრივ, ბუნებრივია, რომ ბავშვი მომუშავე ადამიანებიც განსხვავდებიან ერთმანეთისგან ხასიათით, ემოციებით, გამოცდილებითა და სხვა ნიშნებით, მაგრამ თქვენ, მშობლებისაგან იმით განსხვავდებით, რომ თქვენი არჩეული პროფესია, მშობლებთან თანამშრომლობით, ბავშვების განვითარებასა და განათლებაზე ზრუნვას გავალდებულებთ. გავალდებულებთ, გასაღები მთარგმნე ამ ურთიერთობებს. შესაბამისად, პასუხისმგებელი იმაზე, როგორი კეთილგანწყობილი ურთიერთობა ჩამოყალიბდება თქვენსა და მშობელს შორის, ხართ თქვენ - დარგის პროფესიონალები (2).

როცა მკვლევარებმა (3) მშობლებსა და პროფესიონალებს ჰკითხეს, რას აფასებდნენ თანამშრომლობაში, ექვსი თემა წამოიჭრა:

- **კომუნიკაცია.** მშობლებს სურთ, რომ მასწავლებლებთან კომუნიკაცია იყოს ხშირი, გულგრილი და გულწრფელი, ყოველგვარი პირფერობისა და ინფორმაციის დამალვის გარეშე. ამავე დროს, მათ მოსწონთ ორმხრივი კომუნიკაცია და დელიკატურობა.
- **ერთგულება.** მასწავლებლები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ მათი საქმიანობა უფრო მეტია, ვიდრე სამუშაო დრო, მშობლების მონონებას იმსახურებენ. მშობლები უფასებენ მასწავლებლებს, რომ ხანდახან, ისინი მზად არიან სამუშაო საათების შემდეგაც შეხვდნენ მათ ან ბავშვის დაბადების დღე არ ავიწყდებათ.

- **თანასწორობა.** მშობლებს სურთ, რომ მასწავლებლებმა მათი თვალსაზრისის საფუძვლიანობა გააცნობიერონ.
- **უნარ-ჩვევები.** მშობლებს ძალიან მოსწონთ მასწავლებლები, რომლებიც მათი შვილებისთვის რალაციის გაკეთებას ცდილობენ და აფასებენ მათ, ვინც აღიარებს, რომ რალაც არ იცის და ცდილობს, გაიგოს.
- **ნდობა.** პირველ რიგში, ნდობა გულისხმობს საიმედოობას. მასწავლებელი აკეთებს იმას, რასაც ამბობს. მეორე რიგში- უსაფრთხოებას, იმის უზრუნველყოფას, რომ ბავშვს პატივისცემით მოეპყრობიან და ტკივილისაგან დაიცავენ.
- **პატივისცემა.** მასწავლებლები პატივისცემას ამჟღავნებენ, როცა ბავშვს, როგორც პიროვნებას ისე აფასებენ და შესაბამისად ექცევიან. ამასთან, აცნობიერებენ ოჯახის წვლილს ბავშვის კეთილდღეობაში.

კეთილგანწყობილი ურთიერთობის ჩამოყალიბებაზე პირველი შთაბეჭდილება გადამწყვეტია. მშობლებმა და სხვა სტუმრებმა უნდა იგრძნონ, რომ დაწესებულება მათ მიმართ კეთილგანწყობილია. კეთილგანწყობილი გარემოს შექმნაში, შესაძლოა, შემდეგი იდეები დაგეხმაროთ:

- დააკვირდით, ხომ არ გაქვთ შემოსასვლელ კარზე რაიმე ამკრძალავი შინაარსის წარწერა.
- გააკეთეთ მისაღების დაფა, სადაც ეწერება, რომ დაწესებულების კარი ღიაა ყველასათვის.
- დარწმუნდით, რომ თანამშრომლები ახალმოსულებს ღიმილით ხვდებიან.
- თანამშრომლების სურათები, ქვეშ მინერული სახელებით, გააკარით შემოსასვლელში, რაც მშობლებს მათ გაცნობასა და დამახსოვრებაში დაეხმარება.
- მზად გქონდეთ საინფორმაციო ბროშურები, რომლის თან წაღებაც შესაძლებელი იქნება, რადგან ზოგიერთ მშობელს შეიძლება, მოერიდოს პირდაპირ კითხვების დასმა.
- შეხვდით სტუმრებს კეთილგანწყობილად, ღიმილით, იყავით მეგობრულები და შეეცადეთ, გამოეხმაუროთ მათ საჭიროებებს რაც შეიძლება სწრაფად.
- გააკარით სხვადასხვა აქტივობაში ჩართული ბავშვების ფოტოები, როგორც მშობლებისთვის, ისე ბავშვების ხელმისაწვდომ სიმაღლეზე. ეს ბავშვებს თავს მნიშვნელოვნად აგრძნობინებს, მშობლებს კი- დაამშვიდებს.
- ნახალისეთ მშობლები, ბავშვთან ერთად შემოვიდნენ შენობაში. სასურველია, ისინი ყოველთვის შემოდიოდნენ, როგორც დღის დასაწყისში, ისე დღის დასრულებისას.
- შეეცადეთ იქონიოთ ბავშვისა და მშობლის ფოტოები, რომ ბავშვმა თვითონ შეძლოს ფოტოს პოვნა და დაფაზე ჩამოკიდება.
- შექმენით სპეციალური დაფა მშობლისთვის. ჰკითხეთ მათ, რა ინფორმაცია მიაჩნიათ მნიშვნელოვნად დაფაზე გამოსაკრავად. გამოიყენეთ დაფა ისეთი ინფორმაციისთვის, როგორიც არის, მაგალითად, „ვულოცავთ ლევანიკოს დედას გოგონას დაბადებას“ და ა.შ.

სხვა სასარგებლო იდეებიც რომ გაგიჩნდეთ, კეთილგანწყობილი გარემოს შესაქმნელად, გაიხსენეთ ადგილი, სადაც მიხვდით და უარყოფითი გამოცდილება მიიღეთ. ჩამოწერეთ ყველაფერი, რაც არ მოგეწონათ. შემდეგ გაიხსენეთ ისეთი ადგილი, სადაც პოზიტიური გამოცდილება მიიღეთ. შეადარეთ ეს ყველაფერი თქვენ სააღმზრდელო დაწესებულებას. იმსჯელეთ იმის შესახებ, რა გამოცდილება შეიძლება მიეღოთ მშობლებსა და ბავშვებს, როდესაც პირველად მოვიდნენ სააღმზრდელო დაწესებულებაში. შეადგინეთ გეგმა,

როგორ შეიძლება გააუმჯობესოთ თქვენი პრაქტიკა. ჰკითხეთ მშობლებს და სხვა სტუმრებს, რა გამოცდილება მიიღეს თქვენთან სტუმრობით და შეაფასეთ, შეძლებენ თუ არა სამომავლო გაუმჯობესებაში წვლილის შეტანას (4).

კეთილგანწყობილი ურთიერთობის დამყარება მშობლებთან

მშობლები, ერთი მხრივ, თავიანთ შვილებს ყველაზე კარგად იცნობენ, მეორე მხრივ, მათ შეიძლება სჭირდებოდეთ თქვენი დახმარება და მეგზურობა უმნიშვნელოვანეს საკითხებთან დაკავშირებით.

მშობლებს, შესაძლოა, კითხვები ჰქონდეთ ბავშვის განვითარების თავისებურებების შესახებ, როგორ უნდა ბალანსდებოდეს ბალის ასაკში თამაში და სწავლა. აუხსენით მშობელს, როგორაა ერთმანეთთან დაკავშირებული სწავლა და თამაში ამ ასაკში. ამ თემებზე სასაუბროდ, ეს გზამკვლევიც დაგეხმარებათ და ამ თემაზე შექმნილი სხვა მასალებიც.

მშობლებს, შესაძლებელია, კითხვები ჰქონდეთ იმის თაობაზე, თუ როგორ დაეხმარონ ბავშვის კომუნიკაციური უნარების განვითარებას. მშობლებს, შესაძლოა, სჭირდებოდეთ თქვენი კონსულტაციები იმის თაობაზე, თუ რა გავლენას ახდენს უკონტროლოდ და დიდი ხნით კომპიუტერის, გაჯეტებისა და ტელევიზორის წინ ყოფნა.²⁷ ყველა მშობელმა არ იცის, რომ ფონური ხმების სიხშირემ (ფონად ჩართული ტელევიზორი, მუდმივი ხმაური იმ სივრცეში, სადაც ბავშვი იმყოფება), შესაძლოა, შეაფერხოს მოსმენის უნარი, შესაბამისად - კომუნიკაციისა და მეტყველების უნარები.

მშობლებს შესაძლოა, დასჭირდეთ თქვენი რჩევები და კონსულტაციები ბავშვის ქცევის მართვისა და პოზიტიური აღზრდის საკითხებზე²⁸. ყველა ამ რჩევის მიცემაში აღმზრდელ-პედაგოგებსა და აღმზრდელებს ამ გზამკვლევიც მოცემული მასალები და, ასევე, ამ თემაზე ქართულ ენაზე შექმნილი სხვადასხვა სახის ლიტერატურა დაგეხმარებათ.

იმისათვის, რომ მშობლებთან თავიდანვე შეძლოთ პოზიტიური ურთიერთობების დამყარება, მნიშვნელოვანია სანყისი შეხვედრების ორგანიზება, სადაც საუბრის ძირითადი თემა ბავშვისა და მშობლის პრიორიტეტების გაცნობა იქნება და, ასევე, მშობლისათვის ბაგა-ბალის ცხოვრებისა და პროგრამის გაცნობა. შეხვედრის ორგანიზებაში მშობლებისათვის მომზადებული სპეციალური კითხვარი დაგეხმარებათ, რაც თქვენსა და მშობელს შორის პოზიტიური სანყისი ურთიერთობის საფუძველს შექმნის. (იხ. დანართი 9).

ადრეული განათლების დანერგვების მაღალ ხარისხზე მიანიშნებს, თუ რამდენად რეგულარულად ხდება შეხვედრა-სემინარების ორგანიზება მშობლებისათვის. ამგვარ შეხვედრებზე - ბაღში მომუშავე ადამიანები - გამოცდილი აღმზრდელები, მეთოდისტები, ფსიქოლოგები, სპეციალური განათლების პედაგოგები და მეტყველების თერაპევტები მშობლებს ბავშვის პოზიტიური აღზრდის მნიშვნელოვან საკითხებზე - ემოციური მხარდაჭერა, ბავშვის აქტიური მოსმენის მნიშვნელობა, ადრეული კომუნიკაციის სტიმულირების მნიშვნელობა, დღის რეჟიმისა და რუტინის მნიშვნელობა, ძილი, კვება და ა.შ. - ესაუბრებიან.

ამგვარი შეხვედრები, შესაძლოა, 2 თვეში ერთხელ ტარდებოდეს ყველა მშობლისათვის (სხვადასხვა ჯგუფებიდან) და მას ბალის მიერ შერჩეული კანდიდატები ატარებდნენ. ასევე შესაძლებელია, ჯგუფის აღმზრდელები,

27 იხ: <http://nanny.ge/27.html>

28 პოზიტიური სოციალურ-ემოციური აღზრდისა და მშობლებთან ურთიერთობის მნიშვნელოვან ასპექტებზე იხილეთ ამ გზამკვლევის ერთ-ერთი თავი „ბოდიში“ (ნაწილი 3), რომელშიც აღწერილია, თუ როგორ ახერხებს აღმზრდელი ორ ბავშვს შორის კონფლიქტის დარეგულირებას და შემდეგ, ამ თემაზე მშობლებთან საუბარს.

ყოველი თვის ან 2 თვის ბოლო პარასკევს ან რაიმე სხვა პერიოდულად, თავისი ჯგუფის მშობლებს ხვდებოდნენ და ბავშვის განვითარების ან ჯგუფის ცხოვრების სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ესაუბრებოდნენ.

მოხალისეობრივ საფუძველზე, გარკვეული პერიოდულად, შესაძლებელია გარე სპეციალიტების მონაწილეობა. ბაგა-ბალის გამოცდილი თანამშრომლები, რომლებმაც კარგად იციან თავიანთი მშობლების პროფესიები, მშობლებთან შეხვედრების წარმართვისას, დახმარებას მათაც თხოვენ, მაგალითად, თუ რომელიმე მშობელი კბილის ექიმი, შეიძლება ვთხოვოთ, რომ ერთ დღეს მოვიდეს და დანარჩენ მშობლებს კბილების ჰიგიენის მნიშვნელობაზე ესაუბროს და სხვადასხვა მნიშვნელოვანი რჩევები მისცეს.

პროფესიების თემაზე დაგეგმილ აქტივობებში, ბავშვებისათვის საინტერესო პროფესიების მქონე (პოლიციელი, მეხანძრე, ექიმი, კულინარი, მსახიობი და ა.შ.) მშობლების ჩართვა, ძალიან სახალისოა ხოლმე. კარგი იქნება, თუ მშობელს სთხოვთ, მოვიდეს და ბავშვებს თავისი პროფესიის შესახებ ესაუბროს.

ბალის ცხოვრებას მეტ ინტერესსა და ხალისს შესძენს, თუ მშობლების ჩართულობით, მათი იდეების გაზიარებით, ბავშვებისათვის ხანმოკლე საინტერესო ექსკურსიებსაც დაგეგმავთ - მაგალითად, თუ რომელიმე მშობელი ახლოს მდებარე დიდ სამშენებლო სუპერმარკეტში მუშაობს და თანახმაა, ბავშვებს მეგზურობა გაუწიოს და აუხსნას, როგორ მარაგდება მაღაზია, რა მოვალეობები აქვთ სანყობში მომუშავე ადამიანებს, რა ნივთი რისთვისაა და ა.შ.

კავშირი განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების მშობლებთან

როდესაც საქმე განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების მშობლებთან ურთიერთობას შეეხება, ხშირად გაიგონებთ ხოლმე აღმზრდელ-პედაგოგებისა და ბაღში მომუშავე სხვა პერსონალისგან შემდეგი შინაარსის ფრაზებს:

- „ბავშვის მდგომარეობას არ აღიარებს“
- „დიაგნოზს მაღავს“
- „ფორმა ასში ჯანმრთელი უნერია და აბა, მე რა გავიგო, როგორ მოვიქცე?“
- „ბავშვის დიაგნოზი ვერ ვათქმევინე“

ამ შინაარსის გამოთქმებზე საპასუხოდ, ორ შეკითხვას უნდა გავცეთ პასუხი: პირველი, რატომ შეიძლება „არ აღიარებდეს“ ან „მაღავდეს“ მშობელი ბავშვის მდგომარეობას და მეორე, რას გვეუბნება, ან არ გვეუბნება დიაგნოზი.

პირველ შეკითხვაზე საპასუხოდ, სხვისი პერსპექტივის დანახვის ის უნარი უნდა გამოვიყენოთ, რომლითაც ბაღში მომუშავე ადამიანი უხვად უნდა იყოს დაჯილდოვებული. დავუსვათ ჩვენს თავს კითხვა: - რატომ შეიძლება „არ აღიარებდეს“ ან „მაღავდეს“ მშობელი ბავშვის მდგომარეობას? ახლა კი ვუპასუხოთ შემდეგ შეკითხვებს: - შევქმენით კი ისეთი გარემო, სადაც მშობელი დარწმუნებული შეიძლება იყოს, რომ მას შვილის მდგომარეობის გამო არ გარიყავენ, ან სიბრალულთ არ დაუნყებენ ყურებას? რამდენად თავისუფალია ჩვენი საზოგადოება სტიგმებისგან? წარმოიდგინეთ თქვენი თავი მის ადგილას, რამდენად მზად და ღია იქნებოდით ყველგან და ყველასთან გესაუბრათ ამ თემაზე? ბაგა-ბალთან შეგუება ტრანზიციის პერიოდია ბავშვისა და მშობლის ცხოვრებაში. არც ერთი ტრანზიცია არ არის მარტივი არც ერთი ბავშვისა და არც ერთი მშობლისათვის. მით უმეტეს, ეს არ არის მარტივი იმ ბავშვისა და მშობლებისათვის, რომლებიც, მაგალითად, განსხვავებულ ენაზე საუბრობენ, ან ოჯახში აქვთ მძიმე სოციალური და ემოციური ფონი, ან ბავშვს აქვს რთული ქცევა, ან სახეზეა რაიმე დიაგნოზით გამოწვეული სპეციალური საჭიროებები და ა.შ.

სცადეთ, იყოთ მეტად ემპათიურები და გაიხსენეთ, რომ ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე, ყველას გვიდგება ხოლმე რთული პერიოდები. გაიხსენეთ ისიც, რომ ამ სირთულეებზე რეაგირების მექანიზმები ყველას სხვადასხვაგვარი აქვს: ზოგი ფიქრობს, რომ თუ პრობლემას ცოტა ხანი არ შეემჩნევს, ის თავისით მოგვარდება. ზოგი იმედოვნებს, რომ რაღაც შეცდომა იყო დაშვებული და ყველაფერი მალე გამოსწორდება. ზოგი, პრობლემებში- პირველ ეტაპზე- სხვის დადანიშნულებას იწყებს. ზოგიერთს, პირველივე დღეებიდან ბრძოლისა და ყველა პრობლემის იმ დღესვე გაქრობის არარეალისტური სურვილი უჩნდება. ზოგი, საკუთარ თავში იკეტება, ზოგისთვის კი მნიშვნელოვანია, საკუთარ პრობლემებზე რაც შეიძლება ბევრ ადამიანს ესაუბროს. ადამიანები ერთმანეთისგან განსხვავდებიან და, მათ შორის, განსხვავდებიან პრობლემებთან გამკლავების გზების გამოჩვენებაც. შესაბამისად, თავისი შვილის სირთულეზე ყველა მშობელი შესაძლოა, სხვადასხვაგვარად რეაგირებდეს და, აქედან გამომდინარე, თქვენთან სხვადასხვაგვარად ურთიერთობდნენ. მაგრამ თუ დაინახავთ, რომ თქვენ მათი გესმით და თქვენი ნდობა შეიძლება, მათი ურთიერთობის სტილი აუცილებლად შეიცვლება. **ისინი უნდა ხედავდნენ და გრძნობდნენ, რომ როდესაც ბავშვზე იწყებთ საუბარს, თქვენი გულწრფელი სურვილი ბავშვის დახმარებაა და არა რამის „აღიარებინება“.** ჩვენ ხომ საგამოძიებო დაწესებულებაში არა ვართ, ადამიანმა აღიარებითი ან უარყოფითი ჩვენებები რომ გვაძლიონ.

უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ მშობლებს, ძლიერი ემოციები აქვთ თავიანთი შვილების მიმართ. შესაძლოა, მათ ზუსტად იციან არსებული პრობლემების შესახებ, მაგრამ ჯერ არ არიან მზად ამაზე სასაუბროდ. მათ ბავშვთან შეიძლება ყოველდღე პრობლემები შეექმნათ ქამის, ბანაობის და ძილის დროს, სუპერ-მარკეტში გასვლა კომპარად მიაჩნიათ და ეშინიათ მისი ეზოში ჩაყვანა იმის გამო, რომ მან შეიძლება სხვა ბავშვებს რამე ზიანი მიაყენოს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი მზად არიან, მათ ბავშვს სხვაამაღ რთული უწოდოს (1).

გაითვალისწინეთ ისიც, რომ მშობლებს შესაძლოა, სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში უკვე ჰქონდათ უხემ, არაგულითად მასწავლებლებთან საუბრის გამოცდილება და ყოველი ახალი შეხვედრა საშიშად ეჩვენებათ. მეორე მხრივ, შესაძლებელია, ბავშვის პრობლემების შესახებ მათ მართლაც პირველად ესმოდათ, რადგან შესაძლოა, არ ჰქონდეთ ბავშვის განვითარებასა და ქცევაზე სათანადო ინფორმაცია, ან ბავშვი სახლსა და ბაღში მართლაც განსხვავებულად იქცეოდა.

შედეგად, ყველა მშობელს თავიდანვე არ ექნება თქვენთან პრობლემური ქცევის მოგვარების სტრატეგიაზე მუშაობის სურვილი. ზოგი შეიძლება, სწრაფად შემოგიერთდეთ და ერთად დასახოთ ახალი ტაქტიკა ბავშვთან მუშაობაში, მაგრამ ზოგი შეიძლება, ვერ დაითანხმოს, რადგან რომელიმე ბალიდან მიღებული გამოცდილების გამო არ ენდობიან მასწავლებლებსა და ბაღს. ზოგიერთები კი, რომლებსაც არ უჭირთ ბავშვების პრობლემებზე საუბარი, შეიძლება აგრესიულად განეწყონ. „იყავით ემპათიურები და გაითვალისწინეთ ისიც, რომ ბევრს საერთოდ არ აქვს დრო, ენერჯია ან ფული თქვენთან რომ ითანამშრომლოს. იმის მიუხედავად, როგორი რეაქცია ექნება ოჯახს, თქვენ თავდაცვითი პოზიცია არ უნდა დაიჭიროთ, რადგან ამ საქმეში წარმატებაზე პასუხისმგებელი ხართ თქვენ“. - ბარბარა კაიზერი ურჩევს ადრეული განათლების სპეციალისტებს (1).

მნიშვნელოვანია გვესმოდეს პასუხი მეორე კითხვაზეც: - რას გვეუბნება, ან არ გვეუბნება ბავშვის დიაგნოზი ბაღის გარემოში? პირველ რიგში, გავიხსენოთ, რა არის ინკლუზიური განათლების მთავარი იდეა - ეს არის საგანმანათლებლო დაწესებულების ძალისხმევა ჩართოს და დაეხმაროს ამ დაწესებულების სივრცეში შემავალ ყველა ბავშვს (და ყველა უფროსსაც) მიუხედავად მისი რასის, კანის ფერის, ეთნიკური თუ რელიგიური მიკუთვნებულობის, სოციალური

წარმომავლობის, პოლიტიკური შეხედულებებისა თუ მენტალური და ფიზიკური მდგომარეობისა. ინკლუზიური განათლება- თავისი არსით- დიაგნოზის არსებობა-არ არსებობაზე მიბმული არ არის. ამის მიზეზი, ერთი მხრივ ისაა, რომ შეიძლება ბავშვს ჰქონდეს განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებები: მაგალითად, არ ესმოდას უმრავლესობის ენა, იყოს დეპრივირებული ოჯახური მდგომარეობის გამო, ჰქონდეს ქცევითი პრობლემები, მაგრამ არ ჰქონდეს არავითარი დიაგნოზი. ცხადია, ეს ბავშვებიც ისევე იმსახურებენ განსაკუთრებულ ყურადღებას და მათ ჩასართავად გადებულ ძალისხმევას, როგორც ის ბავშვები, რომლებსაც რაიმე სახის დიაგნოზი აქვთ. მეორე მხრივ, ისიც ცხადია, რომ ერთი და იგივე დიაგნოზის მქონე ორი ბავშვი შესაძლოა ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდებოდეს და მხოლოდ დიაგნოზის ცოდნა - აუტიზმი, დაუნის სინდრომი, ცერებრული დამბლა ან სხვა, შესაძლოა, ბევრს არაფერს გვეუბნებოდეს ბავშვის შესახებ. მთავარია, შეგეძლოს დაკვირვება და იმის შეფასება, თუ რა სახის მხარდაჭერაჭირდება ბავშვს ბაღში.

ჩვენთვის, როგორც ბაგა-ბაღში მომუშავე ადამიანებისათვის, პირველადი მნიშვნელობის იმის დანახვა უნდა იყოს, თუ რა პოტენცია და რა საჭიროებები შეიძლება ჰქონდეს ბავშვს ბაღის გარემოში, რა შეიძლება ეხმარებოდეს ან ხელს უწყობდეს მას ინტეგრირებაში. შესაბამისად, ნუ გაიხდით თქვენს მთავარ საზრუნავად, „ათქმევინოთ მშობელს ბავშვის დიაგნოზი“ .

როგორც წესი, ბაგა-ბაღის ჯგუფებში არიან ბავშვები, რომლებიც ერთი შეხედვით თავიანთი თანატოლების მსგავსად ვითარდებიან, მაგრამ დაკვირვებული უფროსი, დროთა განმავლობაში, აღმოაჩენს, რომ ბავშვს აქვს გარკვეული სირთულეები ამა თუ იმ აქტივობის შესრულებისას, კონცენტრირებისას, მეგობრებთან ურთიერთობისას და ა.შ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, კარგად გვახსოვდეს და კარგად გვექონდეს გააზრებული ადრეული განათლების პედაგოგის როლი ადრეული იდენტიფიცირების თვალსაზრისით. 2002 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში, სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების ოჯახებთან ჩატარებული ერთ-ერთი კვლევის (5) თანახმად, 40% შემთხვევაში მშობლები ამბობდნენ, რომ პირველად, საბავშვო ბაღის აღმზრდელმა/სპეც პედაგოგმა აღმოაჩინა მათი შვილის სპეციალური საჭიროებები.

არ არის მარტივი, მშობელს პირველი ეჭვი გაუზიარო იმის შესახებ, რომ მის შვილს, ქცევასთან ან განვითარებასთან დაკავშირებით, რაიმე საყურადღებოს ამჩნევთ. ბუნებრივია, რომ ლელავდეთ, რადგან არ იცით, როგორი რეაქცია შეიძლება ჰქონდეს მშობელს და შესაძლოა გეშინოდეთ იმისაც, რომ მთელი პასუხისმგებლობა თქვენ დაგანებებთ კისერზე. ამიტომ, სანამ მშობელთან საუბარს დაგეგმავთ, ჰკითხეთ აზრი თქვენს ბაღში მომუშავე სხვა სპეციალისტებს, გაიზიარეთ მათი შეხედულებები და გამოცდილება. გარდა ამისა, გახსოვდეთ, რამდენად მნიშვნელოვანია ადრეული დახმარების როლი ბავშვის მომავალ განვითარებაში. ბავშვს კი სათანადოდ ვერ დაეხმარები, თუ მისი საჭიროებები დროულად არ იქნა იდენტიფიცირებული. ადრეულმა იდენტიფიცირებამ და ადრეულმა ჩარევამ შესაძლოა, გარკვეული დროის შემდეგ, პრობლემა საერთოდ მოხსნას, ან მისი ხარისხი საგრძნობლად შეამციროს.

პირველი შეხვედრა და საუბარი მშობლებთან დიდწილად განსაზღვრავს თქვენსა და მათ შორის მომავალ ურთიერთობებს. ასეთი საუბრისას, მნიშვნელოვანია, თავი არ წარმოვაჩინოთ ექსპერტად ან ავტორიტეტად. როცა თქვენ და ოჯახი ერთმანეთს თანაცნობად მიიჩნევთ, აღიარებთ ერთმანეთის ცოდნას და გააცნობიერებთ, რომ აზრთა სხვადასხვაობა ნორმალურია, შეგიძლიათ ერთობლივი ძალით დასახოთ მიზნები, შეადგინოთ გეგმები და გადანყვიტოთ პრობლემები (1).

„ოჯახს ღიმილით შეხვდით. სანამ პრობლემებზე ისაუბრებთ, აცნობეთ მათ, თუ რა წარმატებებს აღწევს მათი შვილი: რას აკეთებს კარგად, ვინ არიან მისი მეგობრები და რა მოსწონს. შემდეგ კი ისაუბრეთ მისი პრობლემური ქცევის შესახებ, რასაც ამჩნევთ და რაში გჭირდებათ ოჯახის დახმარება. როცა მშობლებს ბავშვის ქცევებს, თქვენს მოლოდინებსა და თქვენ მიერ გამოცდილ სტრატეგიებს აცნობთ, ისაუბრეთ წყნარად, ფაქტებზე დაყრდნობით და კონკრეტულად“ (1). ესაუბრეთ ოჯახს იმაზე, თუ რას ხედავთ, და არა იმაზე, თუ რას ფიქრობთ. შესაძლებელია, მშობელს აჩვენოთ თქვენ მიერ შევსებული ბავშვის განვითარების შეფასების ფორმა და უთხრათ, რომ ამ ფორმებით ყველა ბავშვს აფასებთ. სთხოვთ, რომ რაშიც დარწმუნებული არ ხართ, ის არეები ერთად შეავსოთ. შესაძლებელია, რომ ბავშვის სხვა უნარებსა და ქცევას ავლენდეს სახლში და სხვას- ბაღში. ჰკითხეთ მშობელს ამის შესახებ და გაითვალისწინეთ მისი აზრი.

ზოგი მშობელი ღელავს, სანამ დაეკონტაქტებით, ზოგისთვის კი ეს მოულოდენელია. მათი დანაშაულის, გაბრაზების, იმედგაცრუების, შეცბუნების გრძნობა აუცილებლად ძლიერდება და მათ რეაქციებზე ახდენს გავლენას. „მათ შეიძლება უარყონ, გაამართლონ, ლოგიკური ახსნა მოუძებნონ ბავშვის ქცევას, ან კიდევ უარი თქვან პასუხისმგებლობაზე: „ის ასეთი არ არის სახლში“, „იქნებ მოწყენილია“, „სამეზობლოში ბევრი მეგობარი ჰყავს“, „ჩვენ ახლა განვქორწინდით“ და ა.შ. იმ მშობლებმაც კი, რომლებიც თითქოს თანამშრომლობენ, შეიძლება უმწეოდ და დაუცველად იგრძნონ თავი“ (1). გამოხატეთ თანაგრძნობა და ყურადღებით მოუსმინეთ.

მშობლები, ხშირად, თავდაცვით პოზიციას იჭერენ, როცა მასწავლებელი მათი ბავშვის რთულ ქცევაზე სასაუბროდ იწვევს. ეს რეაქციები შეიძლება გამონეული იყოს იმისგან, რომ სხვა ბაღში ან სხვა სიტუაციაში მათ ნეგატიური გამოცდილება მიიღეს ადრე, ანდა იმისგან, რომ დიდ სტრესში ცხოვრობენ. შესაბამისად, შეეცადეთ, გაიგოთ მათი გრძნობები და ემოციები. **ესაუბრეთ მანამდე, სანამ გააგებინებთ, რომ ბავშვზე ზრუნავთ და სწორედ ამიტომ გასურთ მათთან თანამშრომლობა.**

მშობლებთან პირველ შეხვედრაზე, უმჯობესია, მარტო იყოთ და ეს შეხვედრა მშვიდ და კომფორტულ გარემოში მიმდინარეობდეს. სხვების ჩართვამ, თავიდან, ოჯახი შეიძლება შეაშინოს. ისინი იფიქრებენ, რომ მათი ბავშვის საკითხს მათ ზურგს უკან განიხილავთ. თუ მშობელთან შეთანხმდებით და სასარგებლოდ მიიჩნევთ, შეგიძლიათ, მომდევნო შეხვედრას სხვაც დაასწროთ.

ყოველთვის შეეცადეთ, განსაკუთრებით კი პირველი საუბრისას, რომ ბავშვი და მისი ქცევა ერთმანეთისაგან გამიჯნოთ. მაგალითად, არ თქვათ: - „გიო აგრესიულია“. დააკონკრეტეთ, რატომ ღელავთ და აღწერეთ ბავშვის ქცევა კონკრეტულად: -„გიო სხვების ნამუშევრებს ხევს ხოლმე“. მოუყევით მშობელს, რა სტრატეგიები სცადეთ ამ პრობლემის მოსაგვარებლად და ახსენით, რომ ბავშვის ხანგრძლივი განვითარებისათვის მნიშვნელოვანია, მას დავეხმაროთ.

გაითვალისწინეთ ისიც, რომ პრობლემური ქცევის ყველა ბავშვს არ აქვს პრობლემები ჯგუფს გარეთ, და რომ შესაძლოა ამ ინფორმაციამ მშობელი გულწრფელად გააკვიროს, განსაკუთრებით ეს ითქმის დედისერთა ბავშვებზე. მნიშვნელოვანია, რომ მათ დელიკატურად უთხრათ, რომ მათი ბავშვის ქცევა პრობლემას ქმნის თქვენს ჯგუფში, სადაც მან სხვა ბავშვებთან უნდა გაიზიაროს სივრცე, სათამაშოები და ყურადღება. ფრთხილად შეახსენეთ, რომ თუ ბავშვს უჭირს ბალის ჯგუფში, უფრო მეტად გაუჭირდება სკოლაში, სადაც უფრო ცოტა მასწავლებელი და მეტი მოთხოვნებია (1).

თუ შიშობთ, რომ მომავალი შეხვედრა დაპირისპირებული იქნება, მესამე მხარეს სთხოვეთ, რომ შემოგიერთდეთ. ამოირჩიეთ ის პიროვნება, ვისაც შეხვედრაზე მოსვლის ლეგიტიმური უფლება ექნება. მაგალითად, ფსიქოლოგი, სპეც პედაგოგი, სხვა მასწავლებელი, დირექტორი, და ოჯახსაც აცნობეთ, ვინ დაესწრება შეხვედრას.

შესაძლებელია, რომ ოჯახმა უარი თქვას ჩარევის გეგმაზე. ეს მისი უფლებაა და მისი გადაწყვეტილება არ გულისხმობს, რომ მას თავისი ბავშვი არ უყვარს - ის არ არის მზად ან მისი შეხედულება არსებული მდგომარეობის შესახებ თქვენი შეხედულებისაგან განსხვავდება. განაგრძეთ ბავშვთან მუშაობა მშობელთან შეთანხმებული სტრატეგიების მიხედვით და შესაძლოა, გუნდის შექმნაზე მშობელი ცოტა მოგვიანებით დაითანხმოს და შესაძლოა რამდენიმე თვის შემდეგ, ეს არც აღმოჩნდეს აუცილებელი. მშობელთან ურთოერთობის საინტერესო შემთხვევის შესახებ, ნიკითხეთ „სარა“, ნიგნის მესამე ნაწილში სადაც კარგად ჩანს რამდენად მნიშვნელოვანია ბავშვის საუკეთესო ინტერესიც და საკუთარ პროფესიონალიზმში და სიმართლეში დარწმუნებულობაც.

თუ მშობელთან შეთანხმდებით, რომ ბავშვთან გუნდურად მუშაობა და მისთვის ინდივიდუალიზაცია ან ინდივიდუალური გეგმის შედგენა სასარგებლო იქნება, ჩართეთ ამ პროცესში ბაღში მომუშავე სხვა სპეციალისტებიც; და თუ გაირკვევა, რომ ბავშვი რაიმე სახის ადრეული ჩარევის პროგრამაშია ჩართული, ჩართეთ პროცესში ბაღს გარეთ მომუშავე სპეციალისტიც. გახსოვდეთ, რომ დახმარების თხოვნა არ არის სისუსტის ნიშანი, უფრო მეტიც, ეს სიბრძნის ნიშანია.

ურთიერთობა სხვა მშობლებთან განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვის თაობაზე

სამწუხაროდ, შეიძლება მოხდეს ისეც, რომ რომელიმე მშობელმა პრეტენზია გამოთქვას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვის ჯგუფში ყოფნასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ ამგვარი რამ ნაკლებ მოსალოდნელია საბავშვო ბაღში, სადაც გარემო და ადამიანური ურთიერთობები ღია და ინკლუზიურია, სადაც კედლებზე გამოფენილი მიმანიშნებლები-პლაკატები და ფოტოები, მშობლებისთვის ურთიერთგასაცნობად მონყობილი შეხვედრები, ბაღში არსებული საგანმანათლებლო ბროშურები და თანამშრომლების ურთიერთობები ბავშვებთან და უფროსებთან, ინკლუზიურობასა და თანასწორობის ღირებულებებზე მიუთითებენ.

თუმცა, თუ ასე მაინც მოხდა, როგორ უნდა ვუპასუხოთ მშობელს, რომელიც ჩივის, რომ რომელიმე ბავშვის ჯგუფში ყოფნა მისი შვილისთვის და მისთვის პრობლემების შემქმნელია? ასეთ დროს, მშობელთან ურთიერთობისას, ორი რამ უნდა გვახსოვდეს: ა) ერთი მხრივ, ყველა ბავშვს, მიუხედავად მისი შესაძლებლობებისა, აქვს უფლება იმყოფებოდეს ბაღში. ყველა ბავშვის ეს უფლება მრავალი საერთაშორისო და ადგილობრივი კანონმდებლობითაა გამყარებული და ბავშვისთვის ამ უფლების შეზღუდვა, ვისიმე მოთხოვნის საფუძველზე, დაუშვებელია; ბ) მეორე მხრივ, ყველა მშობელს აქვს უფლება, და ეს მისი ბუნებრივი მდგომარეობაცაა, ზრუნავდეს მისი შვილის უსაფრთხოებასა

და ემოციურ კეთილდღეობაზე და ამის შესახებ შეკითხვებს სვამდეს. შესაბამისად, თუ მშობელი ნუხს, რომ რომელიმე რთული ქცევის ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის ჯგუფში ყოფნის გამო, მისი შვილი უსაფრთხოდ ვერ იქნება, ითრგუნება ანდა მის ქცევებს გადაიღებს, თქვენი პასუხი, ერთი მხრივ, იმის მყარ ცოდნას უნდა ეფუძნებოდეს, რომ ბაგა-ბაღის სივრცე ყველა ბავშვისთვისაა და რომ დისკრიმინაცია დაუშვებელია. და მეორე მხრივ, თქვენს პასუხში უნდა ჩანდეს, რომ გესმით მშობლის ზრუნვის მნიშვნელობა მისი შვილის უსაფრთხოებაზე. აუცილებელია, მშობელს დარწმუნებით უთხრაო, რომ თქვენც და ბაღის ყველა თანამშრომელი გამუდმებით ზრუნავს ყველა ბავშვის უსაფრთხოებაზე, იმაზე, რომ ერთმანეთთან თამაშისას არავინ არაფერი დაიზიანოს და არავინ არაფერი იტყინოს. და რომ ეს ეხება ყველა ბავშვს ერთნაირად.

მშობელს აუხსენით ისიც, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ყველა ბავშვისათვის, პატარა ასაკიდანვე ესმოდეთ, რას ნიშნავს მრავალფეროვნება და განსაკუთრებული საჭიროებები; რამდენად მნიშვნელოვანია, ამ ასაკში უფითარდებოდეთ სხვაზე ზრუნვის და სხვისი გათვალისწინების უნარები. აუხსენით მშობლებს, რომ სწორედ ეს უნარებია, რაც მათ მომავალ ცხოვრებაში უფრო გახსნილ, სტრესებისადმი უკეთ გამკლავებისაკენ მიდრეკილ, მზრუნველ და ტოლერანტულ ადამიანებად აქცევს.

ესაუბრეთ მშობელს იმაზეც, რომ არც ერთი სინდრომი ან მდგომარეობა გადამდები არ არის. აუხსენით ისიც, რომ თუ მისი შვილი განსაკუთრებული საჭიროების მქონე თანატოლის რომელიმე ქცევას იმეორებს, ეს მხოლოდ ერთი ან რამდენიმე დღე შეიძლება გაგრძელდეს და რომ ეს მხოლოდ ცნობისმოყვარეობის გამოვლენის ნიშანია, რომ ამ ქცევით, მისი შვილი თანატოლისადმი ინტერესს ავლენს, რომ ის ცდილობს, გაიგოს და შეიმეცნოს მისი განსხვავებულობა. და რომ ეს ბავშვთან მრავალფეროვნების თემაზე საუბრის დაწყების კარგი საწინდარია და არა შეშფოთების მიზეზი.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამგვარი შემთხვევების რიცხვი იკლებს მაშინაც, როდესაც ჯგუფში მრავალფეროვნებისა და განსაკუთრებული საჭიროებების თემაზე ბავშვებთან გახსნილად და მათთვის გასაგებ ენაზე საუბრობთ - თანაჯგუფელის ეტლი, ორტეზი, სმენის აპარატი ან უცნაური ქცევა- ტაბუდადებული თემა არ უნდა იყოს.²⁹

გამოყენებული რესურსები:

1. NAYEC (2011) Code of ethical conduct and statement of commitment.
2. Barbara Kaiser. (2007). Challenging Behavior in Young Children: Understanding, Preventing and Responding.
3. Frankland, Nelson & Beegle. (2004). Blue-Banning, Summers.
4. Janet Cooper (2010). The Early Years Communication Handbook.
5. Johnson, Duffet (2002). A Report on Special Education from the Families Who Use It

29 ამ თემებზე ბავშვებთან და მშობლებთან სასაუბროდ გამოიყენეთ: „ათი განსაკუთრებული გაკვეთილი“ <http://elibrary.emis.ge/ge/books/details/128>

**რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნება
ადრეული განათლების დაწესებულებაში**

- მოექცევი სხვას ისე, როგორც შენ გინდა, რომ გექცეოდნენ - **ქრისტიანობა**
- ნუ გაუკეთებ სხვას იმას, რაც თავად არ გენდომებოდა, რომ გაგიკეთონ - **იუდაიზმი**
- ვერც ერთი თქვენგანი ვერ გახდება მორწმუნე, სანამ სხვას იმასვე არ უსურვებ, რასაც შენ თავს უსურვებდი - **ისლამი**
- შენი მთავარი მოვალეობაა, არაფერი გაუკეთო სხვას ისეთი, რაც შენ თავად ტკივილს მოგაყენებდა - **ინდუიზმი**
- ჩემთვის უსიამოვნო მდგომარეობა ასეთივე იქნება სხვისთვისაც - **ბუდიზმი**

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანებისათვის, ოქროს წესის სახელით ცნობილი, ამ შეგონებების დაცვა არასოდეს ყოფილა იოლად შესასრულებელი ამოცანა, კაცობრიობის განვითარების ისტორია მაინც იმაზე მიგვანიშნებს, რომ საუკუნეთა მანძილზე, ჰუმანურობა სულ უფრო მეტად და მეტად მნიშვნელოვანი ღირებულება ხდება.

„ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“ და „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია“ - მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ათწლეულებში მიღებული ეს ორი უმნიშვნელოვანესი აქტი, იყო იმის გაცნობიერება, თუ რამდენი უბედურების მოტანა შეუძლია ადამიანთა ერთი ჯგუფის მიერ, რაიმე ნიშნით, უპირატესობის მტკიცებას სხვა ადამიანებზე.

მეორე მსოფლიო ომის დროს, არიული რასის უპირატესობის მტკიცებამ და ადამიანების სხვადასხვა ნიშნით (ეთნიკური, რელიგიური, პოლიტიკური, ფიზიკური, მენტალური, სექსუალური) დისკრიმინაციამ გამოიწვია: ექვსი მილიონი ებრაელის, ორი მილიონი ბოშას, ამდენივე სამხედრო ტყვესა და განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების მქონე, ორმოცდაათ ათასამდე ფიზიკური და ფსიქიკური შეზღუდვების მქონე ადამიანების, ათი ათასამდე იეჰოვას მოწმეთა და სხვათა განადგურება.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პრეამბულაში ნათქვამია, რომ „ვინაიდან ადამიანის უფლებათა უგულებელყოფამ და აბურჩად აგდებამ ბარბაროსული აქტები გამოიწვია, რაც კაცობრიობის სინდისს ალაშქოთებს, ადამიანთა მაღალი მისწრაფება გახდა ისეთი მსოფლიოს შექმნა, რომელშიც ადამიანებს ექნებათ სიტყვისა და რწმენის თავისუფლება და რომელშიც ისინი შიშისა და გაჭირვების გარეშე იცხოვრებენ“, შესაბამისად, დეკლარაციის პირვლივე მუხლი ამბობს, რომ „ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი, თავისი ღირსებითა და უფლებებით; მეორე მუხლი კი „ამ დეკლარაციით გამოცხადებულ ყველა უფლებასა და თავისუფლებას ანიჭებს თითოეულ ადამიანს: რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულების, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი, ნოდებრივი თუ სხვა მდგომარეობის განურჩევლად“; დეკლარაციის 26-ე მუხლი „განათლების უფლებას ანიჭებს ყველას“, ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნებისგან დამოუკიდებლად.

ადამიანის უფლებების დაცვის ამ აქტების მიღებას მოყვა მრავალი ცვლილება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში - მათ შორის, ეთნიკური და რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

ნებისმიერი დისკრიმინაცია (ხანდახან ჩვენ მიერ ვერ გაცნობიერებული) ძალიან მტკივნეული და მატრამვირებელია დისკრიმინაციის ობიექტისთვის. დისკრიმინაცია შობს კონფლიქტებსა და ომებს. დისკრიმინაცია გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორია უფროსებისა და ბავშვების ცხოვრების წესი და ცხოვრების ხარისხი თანამედროვე სამყაროში. ადრეული ასაკიდან ტოლერანტობის კულტურისა და მრავალფეროვნების დაფასების უნარის აღზრდა უკომფლიქტო, მშვიდობიანი მსოფლიოს არსებობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საწინდარია.

დღეს, მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო დაწესებულებები ბევრად შორს მიდიან, ვიდრე ეთნიკური და რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვა - ისინი საგანმანათლებლო პროგრამების ერთ-ერთ მიზნად ტოლერანტობის კულტურის წახალისებას სახავენ და ყურადღებას აქცევენ, რომ ტოლერანტობის მაღალი კულტურა საგანმანათლებლო გარემოს ყველა სფეროში იგრძნობოდეს, იქნება ეს მათი კურიკულუმი, მშობლებისათვის დამზადებული საინფორმაციო ბროშურები, თანამშრომლებს შორის ურთიერთობების სტილი თუ სხვა.

ბავშვები ძალიან ადვილად იღებენ უფროსების ქცევას, ისინი პირდაპირ ირეკლავენ უფროსების დამოკიდებულებებს განსხვავებულობისადმი. ბავშვებს ესმით და გრძნობენ, როგორ ლაპარაკობენ, ან არ ლაპარაკობენ უფროსები განსახვავებულობის შესახებ და როგორ ელაპარაკებიან ისინი განსხვავებული ჯგუფის წარმომადგენელს. სამწუხაროდ, ჩვენ ამას ხშირად ვერც ვაცნობიერებთ.

როგორც ადრეული განათლების თანამედროვე მკვლევარი და აქტივისტი ლუის დერმან-სპარკსი ამბობს: "იმისათვის, რომ სხვებსა და სხვების ღირებულებებს გაუგო, უნდა გესმოდეს, ვინ ხარ თავად შენ. როგორც განათლების სფეროში მოღვაწე სპეციალისტმა, მნიშვნელოვანია, შეძლო გადალახო ის სტერეოტიპები და ცრურწმენები, რაც გარემომ განსხვავებული ჯგუფების მიმართ ჩაგინერგა და კარგად განივითარო ემპათიის და სამართლიანობის გრძნობა"⁽¹⁾. რატომ არის საჭირო ვაცნობიერებდე სხვის და საკუთარ ღირებულებებსა და დამოკიდებულებებს? დღეს ბავშვები მრავალფეროვან საზოგადოებაში იზრდებიან. კვლევები ადასტურებს, რომ 3-4 წლის ასაკში ბავშვებს უკვე ესმით ეთნიკური, რასობრივი, გენდერული, ენობრივი და ფიზიკური განსხვავებები. ისინი ამ განსხვავებებსა და მსგავსებებს თავიანთი განვითარების პროცესის ბუნებრივ ნაწილად აღიქვამენ და განსხვავებულობის შესახებ პოზიტიურ და ნეგატიურ, ნათქვამ თუ გამოუთქმელ მესიჯებს ამ პროცესთან აკავშირებენ. გარემოდან ნამოსული ეს გავლენები ბავშვის თვითიდენტობის და თვითშეფასების ჩამოყალიბების ნაწილი ხდება. ბავშვები სწავლობენ და იყალიბებენ შეხედულებებს იმ დამოკიდებულებებისა და გამოცდილების მიხედვით, რასაც ისინი უფროსებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობით ითვისებენ ⁽²⁾. შესაბამისად, თვითიდენტობის და თვითშეფასების ჩამოყალიბების ერთ-ერთ ყველაზე სენსიტიურ პერიოდში (3-6 წლამდე), იმ უფროსების როლი, რომლებიც მათთან დიდ დროს ატარებენ და რომლებიც მათი მოდელები არიან, უკიდურესად მნიშვნელოვანია. დიდწილად ჩვენზე, ადრეული განათლების სპეციალისტებზეა დამოკიდებული, რამდენად შევძლებთ, ბავშვებს დავეხმაროთ საკუთარ თავთან და სხვებთან ჰარმონიაში განვითარდნენ - ჰქონდეთ მაღალი თვითშეფასება და შეეძლოთ მრავალფეროვნების დაფასება.

"საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ" ამბობს, რომ სკოლები დამოუკიდებელია რელიგიური და პოლიტიკური გაერთიანებებისგან³⁰. კანონის მე-18 მუხლის მე-2,3 პუნქტების თანახმად, „დაუშვებელია, მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს დაეკისროთ ისეთი ვალდებულებების შესრულება, რომლებიც ძირითადად ენიშნა ღმერთს მათ რწმენას, აღმსარებლობას ან სინდისს, საჯარო სკოლის ტერიტორიაზე რელიგიური სიმბოლოების განთავსება არ უნდა ემსახურებოდეს არააკადემიურ მიზნებს". სკოლამდელი განათლების დონეზე ეს სფერო რეგულირებული არ არის, თუმცა ზოგადი განათლების კანონის ანალოგიითა და საერთაშორისო პრაქტიკისა და გამოცდილების მიხედვით, შემდეგი რჩევების გათვალისწინება შეიძლება:

ერთი მხრივ, რელიგიური ტრადიციები და რელიგიასთან დაკავშირებული დღესასწაულები ჩვენი კულტურის განუყოფელი ნაწილია და მის აღნიშვნაში მონაწილეობს ბევრი ადამიანი, მათ შორის არარელიგიურები ან ნაკლებ რელიგიურებიც. ასეთია შობისა და აღდგომის აღნიშვნა ქრისტიანულ ტრადიციაში; ყურბან-ბაირამისა და ნოვრუზ-ბაირამის აღნიშვნა მუსლიმურ ტრადიციაში; პასექის აღნიშვნა ებრაულ ტრადიციაში და ა.შ. ამ დღესასწაულების ნიშნებითა და ატრიბუტიკით გაჯერებულია მთელი ჩვენი კულტურა, ეკონომიკა და მას-მედია. რამდენადაც ეს ტრადიციები ჩვენი ცხოვრებისა და იდენტობის ნაწილია, ბუნებრივია, რომ მათ შესახებ ცოდნის გაზიარება, ამ დღესასწაულების აღნიშვნა და დაფასება საგანმანათლებლო კურიკულუმის ნაწილიც ხდება, მით უმეტეს საბავშვო ბაღებში, სადაც უმეტეს შემთხვევაში, განათლების მეთოდოლოგია თემატურ სწავლებას ეფუძნება - ოჯახი, ცხოველები, ფერები, ნელინადის დროები, დღესასწაულები, კოსმოსი და ა.შ. ტრადიციული რელიგიური დღესასწაულების სხვადასხვა გამომსახველობითი გზებით - ხატვა, გაფერადება, კითხვა, ამბების თხრობა, დრამატული გათამაშება და ა.შ. - ზეიმი ბავშვების ცნობიერებას ამდიდრებს, მაგრამ მეორე მხრივ, რელიგიური ტრადიციები ძალიან მნიშვნელოვანია ბევრი ბავშვისა და მისი ოჯახის ცხოვრებაში. ამიტომ, ბაღში მომუშავე ადამიანები ოჯახის წევრებთან კონსულტაციებს უნდა გადიოდნენ, უნდათ თუ არა მათ, მათი შვილები ჩაერთონ ისეთ აქტივობებში, რომელიც მათ რელიგიას არ მიეკუთვნება. ბევრი ოჯახისთვის რელიგია იდენტობის მნიშვნელოვანი ნაწილია. ბავშვების რელიგიურად აღზრდა ოჯახებისა და მშობლების საქმეა და მათ ამ კულტურასა და ტრადიციას პატივისცემით უნდა მოვეციდეთ. ბავშვები თავიანთი და თავიანთი ოჯახების რწმენისა და რელიგიის გამო თავს გარიყულად არ უნდა გრძნობდნენ და ამავდროულად, ისინი ვალდებული არ უნდა იყვნენ, მონაწილეობდნენ ისეთ ქმედებებში, რაც მათთვის უცხო რელიგიასთან ასოცირდება³¹. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში უმრავლესობა მართლმადიდებლურ რწმენას აღიარებს, საბავშვო ბაღის ნებისმიერ ჯგუფში იქნებიან ბავშვები ოჯახებიდან, რომლებიც უმრავლესობისგან განსხვავებულ რწმენას მისდევენ ან საერთოდ არ უნდათ, რომ მათი შვილი რომელიმე რელიგიური რწმენის მიხედვით აღიზარდოს. ბაღის აღმზრდელები მშობლებს ამ თემაზე ღიად უნდა ესაუბრობდნენ, რათა უზრუნველყონ მათი სურვილების, ტრადიციისა და რწმენის პატივისცემა.

ოჯახები უნდა გრძნობდნენ, რომ მათ ბაღის თანამშრომლებთან რელიგიის თემებზე საუბარი თავისუფლად შეუძლიათ. საჭიროების შემთხვევაში, ბაღი ოჯახთან ერთად, ბავშვებისათვის დამაკმაყოფილებელ ალტერნატივებს უნდა ეძებდეს. ესაუბრეთ უმცირესობათა ოჯახის წევრებს, რათა ბაღში მათ ტრადიციებთან ასოცირებულ დღესასწაულებსაც აღნიშნავდეთ. მაგალითად, თუ რომელიმე ბავშვის ოჯახში მიმდინარე კვირაში პასექის³² დღესასწაული

30 საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მე-3 მუხლი 2, გ.

31 მათი ამ უფლებების გარანტი გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციის 30-ე მუხლია.

32 პასექის შესახებ, იხ: http://www.tolerantoba.ge/index.php?news_id=332

აღნიშნებოდა, მნიშვნელოვანია, რომ ისინი გრძნობდნენ, რომ მათი ეს გამოცდილება ბაღშიც დაფასებულია. თუმცა გახსოვდეთ, რომ ნებისმიერი ამგვარი ტრადიციის აღნიშვნა, სულერთია უმრავლესობის თუ უმცირესობის, უნდა იყოს მარტივი, ბავშვებისათვის გასაგები და სახალისო. მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო დაწესებულებებში, იქ, სადაც ინკლუზიურობასა და მრავალფეროვნებას, ისევე როგორც ტრადიციებს, პატივს სცემენ, ბავშვებს რელიგიურ რიტუალებში არ აბამენ, მაგრამ, ამავდროულად, მშობლებთან შეთანხმებით და მშობლების ჩართულობით, სხვადასხვა სახალისო აქტივობების გზით, სხვადასხვა რელიგიურ-ტრადიციული დღესასწაულების შესახებ ცოდნას უფითარებენ - მაგალითად, კვერცხების გაფერადება სააღდგომოდ, საშობაო ზღაპრების კითხვა, ჯეჯილის გახარება ნოვრუზ ბაირამის დღესასწაულისთვის³³, თუ ჯგუფში აზერბაიჯანელი ბავშვებიც არიან, ნამცხვარში დამალული „მძივის ბურთულის“ ძებნა³⁴ (გახსოვდეთ: უსაფრთხოების დასაცავად ბავშვებისათვის ნამცხვარში მძივის ნაცვლად თხილის გული, ალუბალი, ქიშმიში, ან ნიგვზის ლებანი ჩადეთ.), თუ ჯგუფში ეზიდო/ქურთი ბავშვებიც არიან, მარილიანი კვერცხის გამოცხობა სურბ-სარგისის³⁵ ხსენების დღეს, თუ ბაღში სომეხი ბავშვები არიან და ა.შ.³⁶ მონდომების შემთხვევაში, ამ თემებზე მასალების მოძიება რთული არ არის. არ დაგავინყდეთ, რომ მასალების მოძიებაში, აქტივობების მოფიქრებასა და განხორციელებაში ამ ტრადიციისა და კულტურების წარმომადგენელი მშობლებიც ჩართოთ.

ბაღში ყველა ბავშვი თავს მყარად და დაფასებულად უნდა გრძნობდეს. ტრადიციებზე უარის სრულად თქმა პასუხი არ არის, ამ ტრადიციების საგანმანათლებლო მიზნებით გამოყენება ბევრად უფრო პოზიტიური მიდგომაა (2). ბაღის აღმზრდელ-პედაგოგები არ არიან პასუხისმგებელი ბავშვების რელიგიურ აღზრდაზე, მაგრამ მათ ბავშვებისათვის სხვადასხვა რწმენებთან და ტრადიციებთან დაკავშირებული იდეებისა და გამოცდილებების შეთავაზებით, შეუძლიათ ბავშვებს იდენტობის ჩამოყალიბებასა და სხვების გაგება-დაფასებაში შეუწყონ ხელი.

რა უნდა იყოს იმის მიმანიშნებელი, რომ თქვენ საბავშვო ბაღში მრავალფეროვნება დაფასებულია და საგანმანათლებლო გარემოს განუყოფელი ნაწილია? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ქვემოთ ჩამოთვლილ დებულებებს უნდა უპასუხოთ:

- ჯგუფში არსებული სათამაშოები და წიგნები ასახავს სხვადასხვა პროფესიის, რასის, კულტურის, ასაკის, სქესის და შესაძლებლობების ადამიანებს; - (ამ მიზნის მისაღწევად არ არის აუცილებელი ძვირადღირებული თოჯინებისა და სათამაშოების შექმნა - ხელით დამზადებული ან მეორადი სხვადასხვა პროფესიის ამსახველი ტანსაცმელი დრამატულ ცენტრში, სხვადასხვა ყურნალებიდან შექმნილი კოლაჟები, რომელიც რასობრივ მრავალფეროვნებას ასახავს, სხვადასხვა ასაკის, სქესის, რასის, შესაძლებლობების მიმანიშნებელი თოჯინების დამზადება ბავშვების დახმარებითაცაა შესაძლებელი).

33 ნოვრუზ ბაირამის შესახებ, იხ: http://www.tolerantoba.ge/index.php?news_id=904
 34 კლოჩე სარე სალეს - ეზიდური დღესასწაული შესახებ, იხ: https://www.youtube.com/watch?v=adu0ma_ZRI
 35 სურბ-სარგისის შესახებ, იხ: <https://www.youtube.com/watch?v=RhIEmJ-4Ywg>
 36 თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგიერთი რელიგიური დოქტრინა, მაგალითად, იეჰოვას მოწმეთა, ეწინააღმდეგება ბავშვების ისეთ დღესასწაულებში ჩართვას, როგორცაა დაბადების დღეები და ახალი წლის აღნიშვნა. ბავშვების ვალდებულებაა, პატივი სცეს ოჯახის რწმენას და ბავშვი ამგვარ დღესასწაულებს მოარიდოს. ამ შეთანხმების მიღწევა ოჯახსა და ბაღს შორის გახსნილი და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული დიალოგის ფარგლებში უნდა ხდებოდეს.

- ბაღის ჯგუფში საბავშვო წიგნები ბავშვებისათვის ხელმისაწვდომია მათ მშობლიურ ენაზე - (მაგ.-ად სომხური, აზერბაიჯანული საბავშვო წიგნები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ისეთ ჯგუფებში, სადაც, ქართულად მოლაპარაკე ბავშვებთან ერთად, ამ ენებზე მოლაპარაკე ბავშვებიც არიან. ამგვარი წიგნების შესაგროვებლად, შეგიძლიათ თხოვნით მიმართოთ მშობლებს, ან ამ თხოვნით მიმართოთ თემში არსებულ ორგანიზაციებს, რომლებიც უმცირესობათა უფლებებზე მუშაობენ და ისინი წიგნების შეგროვებაში დაგეხმარებიან, ან შესაძლოა, თქვენი ეს სურვილი სოციალური მედიის საშუალებით გაავრცელოთ - მოხალისეები აუცილებლად გამოჩნდებიან და დაგეხმარებიან).
- პლაკატები, მშობელთა საინფორმაციო ბროშურები, დეკორაციები, მუსიკისა და სხვა ტიპის აქტივობები ასახავს ჯგუფში არსებულ ენობრივ თუ კულტურულ მრავალფეროვნებას - (დერეფნებში გამოფენილი პოსტერები უნდა მიანიშნებდეს, რომ ბაღში ყველას პატივისცემით ეპყრობიან. ჯგუფში გამოფენილი ფოტოები, თოჯინების ტანსაცმელები, დრამატული წრის აქსესუარები და სხვა ნივთები უნდა ასახავდნენ იმ მრავალფეროვნებას, რაც თქვენ ჯგუფშია ეთნიკური თვალსაზრისით, ხოლო თუ ჯგუფი მონოეთნიკური და მონორელიგიურია (რაც დღეს იშვიათად ხდება), სხვადასხვა რასის, კულტურისა და ეთნოსის ამსახველი აქსესუარები ბავშვებს სამყაროს აღქმასა და ცნობიერების გაფართოებაში დაეხმარება).
- ბაღში არა მხოლოდ უმრავლესობის ეთნიკურ და რელიგიურ დღესასწაულებს აღნიშნავენ.
- მშობლებს აქვთ განცდა, რომ საკუთარი ოჯახის რწმენებსა და ტრადიციებზე საუბარი თავისუფლად შეუძლიათ და გრძნობენ, რომ მათი შვილები მიღებული და დაფასებული არიან.

გამოყენებული რესურსები:

1. Louise Derman-Sparks (2001). Anti-Bias Curriculum.
2. Diversity, Equality and Inclusion Charter (2016). https://www.dcy.gov.ie/documents/publications/20180720_DiversityEqualityInclusionCharterGuidelinesEarlyChildhoodCareEduc.pdf
3. რელიგიები საქართველოში. (2008). საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა.
4. ეთნოსები საქართველოში. (2008). საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა.

სკოლამდელი ინკლუზიური განათლების შეფასება და მონიტორინგი

თანამედროვე შეხედულების თანახმად, ითვლება, რომ მაღალი ხარისხის ადრეული და სკოლამდელი ინკლუზიური საგანმანათლებლო დაწესებულება შემდეგ სამ ძირითად პრინციპს უნდა აკმაყოფილებდეს, ესენია: ხელმისაწვდომობა, ჩართულობა და მხარდაჭერა (1).

- მრავალფეროვანი სასწავლო გარემო ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა ბავშვისათვის
- ზოგიერთ ბავშვს სჭირდება გარემოსა და აქტივობების ინდივიდუალურად მორგება იმისათვის, რომ სრულად იყოს ჩართული თამაშსა და აქტივობებში, თანატოლებთან და უფროსებთან ერთად;
- სისტემა უნდა იყოს მხარდამჭერი და პასუხობდეს ბავშვის, ოჯახის, აღმზრდელის, ბაღში მომუშავე სპეციალისტებისა თუ ადმინისტრაციის ძალისხმევას ინკლუზიური გარემოს შესაქმნელად.

ინკლუზიური განათლების მოთხოვნები თავისთავად გულისხმობს ამ პროცესში ჩართული ადამიანების განათლების მთავარი პრინციპების ცოდნასა და პრაქტიკაში გამოყენებას. თანამედროვე განათლების მთავარი პრინციპები კი შემდეგია: შეგედლოს დააკვირდე, შეაფასო, დაგეგმო, გაითვალისწინო, მოაწყო გარემო ბავშვების საჭიროებების შესაბამისად, წაახალისო პოზიტიური კომუნიკაცია და სოციალურ-ემოციური კომპეტენციები, წაახალისო პოზიტიური ქცევა, ბავშვების თვითრწმენა და სხვების დაფასებისა და გაგების უნარი, ასევე მრავალფეროვნების დაფასებისა და მიღების უნარი. თავისთავად ცხადია, ბავშვებთან მომუშავე ადამიანების უნარები, მოიქცნენ განათლების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, სასარგებლო და მნიშვნელოვანია ყველა ბავშვისათვის. ასე რომ, იმაზე ფიქრი და შეფასება, პასუხობს თუ არა დაწესებულება ინკლუზიური სკოლამდელი განათლების მოთხოვნებს, თავისთავად იმის მონიტორინგია, არის თუ არა დაწესებულება მაღალი საგანმანათლებლო ხარისხის.

სკოლამდელი ინკლუზიური განათლების მონიტორინგის მრავალი სხვადასხვანაირი საშუალება და ინსტრუმენტი არსებობს. საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის მაჩვენებელს ბევრი სხვადასხვა კომპონენტის ერთობლიობა ქმნის. მაგალითად, როგორაა ორგანიზებული ფიზიკური გარემო, რამდენად შესაბამისად და ადეკვატურადაა გადანაწილებული მასალები, აღმზრდელ-პედაგოგთა, აღმზრდელთა და ბავშვების მომუშავე სხვა პერსონალის კვალიფიკაცია, რამდენად მრავალფეროვანი და მდიდარია აქტივობები, რა სახის თანამშრომლობაა ბაღში მომუშავე ადამიანებსა და მშობლებს შორის, რამდენადაა ინდივიდუალიზებული და ადაპტირებული ყოველდღიური რუტინა და ა.შ.

როგორც აღინიშნა, არსებობს მრავალი ინსტრუმენტი და რესურსი, რომელიც გვეხმარება იმის შეფასებაში, თუ რამდენად ვახერხებთ ხარისხიანი ინკლუზიური საგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზებას. თუმცა, ისიც ცხადია, რომ მხოლოდ ერთი ინსტრუმენტის გამოყენებით შეუძლებელია, სრულად გაზომო ხელმისაწვდომობის, ჩართულობისა და მხარდაჭერის ხარისხი. ამიტომ, როგორც წესი, ინკლუზიური განათლების საზომი ინსტრუმენტები შემდეგი პრინციპითაა დაჯგუფებული:

- ინსტრუმენტები, რომელიც ზომავს ან გვიჩვენებს ინკლუზიური სკოლამდელი განათლების ხარისხს და გვანდის ზოგად სტრატეგიებს ხარისხის გასაუმჯობესებლად, შესაძლებელია, გამოიყენოს ბავშვების გაერთიანებისა და სააგენტოს თანამშრომლებმა მათ დაქვემდებარებაში მყოფ ბავშვებში ინკლუზიური განათლების ხარისხის შესაფასებლად და გაუმჯობესების გზების დასაგეგმად.
- ინსტრუმენტები, რომელსაც გზამკვლევადა იყენებენ ჯგუფში არსებული გარემოს შესაფასებლად, ეს ინსტრუმენტები შესაძლოა, თავად აღმზრდელ-პედაგოგმა გამოიყენოს საკუთარი პრაქტიკის/მუშაობის ხარისხის შესაფასებლად, ანდა გამოიყენოს ბაღის ან გაერთიანების მეთოდისტიკა მის დაქვემდებარებაში მყოფ აღმზრდელ-პედაგოგებთან და აღმზრდელებთან სამუშაოდ, რათა დაეხმაროს მათ პრაქტიკის გაუმჯობესებაში.
- განათლების სისტემის ხარისხის შეფასებისა და გაუმჯობესების ინსტრუმენტები, რომელიც ინფორმაციას გვანდის იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობს სისტემა არსებულ სტანდარტებთან და მოთხოვნებთან შესაბამისობაში. ასეთ დროს გარე მონიტორები იყენებენ სახელმწიფოს მიერ დამტკიცებულ სტანდარტებს სტანდარტებთან შესაბამისობის შესამოწმებლად.

სხვადასხვაგვარი ინსტრუმენტების გამოყენება, სხვადასხვა ადამიანებს, სხვადასხვა მიზეზით შეუძლიათ. როგორც წესი, მას შეიძლება იყენებდნენ:

- საგანმანათლებლო დაწესებულებაში მომუშავე ადამიანები, ერთი მხრივ ორგანიზაციული პრაქტიკის გასაუმჯობესებლად (ზოგადი ტიპის ინსტრუმენტები) და მეორე მხრივ, პროფესიული ზრდისა და წინსვლისათვის (ინდივიდუალური პრაქტიკის თვითშეფასების ინსტრუმენტები)
- ის ტრენერები და პედაგოგები, რომლებიც ამზადებენ ადრეული განათლების სისტემაში მიმავალ ან უკვე დასაქმებულ ადამიანებს
- მკვლევარები, რომლებიც დაინტერესებული არიან უკვე არსებული ინსტრუმენტების გამოყენებით ან მუშაობენ ახალი ინსტრუმენტების შექმნაზე
- მუნიციპალიტეტის ან სახელმწიფო მონიტორები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან სისტემის მონიტორინგზე შეფასების, გაანალიზების და შემდგომი გაუმჯობესების დაგეგმვის მიზნით.
- მშობლები, რომლებიც ეძებენ საუკეთესო საგანმანათლებლო დაწესებულებას თავიანთი შვილებისათვის

დანართებში 10-11 შემოგთავაზებთ მონიტორინგის 2 ინსტრუმენტს. პირველი ინსტრუმენტი, რომელიც შემუშავებულია მირანდა რაბისა და კარლ დანსტის მიერ „სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების გარემოს შეფასების შკალაზე“ დაფუძნებით და ადაპტირებულია ადგილობრივ გარემოსთან შესაბამისობაში, შეიძლება გამოყენებული იყოს საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო ხარისხის როგორც გარე, ასევე შიდა მონიტორინგისათვის (2).

მეორე ინსტრუმენტი შექმნილია და ასევე აღმზრდელ-პედაგოგებისათვის, მეთოდისტიკებისა და ბავშვის ხელმძღვანელებისათვის, რომლებიც პასუხისმგებელი არიან მათ ჯგუფში ინკლუზიური გარემოს შექმნაზე და ასევე მშობლებისათვის, რომლებიც თავიანთი შვილებისათვის შესაბამისი ხარისხის საგანმანათლებლო დაწესებულებას ეძებენ (3), ცხადია, ეს

ინტრუმენტი შესაძლებელია გამოყენებული იყოს ბაგა-ბალების გაერთიანების თანამშრომლების მიერაც სააღმზრდელო-საგანმანათლებლო გარემოზე დაკვირვებისას. ეს ინტრუმენტი გვთავაზობს 10 შეკითხვას, რომელიც უნდა დაისვას საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებულ პრაქტიკასთან მიმართებაში და გვთავაზობს ხარისხიანი ინკლუზიური განათლების შესაბამისი მახასიათებლების ჩამონათვალს.

შესაძლებელია ითქვას, რომ საქართველოში ადრეული განათლების ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბარიერი გაუმართავი შეფასებისა და მხარდაჭერის სისტემაა. როგორც წესი, საქართველოში, ბაგა-ბალების გაერთიანებებში (ან როგორც ზოგან ქვია, მართვის სააგენტოებში) არ არის საკმარისი არც ადამიანური და არც ინტელექტუალური რესურსი, რომელიც ბაგა-ბალებში მეთოდოლოგიური პრაქტიკის ხარისხის შეფასებას და სათანადო მხარდაჭერის აღმოჩენას შეძლებდა. არ არსებობს არც წესი და არც შესაბამისი ინტრუმენტები ამ პროცესის განსახორციელებლად. დღევანდელ გაერთიანებებში ის არასაკმარისი რესურსიც, რომელიც ბაგა-ბალების მონიტორინგზეა პასუხისმგებელი, როგორც წესი, მენეჯმენტის თვალსაზრისით, არასწორადაა დალაგებული და ხშირად ხდება ხოლმე რომ ერთიდაიგივე ადამიანი პასუხისმგებელია როგორც ინფრასტრუქტურის, ასევე კვებისა და ჰიგიენის და, ამავდროულად, მეთოდოლოგიის საკითხებზე, რაც გამართულ მუშაობას შეუძლებელს ხდის, ანდა გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც გაერთიანებების განყოფილებებს შორის მოვალეობები გამიჯნული არ არის, რის შედეგადაც შეიძლება ხდებოდეს ისე, რომ პრაქტიკას (პროგრამას) ან არავინ აფასებდეს ან ერთიდაიგივე უწყებიდან ორი სხვადასხვანაირი რეკომენდაცია მოდიოდეს. ხშირად, რესურსისა და მენეჯმენტის გაუმართაობის გამო, თუ რამე მოწმდება ბაღში, მეთოდოლოგიის თვალსაზრისით, ეს კვირის გეგმებია. ამიტომ თანამშრომელთა დრო და ენერჯია იხარჯება იმაზე, რომ ეს (ხშირად, პრაქტიკისგან დაშორებული) გეგმები (ანუ უშინაარსო ფურცლები) არსებობდეს და არა იმაზე, თუ როგორ დაგეგმონ და განახორციელონ დღე, როგორ ცვალონ რესურსები თემის შესაბამისად და ა.შ.

ამ ვითარების გასაუმჯობესებლად, მნიშვნელოვანია გაერთიანებებს ქონდეთ ბაღებში შინაარსობრივი ნაწილის (მეთოდოლოგია, სააღმზრდელო-საგანმანათლებლო გარემოს ხარისხი, განათლების ინკლუზიურობა) შეფასებისა და მხარდაჭერის გამართული სისტემა და შესაბამისი კვალიფიციური კადრი. ამ ადამიანებს უნდა შესწავდეთ უნარი შეაფასონ თითოეული ბავშვის სახელმწიფოს მიერ დამტკიცებული განათლების და განვითარების სტანდარტების შესაბამისად. ამ შესაბამისობის სანახავად, მათ შესაძლებელია თავიანთი კითხვარები შექმნან, ნიმუშად კი დანართში მოყვანილი კითხვარების მიხედვით იხელმძღვანელონ. მნიშვნელოვანია:

- შეფასდეს თითოეული ბავშვის საჭიროება
- განისაზღვროს პრიორიტეტული მიზნები
- დაიგეგმოს პრიორიტეტული მიზნების განხორციელების გზები და ვადები
- შეფასდეს დაგეგმილი მიზნების აღსრულება

ამისათვის, გაერთიანებებში ხარისხის გაუმჯობესების საკითხებზე მომუშავე ადამიანები, წინასწარ შედგენილი გრაფიკის შესაბამისად, უნდა დადიოდნენ მათ საკურატორო ბაგა-ბალებში (უმჯობესია, თითოეული მათგანის საკურატორო სიაში 10-15 ბავშვზე მეტი არ შედიოდეს), შესაბამის შეფასების ინტრუმენტზე (კითხვარზე) დაყრდნობით ბავშვის ხელმძღვანელთან ერთად აფასებდნენ ყველა მეთოდოლოგიურ/შინაარსობრივ საკითხს. შეფასების შედეგები უნდა

განიხილებოდეს დირექტორთან ერთად და გამოიყოფოდეს პრიორიტეტული მიზნები. შემდეგ უნდა დგებოდეს ხარისხის გაუმჯობესების პრიორიტეტული მიზნების მიღწევის კონკრეტული სპეციფიური რამდენიმეთვიანი გეგმა, სადაც ასახული იქნება მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნები, პასუხისმგებელი პირები და საჭირო რესურსები. გეგმის შესრულების მონიტორინგი უნდა ხდებოდეს მოკლევადიან მიზნებთან შესაბამისობაში. გეგმაში არსებული გრძელვადიანი მიზნების მიღწევისას გაერთიანების თანამშრომელი წერს ანგარიშს და დირექტორთან ერთად სახავს ახალ მიზნებს მიმდინარე შეფასების შედეგების შესაბამისად.

გამოყენებული რესურსები:

1. The *Joint Position Statement (2009)* of the Division for Early Childhood (DEC) and the National Association for the Education of Young Children (NAEYC).
2. Raab & Dunst (1997) proposed a *Preschool Assessment of Classroom Environment Scale Revised* in An Administrator's Guide to Preschool Inclusion
3. **Donna Nylander, 2009** *Quality Inclusive Early Childhood Programs: 10 Things to Look For.*

დანართი 1.

სპეციალური განათლების პედაგოგის როლი საბავშვო ბაღში

1: ინკლუზიური გარემოს შექმნის ხელშეწყობა და ცნობიერების ამაღლება ბავშვ-ბაღში

სტრატეგიები: ინდივიდუალური საუბრები და კონსულტაციების განწევა ბავშვ-ბაღში მომუშავე ყველა პირისათვის; მათთვის შეხვედრებისა და სემინარების ორგანიზება; ბავშვ-ბაღში ინკლუზიური განათლების პოლიტიკის შემუშავება ყველა თანამშრომლის მონაწილეობით და მისი დანერგვის ხელშეწყობა; ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი ვიზუალური მინიშნებების გამოფენა; ყველა დაინტერესებული მშობლის კონსულტირება და ცნობიერების ამაღლება; ბავშვებისათვის ინფორმაციის მიწოდება, მათი ასაკის შესაბამისი აქტივობების გამოყენებით.

საჭირო უნარები და კომპეტენციები: ინკლუზიური განათლების ფილოსოფიისა და პრინციპების ცოდნა, სკოლამდელი დაწესებულებების ინკლუზიური პოლიტიკის დოკუმენტების ცოდნა, პრევენციაციებისა და სემინარების ორგანიზების უნარი, პოზიტიური კომუნიკაციური უნარები, ბავშვებისათვის სხვადასხვა აქტივობებისა და საუბრების დაგეგმვა-განხორციელების უნარი.

2: ბავშვზე დაკვირვება და ბავშვის შეფასება ბაღის გარემოში

სტრატეგიები: ბავშვის შეფასების ინსტრუმენტებისა და დაკვირვება-შეფასების სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით, ბავშვის შეფასება.

საჭირო უნარები და კომპეტენციები: ბავშვის განვითარების კანონზომიერების ცოდნა, დაკვირვებისა და შეფასების ინსტრუმენტების გამოყენების ცოდნა.

3: სსსმ ბავშვის საჭიროებებზე გუნდური მუშაობა

სტრატეგიები: სსსმ ბავშვების მშობლების კონსულტირება და მისი ჩართვა გუნდის მუშაობაში; აღმზრდელის დახმარება ბავშვის საჭიროებების გაცნობიერებასა და ინდივიდუალიზაციის სტრატეგიების განხორციელებაში; აღმზრდელთან ბავშვ-ბაღის ფსიქოლოგთან, ლოგოპედთან და ბავშვთან მომუშავე გარე სპეციალისტთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ბავშვის ბაღის გარემოში ჩართვასთან დაკავშირებული გრძელვადიან და მოკლევადიან მიზნებსა და სტრატეგიებზე შეთანხმება; გუნდური შეხვედრების ოქმების წარმოება; ინდივიდუალური გეგმის შედგენის ტექნიკური უზრუნველყოფა, ყველა ჩართული მხარის მონაწილეობით, და მისი შესრულების მონიტორინგი; გეგმის გადაფასება.

საჭირო უნარები და კომპეტენციები: მშობლების კონსულტირებისა და მათთან პოზიტიური ურთიერთობის სტრატეგიების ცოდნა; სხვადასხვა მდგომარეობებისა და დარღვევებისათვის დამახასიათებელი ნიშნების ცოდნა; ინდივიდუალიზაციის სტრატეგიების ცოდნა; ინდივიდუალური გეგმის შექმნისა და მისი მონიტორინგის უნარი.

4: რთული ქცევის მართვასა და პოზიტიურ გაძლოლაში აღმზრდელთან და ფსიქოლოგთან თანამშრომლობა

სტრატეგიები: ფსიქოლოგთან ერთად, რთული ქცევის მართვისა და პოზიტიური გაძლოლის პოლიტიკის შემუშავება ბაღისათვის და ფსიქოლოგთან თანამშრომლობით ამ პოლიტიკის დანერგვის ხელშეწყობა.

საჭირო უნარები და კომპეტენციები: პოზიტიური აღზრდისა და რთული ქცევის მართვის პრინციპების ცოდნა და გამოყენება.

დანართი 2.

ფსიქოლოგის როლი საბავშვო ბაღში

1: ბაღის პოლიტიკასა და შიდაგანანის შექმნასა და გაუმჯობესებაზე ზრუნვა დირექტორთან ერთად

ბავშვ-ბაღის ფსიქოლოგი, სხვა თანამშრომლებთან შეხვედრებისა და დისკუსიის საფუძველზე, ქმნის და ყველასთვის საზიაროს და ხელმისაწვდომს ხდის ბავშვ-ბაღის შიდა ხედვებსა და წესებს ამა თუ იმ მნიშვნელოვან საკითხებზე. მაგალითად, საუკეთესო პრაქტიკის პრინციპებზე დაფუძნებული, პოზიტიური გაძლოლისა და რთულის ქცევის მართვის პოლიტიკა ბაღში, მშობლებთან ურთიერთობის წესები, თანამშრომელთა ეტიკა და სხვა. მნიშვნელოვანია, ფსიქოლოგმა წინასწარ გაარკვიოს, რა მოლოდინი და სურვილები არსებობს ამ წესების მიმართ, რომ ამ წესების დაცვაზე პასუხისმგებლობა ყველამ ერთნაირად აიღოს. თანამშრომლებთან შეხვედრების ფორმატად, ფსიქოლოგმა, შესაძლოა, გამოიყენოს თითოეულ რგოლთან ინტერვიუ ან ჯგუფური შეხვედრები. ასევე, გამოიყენოს კითხვარები ინფორმაციის ასაღებად და, რაც მთავარია, დაკვირვებები ბაღში მიმდინარე სამუშაო პროცესზე. მიღებული მონაცემების საფუძველზე, ფსიქოლოგი აყალიბებს ბაღის შიდა წესებსა და პოლიტიკას და, ადმინისტრაციასთან ერთად, ზრუნავს იმაზე, რომ ეს დოკუმენტი ყველა თანამშრომლის სახელმძღვანელო პრინციპებად იქცეს.

2: თანამშრომლების პროფესიული ზრდის ხელშეწყობა

ფსიქოლოგი ბაღის საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორთან ერთად, გამოყოფს კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებულ საჭიროებებს. საჭიროებების გამოყოფისას, მნიშვნელოვანია თანამშრომლების ინიციატივის ხელშეწყობა, თავად იზრუნონ საკუთარ პროფესიულ საჭიროებებზე. სასურველია, მინიმუმ ორ თვეში ერთხელ შიდა სემინარის ჩატარება, რომლის საკითხებიც წინასწარ იქნება ჯგუფთან შეთანხმებული (მაგალითად, ოჯახის ჩართულობის ხელშეწყობა, ქცევის მართვა, ბავშვის განვითარების ეტაპები და თავისებურებები, სოციალურ-ემოციური კომპეტენციის სწავლება და ა.შ.). ასევე, სასურველია, ფსიქოლოგმა წაახალისოს აღმზრდელები, იყვნენ აქტიურები სემინარის პროცესში, დაამუშაონ გარკვეული ლიტერატურა და წარმატებული გამოცდილება გაუზიარონ თანამშრომლებს. ფსიქოლოგმა, შესაძლოა, ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, დაგეგმოს კონკრეტულ საკითხზე მომუშავე ექსპერტის მოწვევა და თანამშრომლებთან შეხვედრის ორგანიზება ბაღში; ფსიქოლოგმა, ასევე, ხელი უნდა შეუწყოს აღმზრდელებს, ბაღის გარეთ არსებული კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების მოძიებასა და ჩართვაში.

3: აღმზრდელების, მშობლების და სხვა დაინტერესებული პირების კონსულტაცია

ბაღის ფსიქოლოგის მიზნები, კონსულტაციის პროცესში, შეიძლება იყოს: ემოციური მხარდაჭერის აღმოჩენა აღმზრდელების ან სხვა პირის მიმართ, ცნობიერების გაფართოება არსებულ ჩივილთან/პრობლემასთან დაკავშირებით, პრობლემისადმი დამოკიდებულების ცვლილება, პრობლემისადმი ტოლერანტობის ზრდა, საკუთარ საქმიანობაში პასუხისმგებლობის ზრდა და თავდაჯერებულობის განცდის ამაღლება.

4: ოჯახის ჩართულობის ხელშეწყობა

ადმინისტრაციასთან და სხვა თანამშრომლებთან ერთად, ფსიქოლოგი გამოყოფს მშობლების ბაღის გარემოში ჩართულობის საჭიროებას და გეგმავს სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებს. კონკრეტულ შემთხვევებში, როგორცაა ჯგუფში ადაპტაციის ხელშეწყობა ან გამოყოფილი სხვა პრობლემური საკითხები, აღმზრდელთან ერთად გეგმავს მშობლებთან შეხვედრებს, სემინარებს და ა.შ. ბაღში არსებულ მშობელთა კუთხეს აქტიურად იყენებს სხვადასხვა

ინფორმაციის მისაწოდებლად და მუდმივად ანახლებს მას. შესაძლოა, დაგეგმოს და ბალის თანამშრომლებთან ერთად აწარმოოს კონფიდენციალური გამოკითხვა მშობლების დამოკიდებულებების, საჭიროებების და ბალთან დაკავშირებული სურვილების გასარკვევად.

5: ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა

ფსიქოლოგი ხელს უწყობს და აქტიურად ადევნებს თვალს ბაღში ყველა ბავშვის ჩართულობას, ხარისხიანი სააღმზღველო პროცესის შექმნასა და ბაღში განსხვავებულობისადმი პატივისცემას. ზრუნავს განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების ხარისხიანი სააღმზღველო პროცესის უზრუნველყოფაზე. ბალის სხვა სპეციალისტებთან (სპეციალური განათლების პედაგოგი, მეტყველების თერაპევტი) ერთად მონაწილეობას იღებს ბავშვის უნარების შეფასებაში, მულტიდისციპლინურ შეხვედრებში, თანამშრომლობს ბავშვთან მომუშავე სხვა სპეციალისტებთან, მონაწილეობას იღებს ბავშვის განვითარების ინდივიდუალური გეგმის შედგენაში და, საჭიროების შემთხვევაში, მუშაობს ბავშვთან ჯგუფში (ან ჯგუფის გარეთ) იმ უნარების განვითარებისთვის, რომელიც ჯგუფში ჩართულობას სჭირდება. როდესაც წამყვანი სოციალურ-ემოციური პრობლემებია, ფსიქოლოგი აღმზრდელთან ერთად, გეგმის შედგენაში ლიდერ როლს იღებს.

6: საჭიროების შემთხვევაში, ბავშვების მცირე ჯგუფთან და/ან ინდივიდუალურად მუშაობა

ბავშვები, რომლებსაც განსაკუთრებული სირთულე ექმნებათ ინტეგრაციის პროცესში, აქვთ პრობლემები სოციალური თვალსაზრისით, უჭირთ თვითკონტროლი და ემოციური რეგულაცია, ვერ შედიან ჯგუფში, ან არ ერთვებიან აქტივობებში, საჭიროებენ დამატებით დახმარებას, ან საჭიროებენ მუდმივ ყურადღებას, მწვავე ქცევით-ემოციურ სირთულეებთან დაკავშირებით; სასურველია, ასეთი ბავშვები, პირველ რიგში, ობიექტურად შეფასდნენ ბალის გარემოში, შემდეგ კი დაიგეგმოს ჯგუფთან ინტეგრაციის პერიოდი, გაინეროს ინტეგრაციის გეგმა და ჩართული მხარეების სამუშაო აქტივობები და პერიოდი. ასეთ შემთხვევაში, ფსიქოლოგის ჩართულობა შესაძლოა საჭირო იყოს უშუალოდ ჯგუფში, რომ ბავშვს დაეხმაროს სასურველ აქტივობებში ჩართვაში, პრობლემის გადარწმუნებაში, ქცევითი სირთულეების დაძლევაში და ა.შ. ან დაეხმაროს აღმზრდელს ჯგუფის მართვაში. შესაძლოა, ზოგიერთი ბავშვის ინტეგრაციის გეგმაში, საჭირო გახდეს მცირე, ხმაურისგან დაცული გარემოში მუშაობა მცირერიცხოვან ჯგუფთან ერთად. ასეთ შემთხვევაში, ფსიქოლოგი, დღის გარკვეულ მონაკვეთში, გეგმავს აქტივობებს ჯგუფის გარეთ, მაგალითად, რესურს ოთახში. უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი ასეთი აქტივობა, რომლის განხორციელებაზეც პასუხისმგებლობას იღებს ბალის ფსიქოლოგი, უნდა გამომდინარეობდეს ობიექტური შეფასებით, ეყრდნობოდეს ბავშვის საჭიროებებს და მხოლოდ ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვის პრინციპით მიმდინარეობდეს; აღიარებდეს ცოდნას, რომ ბავშვის განვითარებისთვის საუკეთესოა ბუნებრივი გარემო, თანატოლებთან ერთად. უნდა გვახსოვდეს, რომ მუშაობა მიმართულია, დამხმარე ადამიანის (ფსიქოლოგის) გარეშე, ბავშვის ჯგუფში დამოუკიდებლად ფუნქციონირების გასაძლიერებლად.

დანართი 3.

კომუნიკაციის, ენის და მეტყველების თერაპევტის (ლოგოპედის) როლი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში

1. კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების დარღვევის ან შეფერხების დროული იდენტიფიცირება

ბაგა-ბაღში მომუშავე კომუნიკაციის, ენის და მეტყველების თერაპევტს (ლოგოპედს) უნდა შეეძლოს ბავშვებში არსებული შესაძლო ენობრივი პრობლემების დროული იდენტიფიცირება. კომუნიკაციის, ენის ან მეტყველების შეფერხების ან დარღვევის დროული (აღრეული) იდენტიფიცირება და სწორი ჩარევა ეფექტური შედეგის მომტანი და მნიშვნელოვნ შანსს იძლევა მომავალი აკადემიური მოსწრების სირთულეების შემცირებისა თუ პრევენციისათვის.

2. ბავშვის ენისა და მეტყველების დარღვევის ან შეფერხების დადასტურება სპეციალური ინსტრუმენტის (შეფასების კითხვარის) გამოყენებით

ბაგა-ბაღში მომუშავე კომუნიკაციის, ენის და მეტყველების თერაპევტის (ლოგოპედის) შეხედულებები შესაძლო ენობრივი დარღვევის ან შეფერხების შესახებ, უნდა ეყრდნობოდეს ბავშვის ენობრივი განვითარების საფეხურების კარგ ცოდნას და გამყარებული უნდა იყოს დაკვირვებების ჩანაწერებითა და შესაბამისი, ენობრივი განვითარების შესაფასებელი ინსტრუმენტის (ინსტრუმენტების) გამოყენებით.

3. დაგეგმვა, მშობლების კონსულტირება და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის სპეციალისტთან გადამისამართება

კომუნიკაციის, ენის და მეტყველების შესაძლო დარღვევის გამოვლენის ან ეჭვის შემთხვევაში, ბაგა-ბაღში მომუშავე კომუნიკაციის, ენის და მეტყველების თერაპევტი (ლოგოპედი) მშობელს (და აღმზრდელს) უნევს რეკომენდაციებს და თავადაც გეგმავს ბავშვთან მუშაობის სტარტეგიებს; გარდა ამისა, საჭიროების შემთხვევაში, ამისამართებს ბავშვს სილისეული და მრავალმხრივი შეფასებისა და შესაძლო დიაგნოზირებისათვის შესაბამის სპეციალისტთან (ნეიროფსიქოლოგი, განვითარების ფსიქოლოგი, კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპევტი).

4. ბავშვებთან ინდივიდუალურად ან მცირე ჯგუფებში მუშაობა

ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად, ბაგა-ბაღში მომუშავე კომუნიკაციის, ენის და მეტყველების თერაპევტი (ლოგოპედი) გეგმავს ენისა და მეტყველების შეფერხების მქონე ბავშვებთან ინდივიდუალურ ან მცირე ჯგუფურ აქტივობებს, რომლის დროსაც, თამაშისა და აქტიური ინტერაქციის გზით, ბავშვების ენობრივი, ფონოლოგიური და წიგნიერების უნარების განვითარებაზე მუშაობს.

5. გუნდური მუშაობა

ბაგა-ბაღში მომუშავე კომუნიკაციის, ენის და მეტყველების თერაპევტი (ლოგოპედი) თანამშრომლობს სპეციფიური ენობრივი დარღვევის მქონე ბავშვების მშობელთან, აღმზრდელთან, ასევე ბაგა-ბაღის ფსიქოლოგთან და სპეციალური განათლების პედაგოგთან; მონაწილეობს ბავშვის ინდივიდუალური გეგმის შედგენაში და ასრულებს, ამ გეგმის მიხედვით, მასზე დაკისრებულ პასუხისმგებლობებს. თუ ბავშვს, მხოლოდ სპეციფიკური ენობრივი დარღვევა აქვს, ინდივიდუალური გეგმის შედგენისას წარმყანი როლი კომუნიკაციის, ენის და მეტყველების თერაპევტს (ლოგოპედს) ეკისრება.

6. აღმზრდელთან თანამშრომლობა

ბაგა-ბაღში მომუშავე კომუნიკაციის, ენის და მეტყველების თერაპევტი (ლოგოპედი) თანამშრომლობს ბაგა-ბაღის აღმზრდელთან, ბავშვებში, ასაკის შესაბამისი, კომუნიკაციური, ენობრივი და ფონოლოგიური ცნობიერების და წიგნიერების აქტივობების დასაგეგმად და გასამრავალფეროვნებლად.

დანართი 4.

სამსახურებრივი ინსტრუქციები, ქცევისა და ეთიკის ნორმების შესახებ³⁷

ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალისთვის

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. დოკუმენტის მიზანი

ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების (შემდგომში - დაწესებულება) პერსონალისთვის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების მიზანია როგორც საჯარო, ისე კერძო დაწესებულების პერსონალის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების განსაზღვრა, დაწესებულების მიერ ხარისხიანი მომსახურების მიწოდების უზრუნველსაყოფად.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ იგივე მნიშვნელობა, რაც „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში (შემდგომში - კანონი).

2. ამ დოკუმენტის მიზნებისთვის, ქვემოთ ჩამოთვლილი ტერმინები განიმარტება შემდეგნაირად:

ა) **პერსონალი** - დაწესებულების ადამიანური რესურსი; ყველა ის პირი, რომელიც დაწესებულებისთვის ასრულებს სამუშაოს დაწესებულებასთან დადებული შრომის ხელშეკრულების საფუძველზე.

ბ) **საგანმანათლებლო პროგრამა** - სასწავლო პროცესის, გარემოს, ჩართული მხარეების და მათ შორის ურთიერთკავშირის ერთობლიობა.

გ) **თემი** - ერთ ტერიტორიაზე დასახლებულ ადამიანთა ერთობა, რომელთაც საერთო ინტერესები და იდენტიფიკაცია გააჩნიათ.

მუხლი 3. გავრცელების სფერო და რეგულირების საგანი

1. წინამდებარე დოკუმენტი ვრცელდება როგორც საჯარო, ისე კერძო დაწესებულების პერსონალზე და ადგენს პერსონალის სამსახურებრივი ინსტრუქციებს, ქცევისა და ეთიკის ნორმებს.

2. დაწესებულებას უფლება აქვს განავრცოს, ან დააკონკრეტოს ამ დოკუმენტში მოცემული ცალკეული რეგულაცია, შექმნას ინდივიდუალური ეთიკის კოდექსი, სამსახურებრივი ინსტრუქციები, რაც უნდა ეფუძნებოდეს და არ ეწინააღმდეგებოდეს წინამდებარე დოკუმენტისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

³⁷ დამტკიცებულია თბილისის საკრებულოს მიერ 2017 წელს.

თავი II

პერსონალის სამსახურებრივი ინსტრუქციები

მუხლი 4. პერსონალის სამსახურებრივი ინსტრუქციები

1. პერსონალი საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისას არის დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და სამართლიანი.

2. პერსონალი კეთილსინდისიერად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს, იცავს კანონის, მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებს და დაწესებულების შინაგანაწესს.

3. პერსონალი იცავს კონფიდენციალობას, როგორც კოლეგებთან, ისე საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულ ბავშვებთან და მათ ოჯახებთან მიმართებაში.

4. პერსონალი თავისუფალია საკუთარი რელიგიური, მსოფლმხედველობრივი, პოლიტიკური შეხედულებების არჩევანში. ამავე დროს პერსონალი არ განიხილავს და განსჯის ერთმანეთის ან სხვათა ოჯახურ, რელიგიურ, პოლიტიკურ და სხვა საკითხებს და არ ცდილობს ამ მიმართულებით გავლენა მოახდინოს სხვებზე.

5. პერსონალი აღიარებს და პატივს სცემს სხვადასხვა ნიშნით განხვავებულობას და საკუთარი საქმიანობის განხორციელებისას ხელს უწყობს სტერეოტიპული დამოკიდებულებების შეცვლას.

6. პერსონალი ქმნის არაძალადობრივ გარემოს როგორც ბავშვისთვის, ასევე ოჯახისთვის და დაწესებულების ყველა თანამშრომლისთვის, ძალადობის გამოვლენის შემთხვევაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისად.

7. პერსონალი არის პუნქტუალური, დროულად ცხადდება სამუშაო ადგილზე, დათქმულ დროში ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს.

8. პერსონალი უფრთხილდება დაწესებულების მატერიალურ რესურსს, დაზიანების შემთხვევაში, შესაძლებლობის ფარგლებში, ზრუნავს შეკეთებაზე, ან მიმართავს დაწესებულების პასუხისმგებელ სუბიექტს.

9. პერსონალი მატერიალური რესურსის გამოყენებისას იცავს უსაფრთხოების ნორმებს.

10. პერსონალი არ ცხადდება დაწესებულებაში, როდესაც არის ავად გადამდები ინფექციური დაავადებით, ან დაავადებით, რომელიც ხელს შეუშლის უფლებამოსილებების განხორციელებაში, რის თაობაზეც დაწესებულებას აფრთხილებს წინასწარ, ხოლო გამოცხადების შემდეგ წარადგენს შესაბამის ცნობას.

11. პერსონალი, სამსახურებრივი საქმიანობის შემთხვევაში, სარგებლობს დაწესებულების ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, რა დროსაც იყენებს მხოლოდ საკუთარ მომხმარებლის სახელს და პაროლს.

12. პერსონალი უფრთხილდება დაწესებულების ელექტრონულ ინფორმაციას, არ იყენებს დაწესებულების ინფორმაციულ-ტექნოლოგიურ მოწყობილობებს პირადი მიზნებისთვის, არ ჩამოტვირთავს/უყურებს ძალადობისა და უხამსობის ამსახველ ვიდეო/ფოტო მასალას.

13. პერსონალი არ იყენებს დაწესებულების ადამიანურ და მატერიალურ რესურსს პირადი მიზნებისთვის.

14. პერსონალი სამუშაო საათებში თავს იკავებს მობილური ტელეფონის გამოყენებისგან (გარდა სამსახურებრივი საჭიროებისა და საგანგებო მდგომარეობისა), დაწესებულების ტელეფონს იყენებს მხოლოდ სამსახურებრივი მიზნებისთვის.

15. პერსონალი საქმიანობს სუფთა, კომფორტულ ტანსაცმელსა და ფეხსაცმელში, რომელიც არ უშლის ხელს საკუთარი უფლებამოსილებების გახორციელებაში.

16. პერსონალი ადვოკატირებას უწევს ბავშვის, საკუთარი და დაწესებულების საჭიროებების მოგვარებას.

17. პერსონალი ყველა შესაძლო გზით ზრუნავს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე.

18. პერსონალი არ მოიხმარს ალკოჰოლს და თამბაქოს დაწესებულების ტერიტორიაზე, ასევე არ ცხადდება დაწესებულებაში ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ.

19. პერსონალი უფრთხილდება საკუთარ და დაწესებულების საქმიან რეპუტაციას და არ იყენებს საკუთარ სამსახურებრივ სტატუსს პირადი მიზნებისთვის.

თავი III

პერსონალის ქცევისა და ეთიკის ნორმები

მუხლი 5. პერსონალის ქცევისა და ეთიკის ნორმები თითოეულ ბავშვთან ურთიერთობის დროს

1. პერსონალი საკუთარ უფლებამოსილებებს ახორციელებს ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. პერსონალი აღიარებს ბავშვს, როგორც საგანმანათლებლო პროცესის აქტიურ მონაწილეს და ითვალისწინებს მის პერსპექტივას.

2. პერსონალი აღიარებს და პატივს სცემს ბავშვის ინდივიდუალურობასა და განსხვავებულობას.

3. პერსონალი ზრუნავს ჯგუფისა და დაწესებულების მიმართ ბავშვის მიკუთვნებულობის განცდაზე.

4. პერსონალი ქმნის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისგან დაცულ, ინკლუზიურ გარემოს, სადაც ყველა ბავშვს აქვს განვითარების შესაძლებლობა, განურჩევლად ფიზიკური, შემეცნებითი, სენსორული, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური, გენდერული თუ სხვა მახასიათებლებისა.

5. პერსონალი ზრუნავს თითოეული ბავშვის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობაზე.

6. პერსონალი ურთიერთობს ბავშვთან, როგორც თანასწორთან და უფლებების მქონე სუბიექტთან.

7. პერსონალი აცნობიერებს თამაშის მნიშვნელობას ბავშვის მრავალმხრივი განვითარებისთვის.

8. პერსონალი ქმნის გარემოს, სადაც ყველა ბავშვს აქვს აზრის გამოხატვის შესაძლებლობა.

9. პერსონალი უზრუნველყოფს ბავშვის მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას, მათ შორის პირადი მაგალითით.

10. პერსონალი ითვალისწინებს ბავშვისა და ოჯახის მჭიდრო კავშირების მნიშვნელობას, იყენებს ამ კავშირებს და ბავშვის შესახებ ოჯახის ცოდნას ბავშვის საუკეთესო ინტერესების დასაცავად.

11. პერსონალი ბავშვთან დაკავშირებული ინფორმაციის, ფოტო/ვიდეო მასალის, ან ნამუშევრის გაზიარების შემთხვევაში (განსაკუთრებით ინტერნეტ-სივრცეში) მოიპოვებს ბავშვისა და მშობლის თანხმობას და მოქმედებს ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვით.

12. დაწესებულების ფარგლებში დაგეგმილ კვლევებში ბავშვის მონაწილეობისას მოქმედებს მისი საუკეთესო ინტერესის დაცვით.

13. პერსონალი ინარჩუნებს სიმშვიდეს კრიტიკულ სიტუაციებში და ახორციელებს სიტუაციის ადეკვატურ ქმედებებს.

14. პერსონალი იყენებს პოზიტიური დისციპლინის სტრატეგიებს.

15. პერსონალი თანაბარ ყურადღებას უთმობს ყველა ბავშვს, განურჩევლად ფიზიკური, შემეცნებითი, სენსორული, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური, გენდერული თუ სხვა მახასიათებლებისა.

16. პერსონალი არ ახვევს საკუთარ რელიგიურ, პოლიტიკურ და მსოფლმხედველობრივ შეხედულებებს ბავშვს და არ უშვებს ამ ტიპის ქმედებას სხვების მხრიდან.

მუხლი 6. პერსონალის ქცევისა და ეთიკის ნორმები თითოეული ბავშვის ოჯახთან ურთიერთობის დროს

1. პერსონალი ამყარებს პოზიტიურ, ნდობაზე დაფუძნებულ ურთიერთობას ბავშვის ოჯახთან, ხელს უწყობს მშობელთა ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

2. პერსონალი პატივს სცემს ბავშვის ოჯახის წევრებს განურჩევლად მათი გენდერული, კულტურული, სოციალური, ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა ნიშნით განსხვავებულობისა.

3. პერსონალი უზიარებს მშობლებს ინფორმაციას როგორც დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის, ისე ბავშვის განვითარების შესახებ.

4. პერსონალი ზრუნავს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საკითხებთან დაკავშირებით მშობელთა ცნობიერების ამაღლებაზე.

5. პერსონალი აღიარებს მშობლის უნიკალურ როლს ბავშვის განვითარებაში, პატივს სცემს მის უფლებას ბავშვთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების დროს, ამავდროულად მოქმედებს ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვით.

6. პერსონალი იცავს კონფიდენციალობას ბავშვის ოჯახთან დაკავშირებით, არ განიხილავს ბავშვის და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციას კოლეგებთან, ან სხვა მშობლებთან.

7. პერსონალი, ბავშვის ოჯახის წევრებს შორის უთანხმოების შემთხვევაში, არ არის მიკერძოებული და თანაბრად ურთიერთობს ოჯახის თითოეულ წევრთან.

8. პერსონალი არ შედის ფამილარულ ურთიერთობებში ბავშვის ოჯახის წევრებთან და თავს არიდებს მათთან კონფლიქტურ ურთიერთობას.

9. პერსონალი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას ბავშვისგან ან მისი ოჯახისგან არ იღებს ფულს ან ფასიან საჩუქარს (გარდა ყვავილებისა).

10. პერსონალი არ ახვევს საკუთარ რელიგიურ, პოლიტიკურ და მსოფლმხედველობრივ შეხედულებებს ბავშვის ოჯახის წევრებს და არ უშვებს ამ ტიპის ქმედებას სხვათა მხრიდან.

მუხლი 7. პერსონალის ქცევისა და ეთიკის ნორმები თანამშრომლებთან ურთიერთობის დროს

1. პერსონალს აქვს პოზიტიური, პატივისცემისა და ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთთანამშრომლობა.

2. პერსონალი მუშაობს გუნდურად, მხარს უჭერს თითოეული თანამშრომლის პოზიტიურ ინიციატივებს, ქმნის ჯანსაღ სამუშაო გარემოს.

3. პერსონალი მხარს უჭერს თითოეულ თანამშრომელს პროფესიულ განვითარებაში.

4. პერსონალი ამჟღავნებს პროფესიულ სოლიდარობას და კოლეგიალობას.

5. პერსონალი მხარს უჭერს თანამშრომლებს პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში ცოდნის, გამოცდილების, იდეებისა და საგანმანათლებლო რესურსის გაზიარების გზით.

6. პერსონალი თავს არიდებს კონფლიქტებს და ორიენტირებულია დაწესებულებაში ნამოჭრილი პრობლემის გადაწყვეტაზე.

7. პერსონალი მხარს უჭერს თანამშრომლებს ამ დოკუმენტით გათვალისწინებული პუნქტების შესრულებაში და მისი კომპეტენციის ფარგლებში მიმართავს შესაბამის ზომებს არაეთიკური ქმედების აღმოსაფხვრელად.

8. პერსონალი აღიარებს და პატივს სცემს თითოეული თანამშრომლის ინდივიდუალობას და პროფესიული გამოცდილების მრავალფეროვნებას.

9. პერსონალი თავს არიდებს თანამშრომლის საქმიანობაში უხეშ ჩარევას, არ იძლევა იმპერატიულ მითითებებს თანამშრომლის მისამართით.

10. პერსონალი პატივს სცემს განსხვავებულ მოსაზრებას და კონსტრუქციული დიალოგის გზით ცდილობს კონსენსუსის მიღწევას.

11. პერსონალი აღკვეთს ისეთ ქმედებას, რომელიც დაამცირებს, შეურაცხყოფს თანამშრომელს, ან ხელს შეუშლის მას უფლებამოსილების განხორციელებაში;

12. პერსონალი არ ახვევს საკუთარ რელიგიურ, პოლიტიკურ და მსოფლმხედველობრივ შეხედულებებს თანამშრომლებს და არ უშვებს ამ ტიპის ქმედებას სხვათა მხრიდან.

მუხლი 8. პერსონალის ქცევისა და ეთიკის ნორმები თემთან ურთიერთობის დროს

1. პერსონალი ფლობს ინფორმაციას თემში არსებული სხვადასხვა სახის რესურსების შესახებ (სხვადასხვა ტიპის დაწესებულებები, სპეციალისტები და ა.შ.) და იყენებს დაწესებულების სასარგებლოდ.

2. პერსონალი აცნობიერებს პასუხისმგებლობას თემის წინაშე და უზრუნველყოფს ხარისხიანი საგანმანათლებლო პროგრამის მიწოდებას.

3. პერსონალი, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით, თანამშრომლობს სხვა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებთან, ასევე, სხვა სახის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

4. პერსონალი ხელს უწყობს სტუდენტთა, მკვლევართა, დარგის სპეციალისტთა მოხალისეობრივ, კვლევით საქმიანობას ისე, რომ არ ფერხდება საგანმანათლებლო პროცესი და დაცულია ბავშვის საუკეთესო ინტერესი.

5. პერსონალი საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში ზრუნავს თემსა და გარემოზე (არ აყენებს მას ზიანს, არ აზინძურებს და სხვა).

თავი IV

პასუხისმგებლობა

მუხლი 9. პასუხისმგებლობა

პერსონალის მიერ ამ დოკუმენტით დადგენილი სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობისა და პერსონალთან გაფორმებული შრომის ხელშეკრულების შესაბამისად.

დანართი 5.

ტრანზიციის გეგმა³⁸

მშობლის სახელი, გვარი

ბავშვის სახელი, გვარი

მშობლის პირადი ნომერი

ბავშვის დაბადების თარიღი

ადრეული სპეციალისტის სახელი, გვარი

ბავშვის პირადი ნომერი

ფორმის შევსების დაწყების თარიღი

	აქტივობები	აქტივობის განხორციელების ვადები (თარიღები)	პასუხისმგებელი პირები	კომენტარი
1.	პროგრამიდან გადასვლის ან სხვა მომსახურებაში ჩართვის პირველადი განხილვა ოჯახთან ერთად			
2.	ოჯახთან ერთად სხვადასხვა ალტერნატიული სერვისების განხილვა (მომსახურებიდან გასვლა, ინკლუზიური ბაღი, დაწყებითი სკოლა, დღის ცენტრი, კერძო თერაპია, სხვა ადრეული განვითარების პროგრამები)			
3.	მშობლის ვიზიტი ახალ მომსახურებაში საბოლოო არჩევანის გაკეთებამდე, დაწესებულებების შერჩევა			
4.	ბავშვის, ოჯახის და ადრეული ინტერვენციის პროგრამის თანამშრომლების პირველადი შეხვედრა ახალი მომსახურების პერსონალთან, ბავშვის ახალ გარემოში გადაყვანის ხელშეწყობად			
6.	ბავშვის დოკუმენტაციის (შეფასებები და რეკომენდაციები) განხილვა ახალი მომსახურების პერსონალთან მშობელთან ერთად			
7.	ბავშვის საწყისი ვიზიტების და ახალ გარემოსთან ადაპტაციის დაგეგმვა / მშობელთან ერთად			
8.	ახალ მომსახურებაში ჩართვა / გადასვლის პროცესისა და შემდგომი მეთვალყურეობის დასრულება			

მშობლის:

ხელმოწერა

თარიღი

ადრეული ინტერვენციის პროგრამის მენეჯერის:

ხელმოწერა

თარიღი

დანართი 6.

გამიცანი³⁹

ნიგნაკი ბავშვის შესახებ

შეგიძლიათ მშობლებს ეს ნიგნაკი აჩვენოთ და სთხოვოთ ბავშვთან ერთად მოამზადოს და გაგაცნოთ, ხოლო ბაღის დასრულებისა და სკოლაში წასვლის დროისთვის იგივე ნიგნაკი თქვენ მოამზადოთ ბავშვთან ერთად და მის სკოლაში გასაგზავნად დოკუმენტებს დაურთოთ⁴⁰.

გამიცანით

ტრანზიციის ნიგნაკი ჩემ შესახებ

ჩემი სახელი და გვარი

ჩემი დაბადების დღე

ჩემი მშობლ(ებ)ის ხელმოწერა და თარიღი

მე მომწონს როცა ამ სახელით მომმართავენ: _____

ეს ჩემი ფოტოა: ეს ჩემი ოჯახის ფოტოა:

ვინც

მახარებს და მამბუნდებებს, არიან: _____

⁴⁰ შემუშავებულია საქართველოს ადრეული ინტერვენციის კოალიციის მიერ.

³⁹ ადაპტირებულია www.floridatransitionproject.com მასალებიდან.

⁴⁰ სკოლაში გასაგზავნად დოკუმენტებში შეიძლება შედიოდეს ბავშვის პორტფოლიო - მისი ძირითადი მიღწევები ბაღში, ბაღის რეკომენდაციები და რჩევები სკოლის მასწავლებლისათვის დანართი 9.

სახლში ვსაუბრობთ _____ ენაზე.

ჩემი შინაური ცხოველია: _____ მას ჰქვია: _____

ჩემი საყვარელი სათამაშოა: _____

ჩემი საყვარელი სიმღერაა: _____

ყველაზე საყვარელი საჭმელია: _____

მე მაშინებს და მალეღვებს: _____

ბაღში ყველაზე ძალიან მიყვარს: _____

მე მომწონს წიგნები _____

_____ის შესახებ.

ეზოში ჩემი საყვარელი თამაშებია (მაგ. საქანელა, ველოსიპედი, სასრილო, რაიმე სათამაშო და სხვა): _____

ეს არის სიტყვები, რომელსაც ვამბობ: _____

ჩემი მშობლ(ებ)ი და მასწავლებელი თვლიან, რომ ეს ინფორმაცია ჩემი საჭიროებების უკეთესად გაგებაში დაგეხმარებათ.

1. ასეთი სახის დახმარება შეიძლება დამჭირდეს ტუალეტში: _____
2. ასეთი სახის დახმარება შეიძლება დამჭირდეს ჩაცმისას: _____
3. ასეთი სახის დახმარება შეიძლება დამჭირდეს კვების დროს: _____
4. ასეთი სახის დახმარება შეიძლება დამჭირდეს სეირნობის, ჯდომის, დგომის ან მოძრაობის დროს: _____
5. როდესაც ეზოში ვთამაშობ, შეიძლება დამჭირდეს ასეთი სახის დახმარება: _____
6. ასეთი ფორმით ვამყარებ კომუნიკაციას მშობელთან ან მასწავლებელთან (ყესტური ენა, ბარათებით კომუნიკაცია და ა.შ.): _____
7. ასე ვთამაშობ სხვა ბავშვებთან: _____

8. როდესაც ცუდ გუნებაზე ვარ, ყველაზე მეტად მეხმარება: _____

ჩემი მშობლ(ებ)ის და მასწავლებლის აზრით, ჩემში ყველაზე საყვარელი და საუკეთესოა _____

ჩემი მშობლ(ებ)ი და მასწავლებელი თვლიან, რომ ახალი პროგრამის სწავლისას მე ისევე შევძლებ: _____

მნიშვნელოვანი სამედიცინო ინფორმაცია ჩემს შესახებ, რომლის ცოდნაც დაგჭირდებათ:

მე მაქვს ალერგია ზოგიერთ რამეზე: _____

მე ვიღებ ამ წამლებს: _____

მე ვინეკი საავადმყოფოში ან ვმკურნალობდი: _____

დამხმარე ინფორმაცია, რომლის გაზიარებაც სურს ჩემს მშობლ(ებ)ს და მასწავლებელს:

მეორე გვერდზე შეგიძლიათ იხილოთ დამატებითი ინფორმაცია ან სურათები!

დანართი 7.

გაიცანი ბალი და მასწავლებელი⁴¹

ეს წიგნაკი მასწავლებლის შესახებ შეგიძლიათ მშობელს წინასწარ, ბავშვის თქვენთან შეხვედრამდე მისცეთ და ურჩიოთ, რომ ბავშვს გააცნოს და გაუზიაროს

<p>მე ვიქნები შენი ახალი მასწავლებელი: შენს ოჯახს შეუძლია ამ ტელეფონზე დამირეკოს: ჩემის საფოსტო მისამართია: ჩვენი კლასის/ჯგუფის დამხმარეს, ქვია:</p>		
ეს ჩემი ფოტოა:	ეს ჩვენი ოთახის ფოტოა:	ეს ჩვენი ეზოს ფოტოა:
<p>ეს არის იმ აქტივობების ჩამონათვალი, რომელსაც დღის მანძილზე შევასრულებთ:</p> <p>ჩემი საყვარელი სიმღერა, რომელსაც ბავშვებს ვუმღერი, არის: ჩემი საყვარელი წიგნი, რომელსაც ბავშვებს ვუკითხავ, არის:</p>		

⁴¹ ადაპტირებულია www.floridatransitionproject.com მასალებიდან.

დანართი 8.

მასწავლებელი მასწავლებელს⁴²

ეს წიგნაკი ბალისა და სკოლის მასწავლებლებს შორის ურთიერთობისა და მოსწავლის შესახებ ინფორმაციის გაცვლის კარგად სტრუქტურირებული ფორმაა. ამავე ფორმით შესაძლოა სარგებლობდნენ ადრეული ჩარევის სპეციალისტები და ბალის მასწავლებლები ბავშვის შესახებ ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლისას

<p>ბავშვის სახელი: _____</p> <p>მშობლის სახელი: _____</p> <p>მშობლის ხელმოწერა: _____</p>
<p>გამგზავნი მასწავლებელი: _____</p> <p>ბალის ნომერი და მისამართი: _____</p> <p>გამგზავნი მასწავლებლის, ტელ ან მეილის მისამართი: _____</p> <p>მიმღები მასწავლებელი: _____</p> <p>სკოლის ნომერი და მისამართი: _____</p> <p>მიმღები მასწავლებლის, ტელ ან მეილის მისამართი: _____</p>
<p>ბავშვის სახელი: _____</p> <p>1. ზოგადი ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა პროგრესს მიაღწია ბავშვმა ჩემს ჯგუფში: _____ _____</p> <p>2. სტრატეგიები, რომელსაც ვიყენებდით სოციალური უნარებისა და ქცევის წესების გასამყარებლად: _____ _____ _____</p> <p>3. სტრატეგიები, რომელსაც ვიყენებდით კომუნიკაციის დასამყარებლად: _____ _____ _____</p> <p>4. სტრატეგიები, რომელსაც ვიყენებდით სხვა სფეროებზე მუშაობისას: _____ _____ _____</p>

⁴² ადაპტირებულია www.floridatransitionproject.com მასალებიდან.

შეფასება:

შეფასების თარიღი:___

რა ინსტრუმენტით შეფასდა: _____

შეფასების შედეგები:_____

რა ტიპის ხელშეწყობა შეიძლება გახდეს საჭირო:

- ❖ ვიზუალური განრიგი
- ❖ ხელის ხელზე მოკიდება
- ❖ ფესტური ენა
- ❖ სოციალური ისტორიები
- ❖ ავეჯის გადაწყობა
- ❖ ბარათების კომუნიკაცია
- ❖ დამხმარე ტექნოლოგიები

გირჩევდით კლასში მასთან ამ სფეროების განვითარებაზე გემუშავათ:_____

ბავშვის საყვარელი საქმიანობაა:_____

გთხოვთ, გარკვეული პერიოდის შემდეგ, გამოგიგზავნოთ თქვენი უკუკავშირი!

მიმღები მასწავლებლისგან გამოგიგზავნ მასწავლებელს

ბავშვის სახელი და გვარი

1. თქვენს მიერ გადმოგზავნილმა ინფორმაციამ ტრანზიციის პროცესს ხელი შეუწყო:
კი არა

2. კარგი იქნებოდა მეტი ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე:_____

3. ზოგადად, ბავშვი კლასს კარგად შეეგუა:

კი არა

კომენტარები:_____

4. სხვა ინფორმაცია ან კომენტარი:_____

დანართი 9.

მშობლის კითხვარი⁴³

ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ დაგვეხმაროთ ამ კითხვარის შევსებაში, რათა უკეთ შევძლოთ თქვენი ბავშვის გაცნობა და ინფორმაციის მიღება თქვენი მოლოდინებისა და პრიორიტეტების შესახებ.

ჩემს შვილს კარგად გამოსდის და უყვარს (რისი გაკეთება)

ჩემი შვილის საყვარელი თამაშია _____

ჩემი შვილის საყვარელი ზღაპარია _____

ჩემი შვილის საყვარელი პერსონაჟია _____

ჩემის შვილის საყვარელი საჭმელია _____

რომელი საჭმელი არ უყვარს _____

როდესაც აღელვებულია ან ტირის, როგორ აწყნარებთ? (საყვარელი სათამაშო ან თამაში ამშვიდებს, რაიმე განსაკუთრებული სიტყვები, უბრალოდ ჩახუტება, თუ სხვა?)

როდესაც არ ემორჩილება ზოგად წესებს, მაგალითად, ყრის ნივთებს, ადის მაგიდაზე, ურტყამს სხვას და სხვა, როგორ იქცევით ამ შემთხვევაში?

როგორ ატარებს თავისუფალ დროს? _____

რა მოლოდინები გაქვთ ბალის მიმართ? _____

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელი ინფორმაცია ბავშვის შესახებ: _____

⁴³ ბაგა-ბაღის მართვის სტრატეგია. (2011). თბილისი.

დანართი 10.

სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების გარემოს შეფასების შკალა⁴⁴

მაღალი ხარისხის დაწესებულებებში:

დაწესებულების ხედვა -

- ✓ არსებობს ყველა თანამშრომლის ერთობლივი ძალისხმევით შემუშავებული ინკლუზიური განათლების ხედვა სტრატეგია
- ✓ ამ დაწესებულებაში ჩართულმა ყველა ადამიანმა, მშობლების ჩათვლით, იცის, რა არის დაწესებულების მიზნები და ამოცანები
- ✓ დაწესებულება ყველაფერს აკეთებს მშობლების მაქსიმალურად ჩასართავად.

მენეჯმენტი და ხარისხის გაუმჯობესებისკენ სწრაფვა -

- ✓ მკაფიოდ უხსნიან თანამშრომლებს მათ როლსა და ფუნქციებს
- ✓ რეგულარულად შედიან ჯგუფებში და აკვირდებიან აღმზრდელ-პედაგოგებისა და აღმზრდელის საქმიანობას
- ✓ რეგულარულად უზიარებენ თანამშრომლებს რეკომენდაციებსა და აძლევენ უკუკავშირს
- ✓ თვალყურს ადევნებენ, რომ თანამშრომლებს მუდმივად ჰქონდეთ გადამზადებისა და ახალი ცოდნის შექმნის საშუალება

გარემოს ორგანიზება-

- ✓ არის ბავშვებისათვის შესაბამისი ავეჯი და აღჭურვილობა
- ✓ მასალები შერჩეულია ბავშვების ასაკის, რაოდენობისა და საჭიროებების შესაბამისად და ხელმისაწვდომია ბავშვებისათვის

თანამშრომლები-

- ✓ თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები და ფუნქციები ნათლადაა ჩამოყალიბებული და შესრულებული
- ✓ თანამშრომლები აქტივობებს წინასწარ გეგმავენ
- ✓ თანამშრომლებს აქვთ დრო, რათა დაგეგმონ სამუშაო პროცესი და დრო ინფორმაციის გასაზიარებლად და უკუკავშირის მისაღებად

საგანმანათლებლო ინსტრუქციები -

- ✓ ჯგუფში ზრუნავენ ბავშვების ფუნქციური უნარების განვითარებისათვის
- ✓ ამ უნარების განვითარება ჯგუფში მიმდინარე ბუნებრივი აქტივობების დროს (ჭამა, ჰიგიენა და ტუალეტი, ჩაცმა-გახდა, დალაგება და სხვა) ხდება
- ✓ საგანმანათლებლო აქტივობები ასაკისა და განვითარების შესაბამისია
- ✓ დღის მანძილზე აქტივობათა მრავალფეროვანი შესაძლებლობებია დაგეგმილი
- ✓ ბავშვებს აქტივობის დაწყების ან დასრულების დიდხანს ლოდინი არ ეწევთ

საგანმანათლებლო ტექნიკები -

- ✓ თანამშრომლები ერთვებიან ბავშვების მიერ ინიცირებულ აქტივობებში
- ✓ თანამშრომლები იყენებენ შესაბამის სტრატეგიებს, რათა ხელი შეუწყონ გამოცდილების შექმნასა და სწავლას
- ✓ თანამშრომლები აქტივობების დროს ინდივიდუალურად უთმობენ ყურადღებას ბავშვებს
- ✓ ქცევის მენეჯმენტთან დაკავშირებული პროცედურები თანმიმდევრულად გამოიყენება
- ✓ ნახალისებულია წიგნიერებასა და რიცხვით ცნობიერებასთან დაკავშირებული აქტივობები
- ✓ ნახალისებულია აქტივობები, რომელიც ბავშვებს შორის ურთიერთობასა და კომუნიკაციას უწყობს ხელს

პროგრამის შეფასება -

- ✓ მუდმივად ხდება ხარისხის შემოწმება
- ✓ მიღებული შედეგები გამოიყენება მომავალი გაუმჯობესების მიზნით

44 ადაპტირებულია Raab & Dunst (1997)-დან.

დანართი 11:

ინკლუზიური გარემო - ათი შეკითხვა მშობლებისა და პრაქტიკოსებისათვის⁴⁵

1. აქვს თუ არა თქვენს დაწესებულებას შემუშავებული მისია ინკლუზიურ სწავლებასთან დაკავშირებით?

- ბაგა-ბაღში ატმოსფერო კეთილგანწყობილია და ჩანს, რომ განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებსა და მათ ოჯახებს პატივისცემით ეპყრობიან.
- ბაღის ინკლუზიური ხედვა და სტრატეგია თვალსაჩინოა ყველასათვის და ასახავს ბავშვების მიმართ არსებულ ღირებულებებს და ოჯახების ჩართულობას.

2. იგრძნობა თუ არა ადმინისტრაციასა და თანამშრომლებში ინკლუზიური სულისკვეთება?

- თანამშრომელთა მეტყველებაში იკითხება დამოკიდებულებები და ღირებულებები, მაგალითად, ისინი არასდროს ამბობენ „ინკლუზიური ბავშვი“ ან აუტისტი ბავშვი. მათ მეტყველებაში ჯერ ბავშვი არსებობს და შემდეგ მისი მდგომარეობა მაგალითად, „დათოს აქვს აუტიზმი“ და ა.შ.
- მასწავლებლები რთავენ ბავშვებს დიალოგებში, პასუხობენ ნებისმიერ შეკითხვას და იძლევიან მარტივ და პირდაპირ პასუხებს.
- თანამშრომლები და ადმინისტრაცია ადვოკატირებენ ინკლუზიურ განათლებას იმით, რომ ცნობიერებას უმაღლებენ ყველა მშობელს ინკლუზიური განათლების საკითხებზე, ეუბნებიან მათ, რომ ამით ყველა ბავშვი სწავლობს მრავალფეროვნების და განსხვავებულობის მიღებასა და დაფასებას და ასევე საკუთარი განსაკუთრებულობის მიღებასა და დაფასებასაც.

3. არსებობს თუ არა მშობელთა ჩართულობის თანმიმდევრული სისტემა?

- მშობელთა ჩართულობა ნახალისებულია.
- მასწავლებლები რეგულარულად, კვირაში ერთხელ მაინც ეკონტაქტებიან მშობლებს და უყვებიან ბავშვების ძლიერი მხარეებისა და მათ მიმართ არსებული მოლოდინების შესახებ.
- მშობელს ნებისმიერ დროს შეუძლია ბაღში მისვლა და მისი შვილის ჩართულობაზე დაკვირვება.

4. გამოიყენება თუ არა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი პროგრამა?

- ყოველდღიური აქტივობები და დღის გეგმა დაბალანსებულია ისე, რომ არსებობს სტრუქტურირებული, თავისუფალი და ყოველდღიური გარე აქტივობებიც. აღმზრდელ-პედაგოგებმა და აღმზრდელებმა იციან, როგორ უნდა მიყენენ სპეციალისტების (ფსიქოლოგი, სპეც პედაგოგი, ლოგოპედი, ადრეული ჩარევის სპეციალისტი, ოკუპაციური ან ფიზიკური თერაპევტი) რეკომენდაციებს დღის მანძილზე.
- დღის განრიგი გამოკრულია, სადაც ნათლად ჩანს, რომ ბავშვებს აქვთ როგორც დიდ, ასევე მცირე და ასევე ინდივიდუალურ აქტივობებში მონაწილეობის შესაძლებლობა. ზოგიერთი ბავშვისათვის გამოკრულია და გამოიყენება ვიზუალური დღის განრიგიც.
- გუნდურ შეხვედრებსა და შემთხვევათა გარჩევას რეგულარული ხასისათი აქვს.

5. თანამშრომლობს თუ არა ბაგა-ბაღი თემში არსებულ რესურსებთან?

- ბაგა-ბაღმა იცის, ყველა ორგანიზაცია და რესურსი, რომელიც ადრეულ განათლებასთან, განვითარებასთან და ჩარევასთანაა დაკავშირებული, თანამშრომლობს მათთან და იყენებს მათ რესურსებს.
- ბაგა-ბაღი თანამშრომლობს თემში არსებულ სხვადასხვა ორგანიზაციებთან - საბავშვო ბიბლიოთეკა, სახანძრო, პოლიცია და ა.შ. და აწყობს ბავშვებისათვის საინტერესო და სახალისო ექსკურსიებს.

6. რამდენად ფუნქციური და ცოცხალია ბავშვისათვის შექმნილი ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმა?

- ინდივიდუალურ გეგმაში დასახული მიზნები და ამოცანები მუდმივად ახლდება (სულ მცირე წელიწადში სამჯერ) და ზიარდება მშობლებთან და ბავშვთან მუშაობაში ჩართულ ყველა პირთან).
- გეგმაში დასახული მიზნები ფუნქციურია და შეესაბამება ბავშვის განვითარების ასაკს.
- ბავშვს ასწავლიან ჰიგიენის (ტუალეტის) წესებს თუ ეს ინდ. გეგმის ნაწილია.
- გეგმაში დასახული მიზნები მიიღწევა იმ აქტივობების საშუალებებით, რომელიც ბავშვს მოსწონს და აინტერესებს. აქტივობები, რომელსაც მასწავლებელი, საჭიროების შემთხვევაში, გეგმავს ბავშვის ამა თუ იმ უნარის გასავითარებლად, ჩაშენებულია სახალისო სასწავლო გარემოში, სხვა ბავშვების ჩართულობით.

7. არის თუ არა ბავშვისათვის განკუთვნილი თერაპიები ინტეგრირებული ბაღის ცხოვრების ყოველდღიურ განრიგში?

- სერვისები (ფსიქოლოგის, სპეც. პედაგოგის, ლოგოპედის, ფიზიკური ან ოკუპაციური თერაპევტის ან ადრეული ჩარევის სპეციალისტის მომსახურებები) ინტეგრირებულია ჯგუფის აქტივობებში. თერაპევტები თავიანთ მიზნებს ჯგუფის აქტივობებში აშენებენ და მიზნის მისაღწევ აქტივობებში ბავშვის თანატოლებსაც რთავენ.
- აღმზრდელ-პედაგოგები და აღმზრდელები ასრულებენ ინკლუზიის სპეციალისტების (ფსიქოლოგის, სპეც. პედაგოგის, ლოგოპედის, ფიზიკური ან ოკუპაციური თერაპევტის ან ადრეული ჩარევის სპეციალისტის) რეკომენდაციებს.
- ჯგუფში დაგეგმილი აქტივობების განსახორციელებლად საკმარისი მასალაა.

8. არსებობს თუ არა თანამშრომელთა პროფესიული ზრდისა და განვითარების მუდმივმოქმედი გეგმა?

- ბაღის ადმინისტრაციას გამოყოფილი აქვს დრო და სივრცე ინდივიდუალური გეგმების შემუშავებაში ჩართული თანამშრომლების შეხვედრებისათვის.
- წლის განმავლობაში დაგეგმილი ტრენინგები და სემინარები შეესაბამება ბაღის საჭიროებებს. აღმზრდელ-პედაგოგებს ასევე აქვთ საშუალება, გაიარონ ინდივიდუალური ერთი-ერთზე პრაქტიკული წვრთნა და დროდადრო მიმართონ სპეციალისტებს დახმარებისათვის.

9. აქვთ თუ არა მასწავლებლებს სტრატეგიები და საშუალებები ბავშვებთან ინკლუზიური განათლების საკითხის განსახილველად?

- მასწავლებლები წიგნების, თოჯინების, ნახატებისა და ფოტოების გამოყენებით, ატარებენ ინკლუზიური განათლების ცნობიერების ამაღლების აქტივობებს ბავშვებთან, სანამ ჯგუფში სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვი შემოვა და ბავშვების მიერ დასმულ შეკითხვებს პასუხობს ბავშვების ჯგუფში ჩართვის შემდეგაც.
- მასწავლებელი უფლებას აძლევს ბავშვებს „შეისწავლონ“ ის ალჭურვილობა, რომელსაც სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვის შეიძლება იყენებდეს (ორტეზები, ყურის აპარატი, ეტლი და ა.შ.)
- ნახალისებულია ბავშვების ურთიერთდახმარების სტრატეგიები. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვს ეძლევა საშუალება, დაეხმაროს სხვებს და არ იყოს მხოლოდ დახმარების მიმღების მდგომარეობაში.

10. არსებობს თუ არა ბაგა-ბაღის მუშაობის შეფასების გამართული სისტემა?

- ბაგა-ბაღი ყოველწლიურად ატარებს მშობელთა გამოკითხვას (შემთხვევითი შერჩევის პრინციპით), აანალიზებს მიღებულ შედეგებს და, შედეგების გათვალისწინებით, გეგმავს გაუმჯობესების სტრატეგიებს.
- ბაღი ატარებს ყოველწლიურ შიდა მონიტორინგს, მონიტორინგის კონკრეტული ინსტრუმენტის გამოყენებით, აანალიზებს მიღებულ შედეგებს და, შედეგების გათვალისწინებით, გეგმავს გაუმჯობესების სტრატეგიებს.

